

ISSN 2587-4713

1 2018

ECONOMICS

ეკონომიკა



მეცნიერება, პრაქტიკა, გამოცდილება

ეკონომიკა

ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და
რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი
„ЭКОНОМИКА“ - Ежемесячный международный
рецензируемый и реферируемый научный журнал
“ECONOMICS” - Monthly International reviewed
and refereed scientific journal

1, 2018

ჟურნალი გამოდის 1918 წლიდან
Journal published since 1918

რ. შენგელია (მთ. რედაქტორი)

ი. არჩვაძე; ა. აბრალავა; ნ. აბესაძე; თ. ბაბუნაშვილი; ნ. ბაკაშვილი; ე. ბარათაშვილი; რ. გოგონია; ვ. დათაშვილი; მ. კაკულია; დ. კარბონი (იტალია); პ. კოლუაშვილი; ა. კურატაშვილი; ზ. ლიპარტია; გ. მალაშხია; ე. მექვაბიშვილი; ქ. მარშავა; ს. პავლიაშვილი; ვ. პაპავა; მ. როკეტლიშვილი (აშშ); უ. სამადაშვილი; ა. სილაგაძე; ა. სიჭინავა; ო. სოლდატენკო (უკრაინა); ა. სხირტლაძე; ტ. ფედოროვა (რუსეთი); დ. ქავთარაძე (რუსეთი); ა. ქუთათელაძე; რ. ქუთათელაძე; კ. ლურწყაია; გ. ლავთაძე; გ. ყუფუნია; ნ. შენგელია; გ. შუბლაძე; თ. შენგელია; ნ. ჩიხლაძე; ჟ. წიკლაური; ნ. ჭითანავა; მ. ჯიბუტი; გ. ჯოლია

ШЕНГЕЛИЯ Р. (ГЛ. РЕДАКТОР)

Арчвадзе И., Абралава А., Абесадзе Н., Бабунашвили Т., Бараташвили Е., Бакашвили Н., Гавтадзе Г., Гогохия Р., Гурцкая К., Даташвили В., Джибути М., Джолия Г., Кавтарадзе Д. (Россия), Какулия М., Карбон Д. (Италия), Когуашвили П., Купуния Г., Кураташвили А., Курателадзе А., Курателадзе Р., Липартия З., Малашхия Г. Меквабишвили Э., Маршавя К., Папавя В., Павлиашвили С., Рокетлишвили М. (США), Силагадзе А., Сичинава А., Сольдатенко О. (Украина), Схиртладзе А., Самадашвили У., Федорова Т. (Россия), Читанавя Н., Чихладзе Н., Шенгелия Н., Шенгелия Т., Шубладзе Г., Циклаური Ж.

REVAZ SHENGELIA (EDITOR IN CHIEF)

I. ARCHVADZE; A. ABRALAVA; N. ABESADZE; T. BABUNASHVILI; E. BARATASHVILI; N. BAKASHVILI; N. CHIKHLADZE; G. GHAVTADZE; R. GOGOKHIA; V. DATASHVILI; M. KAKULIA; D. KARBON (ITALY); P. KOGHUASHVILI; A. KURATASHVILI; Z. LIPARTIA; G. MALASHKHIA; E. MEKVABISHVILI; K. MARSHAVA; S. PAVLIASHVILI; V.PAPAVA; M. ROKETLISHVILI (USA); U. SAMADASHVILI; N. SHENGELIA; A. SILAGADZE; A. SICHINAVA; O. SOLDATENKO (UKRAINE); A. SKHIRTLDADZE; T. FEDOROVA (RUSSIA); D. QAVTARADZE (RUSSIA); A. QUTATELADZE; R. QUTATELADZE; K. GHURTSKAIA; G. KUPUNIA; G. SHUBLADZE; T. SHENGELIA; ZH. TSIKLALURI; N. CHITANAVA; M. JBUTI; G. JOLIA.

თბილისი - 2018

შინაარსი

ეკონომიკური რეფორმა: ანალიზი, პრობლემები და პერსპექტივები

ანა წულაია - საგადასახადო და სხვა შემოსავლების
პოლიტიკის გავლენა მუნიციპალური ბიუჯეტების
დეცენტრალიზაციის პროცესებზე-----6

ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები

იულია თედევი - შრომის სტიმულირების სისტემა----- 15
შოთა გურული - სიღარიბე და შემოსავლების
უთანაბრობა საქართველოში----- 23

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

გიორგი ცაავა , რატი ბურდიაშვილი - ფინანსური ლევერიჯი
(ბერკეტი) როგორც სანარმოს საკუთარი და ნასესხები კაპიტალის
თანაფარდობის რეგულირების მნიშვნელოვანი მექანიზმი ----- 32
ნიკოლოზ ტატიშვილი - ინოვაციური ფინანსური
ინსტრუმენტები მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად ----- 42
ოთარი გავაშელი - მონეტარული და ფისკალური
პოლიტიკა ახალ ეკონომიკურ პირობებში და ფინანსურ
ტრანზაქციებზე ახალი გადასახადის დადგენის აუცილებლობა---- 48

საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა

მამუკა სარჩიმელია - საგადასახადო სამართალდარღვევები
და მისი გავლენა ეკონომიკის განვითარებაზე ----- 58

დარგობრივი ეკონომიკა

თორნიკე თევდორაძე, უჩა ჩიტაძე - საქართველო როგორც ლვინის
„ახალი“ ექსპორტიორი ქვეყანა: პერსპექტივები და მოლოდინები-- 62

**ნიკოლოზ ტატიშვილი - მცირე საწარმოების
ბუნება და დაკრედიტების პრობლემები ----- 70**

ბიზნესი, მარკეტინგი, მენეჯმენტი

**ეკატერინე კოპლატაძე - ხარისხის შიდა აუდიტი
როგორც აუდიტის ერთ-ერთი სახე ----- 76**
**თეონა ბაგრატიონი - პერსონალის შიდაორგანიზაციული
ქცევის შეფასება კომპანია „თი-ელ-ჯი“-ში ----- 86**
**ოთარი გავაშელი - რისკზე დაფუძნებული
საგადასახადო აუდიტის ზოგადი პრინციპები ----- 98**

მსოფლიო ეკონომიკა

**ლალი თითილოკაშვილი, თამარი გელაშვილი -
ქართული ღვინის ექსპორტი საერთაშორისო
ბაზარზე და საქართველოს ღვინის ტურიზმი ----- 105**
**მარიამ თოფჩიშვილი, ნინო კალაძე - ისლამური სახელმწიფო:
ეკონომიკური ძლიერების განმაპირობებელი ფაქტორები ----- 114**
სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი -- 122

CONTENTS

ECONOMIC REFORMS: ANALYSIS, PROBLEMS AND PERSPECTIVES

ANA TSULAIA - The Impact of Tax and Other Revenue Policies on Decentralization of the Municipal Budgets-----	6
--	---

MODERN PROBLEMS OF ECONOMICS

Iulia Tedeevi - LABOR STIMULATING SYSTEM-----	15
Shota Guruli - Poverty and Income Inequality in Georgia-----	23

FINANCES, BANKS AND EXCHANGE MARKETS

Giorgi Tsaava, Rati Burdiashvili - Financial leverage (lever) As A Significant Regulatory Mechanism Of the Company's Own and Borrowed Capital Ratio -----	32
Nikoloz Tatishvili - Innovative Financial Instruments to Support Small Businesses -----	42
Otar Gavasheli - Monetary and Fiscal Policy in the New Economic Conditions and the Necessity of Establishing a New Tax on Financial Transactions -----	48

LEGAL PROVISION OF MARKET ECONOMY

Mamuka Sarchimelia - Tax Offenses and Its Impact on the Economic Development-----	58
---	----

SECTORAL ECONOMY

Tornike Tevdoradze, Ucha Chitidze - Georgia as the "New" Exporter of Wine: Prospects and Expectations-----	62
Nikoloz Tatishvili - The Nature of Small Enterprises and their Lending Problems-----	70

BUSINESS, MANAGEMENT, MARKETING

- Ekaterine Koplastadze** - Internal Quality Audit as the type of Audit --76
Teona Bagrationi - Assessment of Internal
Organizational Behavior of the Personnel in the Company “T-L-G” ----86
Otar Gavasheli - General Principles of Risk-based Tax Audit -----98

WORLD ECONOMY

- Lali Titilokashvili, Tamari Gelashvili** - Georgian Wine Exports
to the International Market and Wine Tourism of Georgia----- 105
Mariam Topchishvili, Nino Kaladze - The Islamic State
of Iraq and the Levant: Factors Providing Economic Strength ----- 114
The Publication Requirements ----- 122



**საგადასახადო და სხვა შემოსავლების
პოლიტიკის გავლენა მუნიციპალური
ბიუჯეტების დეცენტრალიზაციის პროცესებზე**

ანა წულაია

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,
სტუ ასისტენტ-პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საგადასახადო და სხვა შემოსავლების პოლიტიკის გავლენა მუნიციპალური ბიუჯეტების ფორმირების პროცესში, სადაც ნათლად სჩანს, რომ მუნიციპალიტეტები ფინანსურ საკითხებში დამოკიდებულნი არიან ცენტრალურ ხელისუფლებაზე. გაანალიზებულია 2004-2005 წლებიდან გადასახადების სხვადასხვა სახეობების შემცირებისა და გაუქმების ეტაპები და დღეს არსებული მდგომარეობა.

მიგვაჩნია, რომ არსებული პროცესებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტებმა ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების ზრდის მიზნით უნდა იმუშაონ ახალი სახის შემოსავლების წყაროების შემოღებაზე თუ დაწესებაზე, რაც დღევანდელ პირობებში აუცილებელი და სავსებით შესაძლებელია. ამ მიზნით განხილულია საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებული შემოსავლების სახეობები. მუნიციპალიტეტებისათვის შეთავაზებულია ისეთი მოსაკრებლების დაწესება, როგორცაა ქალაქის, იგივე ტურიზმის და ტაქსების მოსაკრებლები. მიგვაჩნია რომ ეს მოსაკრებლები მნიშვნელოვნად გაზრდის მუნიციპალური ბიუჯეტების შემოსავლებს, რაც, თავის მხრივ, საშუალებას მისცემს ადგილობრივ ხელისუფლებებს განახორციელონ მეტი პროექტები. ამასთან, თვითმმართველობების დეცენტრალიზაციის პირობებში საჭიროა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი

თვითმმართველობების ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის მხრივაც, რათა გაიზარდოს თვითმმართველობის საფინანსო უფლებამოსილებები.

საკვანძო სიტყვები: მუნიციპალური ბიუჯეტი; გადასახადები; მოსაკრებლები; ტურიზმი; თვითმმართველობა;

შესავალი

მუნიციპალიტეტის ფინანსური დეცენტრალიზაციის რეფორმამდელი და რეფორმის შემდგომი სიტუაციების შედარებით ნათლად ჩანს, რომ მუნიციპალიტეტები ფინანსურ საკითხებში დამოკიდებულნი არიან ცენტრალურ ხელისუფლებაზე.

აღნიშნული პროცესებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტებმა ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების ზრდის მიზნით უნდა იმუშაონ ახალი შემოსავლების დაწესებაზე, რაც დღევანდელ პირობებში აუცილებელია და სავსებით შესაძლებელი. ჩატარებული კვლევებიდან და ანალიზიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტებისთვის შეთავაზებულია ახალი ტიპის მოსაკრებლების დაწესება, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მუნიციპალური ბიუჯეტების შემოსავლებს, და ხელს შეუწყობს ადგილობრივ ხელისუფლებებს მათთვის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებაში.

ქირითალი ტაქსტი

საქართველოში 2004 წლამდე თვითმმართველობები საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად მთლიანად ან ნაწილობრივ ინაწილებდნენ სახელმწიფო ბიუჯეტთან 12 სახის ადგილობრივ და ზიარ გადასახადებს. 2004 და 2005 წლებში, გადასახადების სხვადასხვა სახეობების შემცირებისა და გაუქმების შემდეგ, მუნიციპალიტეტებს პირველ ეტაპზე დარჩათ 4 სახის გადასახადი. შემდეგ ეტაპზე კი დარჩენილი გადასახადებიდან ბიუჯეტებში ყველაზე დიდი წილის მქონე - საშემოსავლო და მოგების გადასახადებიც – ცენტრალურ ბიუჯეტში გადავიდა. საბოლოოდ გადასახადებიდან თვითმმართველობებს დარჩათ მხოლოდ ქონების გადასახადი, რომელიც 100%-ით მათ საკუთარ შემო-

სავალს წარმოადგენს. რაც შეეხება, ბიუჯეტების შესავსებად არასაკუთარი შემოსავლის მოზიდვას (მიზნობრივი და სპეციალური ტრანსფერები) მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკურ ინტერესებზე.

ამასთან, ცენტრალური ხელისუფლების მიერ, ზოგიერთ შემთხვევაში შეინიშნებოდა გაუმართლებელი შეღავათების დაწესება, რაც თვითმმართველობის ბიუჯეტს ტვირთად აწვებოდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქონების გადასახადზე დიდი შეღავათების დაწესება, თუმცა, თავდაპირველად ამ პოლიტიკას მძიმე შედეგები არ ჰქონდა, რამეთუ ადგილობრივი ბიუჯეტების შევსება, ძირითადად, გადასახადების (მოგების, საშემოსავლო) ხარჯზე ივსებოდა. მას შემდეგ, რაც მოგებისა და საშემოსავლო გადასახადებიც ცენტრალურ ბიუჯეტში გადავიდა, ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების ერთ-ერთ ძირითად წყაროდ ქონების შემცირებული გადასახადი წარმოადგენს, რაც ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის დაახლოებით 10-20%-ს შეადგენს. ქონების გადასახადის უდიდესი ნაწილი თბილისის ბიუჯეტში შედის. გარდა ამისა მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ ადგილობრივი მოსაკრებლები. აღნიშნული სახეების უდიდესი წილიც თბილისზე მოდის, ვინაიდან, მუნიციპალიტეტთა უმეტესობისთვის ზოგიერთი ასეთი შემოსავალი ფაქტიურად ნულოვანია (მაგალითად, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი). თბილისისათვის ასევე, დიდი წილი უჭირავს მოსაკრებელს დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის. მიუხედავად მისი საკმაოდ დიდი ოდენობისა, აღნიშნულ სფეროში შესაბამისი ხარჯები ქალაქს ბევრად მეტი უჯდება, ვიდრე შემოსავალია. ამას გარდა, მუნიციპალური ბიუჯეტების სიმწირეს ბევრი სხვა ფაქტორიც განაპირობებს. მაგალითად, გადასახადების ადმინისტრირება მთლიანად ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაა და მუნიციპალიტეტებს წარმოდგენაც არ აქვთ, თუ რა შემოსავლების მიღება არის მოსალოდნელი მათგან. ისინი დამოკიდებულნი არიან ცენტრალური ხელისუფლებიდან წარმოდგენილ წინადადებებზე. ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2016 წლიდან თვითმმართველობების რეფორმის კიდევ ერთი ეტაპი განხორციელდა,

რაც ფინანსური დეცენტრალიზაციასთან არის კავშირში. საბიუჯეტო კოდექსის თანახმად აღნიშნული ცვლილება ამოქმედა 2016 წლის 1 იანვრიდან და ითვალისწინებს საშემოსავლო გადასახადის ზოგიერთი კატეგორიებიდან მიღებული შემოსავლების 100%-ით ადგილობრივ ბიუჯეტში მიმართვას, მათ შორის: საშემოსავლო გადასახადი მენარმე ფიზიკურ პირთა საქმიანობით მიღებული შემოსავლებიდან; არარეზიდენტი პირების საშემოსავლო გადასახადი (ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან); საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ მატერიალური აქტივების რეალიზაციით მიღებული ნამეტიდან; საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირისათვის ქონების ჩუქებიდან; საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღებიდან; საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირის მიერ ქონების იჯარით გაცემის შედეგად მიღებული შემოსავლებიდან. მიუხედავად ამისა მუნიციპალიტეტისათვის არ იცვლება მათი შემოსავლების მოცულობა, ვინაიდან ამ კანონის ამოქმედების პარალელურად შემცირდა გათანაბრებითი ტრანსფერის ოდენობა. აღნიშნული პოლიტიკის შედეგად მუნიციპალიტეტები მეტწილად ცენტრის ტრანსფერებზე იყენენ დამოკიდებულნი, რაც მათი შემოსავლების უდიდეს ნაწილს, დაახლოებით 60%-ს შეადგენდა. აღნიშნული კი ცენტრზე დამოკიდებულობის მიზეზია და ზრდის მათზე ზეგავლენის ფაქტორს. ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან მუნიციპალიტეტების ფინანსურ საქმიანობაში ჩარევაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ფინანსთა სამინისტროს ნება-სურვილზეა დამოკიდებული შემოსავლების ძირითადი პარამეტრების განსაზღვრა, რაც შემოსავლების ყოველკვარტალური გეგმების შემუშავებაზეც ახდენს გავლენას. ამას მიგვანიშნებს გათანაბრებითი ტრანსფერის განაწილება და საშემოსავლო გადასახადის შემოღება. ასევე ფინანსთა სამინისტრო ადმინისტრირებას უწევს ზოგიერთ მოსაკრებელსაც, როგორცაა სათამაშო ბიზნესის და ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლები. ფინანსთა სამინისტროს, ფაქტობრივად, შეუზღუდავი უფლებამოსილება ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსულობების განსაზღვრაში, განაპირობებს ადგილობრივ ბიუჯეტებში შესწორებათა შეტანის სიხშირეს.

ნლის განმავლობაში ადგილობრივ ბიუჯეტებში ცვლილებები ხორციელდება 7-8-ჯერ, რომლის შედეგადაც მნიშვნელოვნად განსხვავდება თავდაპირველად დაგეგმილი ბიუჯეტები საბოლოო, კორექტირებული ბიუჯეტებისგან. თავისთავად, თვითმმართველობების ბიუჯეტებში ამ მხრივ არსებული ვითარება არც ერთ საერთაშორისო სტანდარტს არ შეესაბამება.

2015 წლიდან თვითმმართველობებისათვის სავალდებულო გახდა საბიუჯეტო პროცესების წარმოება ერთიან ელექტრონული სისტემაში. რამაც საშუალება მისცა ცენტრს, აკონტროლოს არა მარტო თავისი, არამედ თვითმმართველობათა, ფინანსური რესურსებიც, რაც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება ბიუჯეტების დამოუკიდებლობის პრინციპს და საფრთხეს უქმნის დეცენტრალიზაციის პროცესებს.

თვითმმართველობების დეცენტრალიზაციის პირობებში საჭიროა სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების ფუნქციების მკაფიო გამიჯვნა საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის მხრივაც, რათა გაიზარდოს თვითმმართველობის საფინანსო უფლებამოსილებები.

ზემოთ აღნიშნული პროცესებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტებმა ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების ზრდის მიზნით უნდა იმუშაონ ახალი შემოსავლების დაწესებაზე, რაც დღევანდელ პირობებში აუცილებელია და სავსებით შესაძლებელი. ჩატარებული კვლევებიდან და ანალიზიდან

გამომდინარე მუნიციპალიტეტებს ვთავაზობთ ისეთი მოსაკრებლების დაწესებას, როგორცაა ქალაქის, იგივე ტურიზმის და ტაქსების მოსაკრებლები. მიგვაჩნია რომ ამ მოსაკრებლების დაწესება მნიშვნელოვნად გაზრდის მუნიციპალური ბიუჯეტების შემოსავლებს, რაც თავის მხრივ საშუალებას მისცემს ადგილობრივ ხელისუფლებებს მეტი პროექტების განხორციელებისათვის.

საერთაშორისო პრაქტიკაში ფართოდ არის გავრცელებული ტურიზმის მოსაკრებელი. თეორიულად მიჩნეულია, რომ გადასახადი ან მოსაკრებელი, რომელიც დაწესებულია ტურისტებისთვის, უნდა მოხმარდეს იმ გარე დანახარჯების (ექსტერნალიები) აღმოფხვრას, რომელიც გამოწვეულია ტურისტების მიერ. ტურ-

ისტული მოსაკრებლის არარსებობა ქმნის ე.წ. „უბილეთო მგ-ზავრის“ პრობლემას საზოგადოებისთვის. აგრეთვე დაბეგვრის საფუძვლად შეიძლება მივიჩნიოთ, ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ტურიზმის პრომოუშენისთვის გამოყოფილი, უკან დაუბრუნებელი თანხები. ლონდონში ტურისტულ მოსაკრებელს განიხილავენ, როგორც ფისკალური შემოსავლების წყაროს¹

ევროპაში ტურისტული მოსაკრებლის სამი სახეა მიღებული: ფიქსირებული განაკვეთი და ზონირების, ანუ სასტუმროს ვარსკვლავის და სასტუმროში გადახდილი თანხის პროცენტის მიხედვით.² ასევე მოსაკრებლის გადახდა ხდება სეზონურობის მიხედვითაც.³

ტურიზმის მოსაკრებლით დაბეგვრის ობიექტი შეიძლება იყოს გამოყენებული სასტუმროს ნომერი, მისი ფასი, გამოყენებული (ლიცენზირებული) სანოლი ან ადამიანების რაოდენობა.

თითქმის ყველა ქალაქში, სადაც მოქმედებს მოსაკრებელი მასთან ერთად მოქმედებს დამატებული ღირებულების გადასახადის შეღავათი ტურიზმის სექტორში, რომელიც განსხვავებულია ქალაქების მიხედვით. მაგალითად, პარიზში 10%-ია (სხვა საქონელზე და მომსახურებაზე 20%), ბერლინში 7%-ია (19%), ჰამბურგში 7% (19%), ამსტერდამი 6% (21%), ვენეცია 10% (22%), რომი 10% (22%), ბარსელონა 10% (21%), ბრიუსელი 6% (21%), ვენა 6% (23%), ლისაბონი 6% (23%), ჰონგ კონგ-ში არ არის დღგ-ს გადასახადი, სინგაპური 7%, ვანკუვერი 8% (12%), ნიუ იორკი 8.875% და ა.შ.

ევროპის უმეტეს ქვეყნებში ასევე, მოქმედებს გარკვეული გამონაკლისები. მაგალითად, რომში 10 წლამდე ასაკის ბავშვები თავისუფლდებიან ტურისტული მოსაკრებლისგან, ბარსელონაში კი - 16 წლამდე. გამონაკლისი არ ვრცელდება პროპორციული დაბეგვრის პრინციპზე, კერძოდ, თუ ოთახი იბეგრება და ბავშვი ჩერდება სასტუმროში უფროსებთან ერთად.

1 Options for a tourism levy for London a publication for the London Finance Commission, Matthew Daley, January 2017

2 <http://www.etoa.org/>ევროპის ტურიზმის ასოციაცია-06/12/2017

3 <https://www.ibiza-spotlight.com/>- ესპანური ტურისტული სააგენტო -06/12/2017

მეორე მოსაკრებელი რომელიც ეხება ტაქსებს ასევე, მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიუჯეტების დამატებითი შემოსავლების ფორმირების საკითხებში. თუმცა ეს სფერო მოითხოვს კვლევის ჩატარებას და შედეგებიდან გამომდინარე მსჯელობას თუ რა მიდგომები შეიძლება ჩამოყალიბდეს ტაქსების გადასახადის შემოღებისა და მათი რეგულაციების დაწესების კუთხით.

საქართველოში ადმინისტრაციული ორგანოებისთვის უცნობია ტაქსის საქმიანობით დაკავებული პირების, გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებებისა და მათ მიერ გადაყვანილი მგ ზავრების რაოდენობა, აგრეთვე მათი საქმიანობის/მოძრაობის არეალები. კვლევის გარეშეც შესამჩნევია ზოგიერთი მათგანის გაუმართაობა და შეუსაბამობა ელემენტარულ ჰიგიენურ ნორმებთან. ასევე, ტაქსების ბაზარზე არსებობენ ორგანიზაციები, რომლებიც რეგისტრირებული არიან და არათანაბარ კონკურენციაში უწევთ ოპერირება.

სფეროს რეგულირების დაწყების მთავარი მიზანი უნდა იყოს უსაფრთხოება, მომხმარებლის დაცვა, პროფესიული კუთხით მუდმივი სამუშაო ადგილების შექმნა, თანაბარი კონკურენტული გარემოს ხელშეწყობა, მომსახურების თანამედროვე ფორმებისა და მიდგომების წახალისება.

საქართველოში სატაქსო გადაზიდვების მომსახურების მიწოდების უკონტროლო ხასიათი და რეგულაციების არარსებობა იწვევს უამრავ ნეგატიურ ეფექტს და წარმოშობს რისკებს, რომელთა მართვაც რთულდება შესაბამისი სამართლებრივი ბერკეტების უქონლობის გამო.

აქედან გამომდინარე ამ სფეროში გადასახადის შემოღებასთან ერთად საჭიროა თვითონ სფეროს დარეგულირება და იმ უკონტროლობის აღმოფხვრა, რომელიც ძალიან დიდ პრობლემას წარმოადგენს.

დასკვნა

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მუნიციპალური ბიუჯეტის ფორმირების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, როგორც ქვეყნის საგადასახადო პოლიტიკას, ასევე ადგილობრივი

ბიუჯეტების დეცენტრალიზაციის საკითხებს. ამასთან, ადგილობრივი ბიუჯეტებისთვის მეტი ფინანსური რესურსების მოსაძიებლად აუცილებელია შემოსავლების დამატებითი წყაროების გაჩენა, რაც ადგილობრივი თვითმართველობების პროირიტეტების სრულყოფილად განხორციელების წინაპირობაა. მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში, სტატიაში განხილული გადასახადის მოდელები წარმატებულად მუშაობს, მიგვაჩნია, რომ საქართველოში მათ დანერგვამდე საკითხი უნდა გახდეს მსჯელობის საგანი, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, ასევე საზოგადოების სხვა წევრებისათვის. ამასთან, იგი საჭიროებს მეცნიერულ კვლევებს და მხოლოდ შესაბამისი დასკვნების საფუძველზე შესაძლებელია მიღებულ იქნეს ეფექტიანი გადაწყვეტილებები.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი, საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2010 წლის 17 სექტემბერი. №3591—III
2. საქართველოს კანონი, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“, 2010 წ.
3. საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ 1998 წლის 29 მაისი № 1401—III
4. ე.ბარათაშვილი, ა. აბრალავა, ლ.ბახტაძე, რ. კაკულია „გადასახადები და საგადასახადო დაბეგვრა“ თბილისი 2015 წ.
5. მეთიუ დეილი „ლონდონის ტურისტული ცხოვრება“ ჟურნალი Matthew Daley იანვარი, 2017 წელი სტატია;
6. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო// www.mof.ge
7. <http://www.etoa.org/> ევროპის ტურიზმის ასოციაცია - 06/12/2017
8. <https://www.ibiza-spotlight.com/> - 06/12/2017
9. <https://www.tbilisi.gov.ge>– 03/01/2018

REFERENCES:

1. The Tax Code of Georgia Law of Georgia 17/09/2010 Y.
2. “Budget Code of Georgia”, Law of Georgia 2010 Y.
3. On Local Fees; Law of Georgia; 29/05/1998 Y №1401-II.

4. Baratashvili, E., Abzalava, A., Baktadze, L., Kakulia, R., (2015) pp. 397 Taxes and tax taxation;
5. Citizen's Guide - "The 2017 State Budget of Georgia", Ministry of Finance of Georgia, 2016 Y.
6. Ministry of Finance of Georgia // www.mof.ge.
7. <http://www.etoa.org/> 06/12/2017
8. <https://www.ibiza-spotlight.com/>- 06/12/2017
<https://www.tbilisi.gov.ge> – 03/01/2018

THE IMPACT OF TAX AND OTHER REVENUE POLICIES ON DECENTRALIZATION OF THE MUNICIPAL BUDGETS

ANA TSULAIA, PHD, Assistant professor of GTU

RESUME

The article discusses the tax and other revenue policies impact on the municipal budgets, the process of forming. The municipality in financial matters are dependent on the central government. There are analyzed the different types of taxes in 2004-2005 years, also their reduction and cancellation stages and the current situation.

Furthermore, we consider that in the municipality, for the revenue growth of the local budget, it is necessary to generate the new types of revenue sources, which in today's conditions is quite possible. For this purpose, the article discusses the international practice, the common revenue types. It is possible such charges to be imposed by the municipalities such as the city fee, the same tourism fee and taxis fee. Moreover, considering that these fees can significantly increase the budget of the income of the municipal, this will help the local government to carry out more projects.

Finally, in the conditions of decentralization of the local governance, it is desirable to differentiate the functions of the state and local government, which will increase the financial right of the self-governing cities.

Key Words: Municipal budget, taxes, fees, tourism, self-government.



შრომის სტიმულირების სისტემა

იულია თედევი

ედ, საქართველოს საავიაციო
უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

რეზიუმე

შრომის სტიმულირება წარმოადგენს მუშაკის დაჯილდოების საშუალებას წარმოებაში მონაწილეობის სანაცვლოდ, რომელიც ეფუძნება შრომის ეფექტურობის შედარებას ტექნოლოგიის მოთხოვნებთან. დაჯილდოების სისტემა შედგება ფინანსური დაჯილდოებებისგან (ფიქსირებული და ცვალებადი ანაზღაურება) და შეღავათებისგან (იგი ეძლევათ მუშაკებს), რომლებიც ერთად შეადგენენ ჯამურ ანაზღაურებას. ეს სისტემა ასევე შეიცავს არაფინანსურ ნახალისებებს (აღიარება, შექება, პასუხისმგებლობის გაფართოება და პირადი ზრდა) და ძალიან ხშირად — მუშაობის მაჩვენებლების მართვის პროცესებს.

საკვანძო სიტყვები: ხელფასი, შრომის სტიმულირება, ნახალისება, გრეიდინგული სისტემა, სოციალური შეღავათები, საბაზო ანაზღაურება

შესავალი

შრომის სტიმულირების სისტემის შექმნა არის ადამიანური რესურსების მართვის მთავარი ინსტრუმენტი. ის ხელს უწყობს ორგანიზაციაში პროდუქტიული, მაღალხარისხიანი კადრების დაქირავებას და შენარჩუნებას. ბუნებრივია, სისტემა უნდა ეფუძნებოდეს სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპებს. მოტივაცია პირდაპირაა ასოცირებული საქმიანობის შესრულების ხარისხთან.

ქირითადი ტექსტი

საბაზო სარგო — ესაა ფიქსირებული ხელფასი ან ანაზღაურება, რომელიც დამოკიდებულია მოცემული ტიპის სამუშაოს ტარიფებზე. ხელით შრომის მუშაკებისთვის ეს შეიძლება იყოს დროებითი ან დღიური ტარიფი.

საბაზო ანაზღაურება უნდა იყოს საკმარისი, რათა ფირმაში მოხდეს საჭირო კვალიფიკაციის და მომზადების მქონე მუშაკების მოზიდვა. იგი არ უნდა აღემატებოდეს მუშაკის მიერ მიღებული შემოსავლის 70-90%. საბაზო ხელფასის ზრდა უნდა მოხდეს მუშაკთა გარკვეული ჯგუფის, ან მთლიანი სანარმოს შრომის ნაყოფიერების ზრდის შესაბამისად. მიღწეული ცხოვრების დონე არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც საბაზო ხელფასის დონის განსაზღვრის საფუძველი.

ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება დამატებითი ფინანსური ანაზღაურების გაცემა, რაც დაკავშირებულია შესრულებული სამუშაოს მაჩვენებლებთან, კვალიფიკაციასთან, კომპეტენტურობასთან და გამოცდილებასთან. გარდა ამისა, შეიძლება მოხდეს სპეციალური დამატებების გაცემაც. თუ ასეთი ანაზღაურებები (გადახდები) არ არის შეტანილი საბაზო სარგოში, მაშინ ისინი შეიძლება ჩაითვალოს ცვალებად ანაზღაურებად. დამატებითი ანაზღაურების სახეებია:

- ანაზღაურებები, რომლებიც ეფუძნება შესრულებული სამუშაოს ინდივიდუალურ მაჩვენებლებს, რომლის დროსაც საბაზო სარგოს დამატებები ან პრემიები განისაზღვრება შესრულებული სამუშაოს მაჩვენებლების შეფასებით;

- პრემიები — დაჯილდოება წარმატებული მუშაობისთვის, რომლებიც გაიცემა ერთჯერადი თანხის სახით და უკავშირდება ცალკეული მუშაკების, გუნდების ან მთლიანად ორგანიზაციის მიერ მიღწეულ შედეგებს;

- ნახალისებები — ანაზღაურებები, რომლებიც “მიბმულია” წინასწარ დასახული მიზნების მიღწევასთან;

- კომისია — ნახალისების განსაკუთრებული ფორმა, რომლის დროსაც სავაჭრო წარმომადგენლების შრომის (სამუშაოს) ანაზღაურება დაიანგარიშება, როგორც მათ მიერ გაყიდული პროდუქტ-

ციის მოცულობის პროცენტი;

- გადახდები (ანაზღაურებები) დაკავშირებული სამუშაო სტაჟთან;

- დამატებითი გადახდა, რომელიც დაკავშირებულია კვალიფიკაციასთან და იცვლება მოცემული მუშაკის ცოდნის (ოსტატობის) დონის შესაბამისად;

- ანაზღაურება, რომელიც დაკავშირებულია კომპეტენციასთან, რომელიც ვარირებს მოცემული მუშაკის კომპეტენციის შესაბამისად;

- დამატება — ანაზღაურების ელემენტი, რომლის გადახდა ხდება ცალკეული თანხების სახით შრომითი საქმიანობის ისეთი ასპექტებისთვის, როგორცაა — ზეგანაკვეთური, ცვლაში მუშაობა, გამოძახებით მუშაობა, ცხოვრება დიდ ქალაქებში;

- გადახდები — დაკავშირებულია შეტანილ წვლილთან შრომაში — იგი უკავშირდება სამუშაოს მაჩვენებლებს და მოცემული მუშაკის კომპეტენციას.

ჯამური ხელფასი ჩვეულებრივ იანგარიშება, როგორც ჯამი საბაზო ანაზღაურების (სარგოს) და დამატებითი ანაზღაურებებისა ცალკეული მუშაკისთვის იმის ასახსნელად, თუ როგორ აიგება მისი ანაზღაურების პაკეტი, ამ დროს აუცილებელია საერთო ჯამის (თანხის) დაყოფა ჩამოთვლილ მდგენელებად და იმის ჩვენება, თუ როგორ ადგენენ გასაცემი თანხის რაოდენობას.

მოსამსახურეთა სოციალური შეღავათების და ანაზღაურების, როგორც მუშაკის ჯამური შემოსავლის როლი, ბოლო დროს მნიშვნელოვნად იზრდება. თანამშრომლებისთვის განეული შეღავათების სპექტრი საკმაოდ ფართოა:

- სადღესასწაულო დღეების ანაზღაურება;
- შვებულებების ანაზღაურება;
- დროებითი შრომისუუნარობის დღეების ანაზღაურება;
- დასვენებისთვის გამოყოფილი შესვენების დროის ანაზღაურება;

- ახალ სამუშაო ადგილზე გადასვლის შემთხვევაში მუშაკისთვის დახმარების განევა (ტრანსპორტით უზრუნველყოფა და ა.შ.).

ავითარებენ რა სოციალური შეღავათების და გადახდების

(ანაზღაურების) სისტემას მუშაკების და პროფკავშირების ზენო-ლით, მენარმეები შენუხებული არიან როგორც მთლიანად სამუშაო ძალაზე განეული ხარჯებით, ასევე, იმ ნაწილზე, რაც ითვალისწინებს ამ შეღავათების განევას. მზარდმა ხარჯებმა და მათი კონტროლის ობიექტურმა აუცილებლობამ, გამოიწვია ახალი სახის სოციალური შეღავათების და ანაზღაურებების შემოღება, რომლებსაც ეწოდა მოქნილი შეღავათების (ან მოქნილი გეგმების) სახელი. მათი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გაცილებით ფართო შეღავათების და გადახდების სისტემის არსებობისას, თანამშრომლებს საშუალება მიეცეთ თითოეული კონკრეტული მომენტისთვის გააკეთონ ისეთი არჩევანი, რომელიც მათ უფრო მეტად აკმაყოფილებს და ამგვარად ხდება შეღავათების მისადაგება მუშაკთა მიმდინარე საჭიროებებთან. ასეთი მიდგომა აკმაყოფილებს ორივე მხარეს — როგორც მენარმეს, ისე მუშაკს.

დიდი პოპულარობით სარგებლობს შვებულებების ბანკები, რომლებიც აერთიანებენ ანაზღაურებადი შვებულების დღეებს, საავადმყოფო ფურცლებს (დღეებს) და ა.შ.

სოციალური ტიპის შეღავათები და გადახდები არ ფიგურირებს უშუალოდ გადახდის უწყისებში, მაგრამ ისინი არსებით გავლენას ახდენენ მუშაკების შემოსავლების დონეზე. ისინი ადამიანებს იცავენ არამართო სოციალურად, არამედ აგრეთვე, საშუალებას აძლევენ ფირმებს, რომ მათ მოიწვიონ და დაამაგრონ სამსახურში კვალიფიციური კადრები, განავითარონ ფირმის მიმართ ლოიალურობის განწყობა.

არსებობს შრომის ანაზღაურების დონეების რეგლამენტირების რამოდენიმე საშუალება — დაახლოებით ათამდე კონკრეტული მეთოდი. მათგან დღეისათვის ყველაზე პოპულარულია **გრეიდინგი**, ან **გრეიდების სისტემა**. გრეიდინგი წარმოადგენს პოზიციური თანამდებობების ვერტიკალურ სტრუქტურას, რომლის შესაბამისად დაიანგარიშება კომპანიის თანამშრომლების ხელფასი. გრეიდების ერთხელ დაფიქსირებული სისტემა ხდება შემდეგ კომპეტენციებისა და შეღავათების კორპორატიული პოლიტიკის საფუძველი.

გადახდის (ანაზღაურების) სტრუქტურა შეიძლება დაიყოს

ორნაირად:

- ინდივიდუალური რანგი ენიჭება თითოეულ უნიკალური რაოდენობის ქულებს (ესაა “ქულების მიხედვით ანაზღაურების” სტრუქტურა);

- ერთნაირი, ან მსგავსი ქულების მქონე თანამდებობები უნდა დაჯგუფდეს კლასებად, რომლებსაც ენოდებათ გრეიდები.

გრეიდების ზომა — სხვადასხვა ცენზის მქონე თანამდებობის კომპლექტი, რომლებიც შედიან მოცემულ გრეიდში. იმის მიხედვით, რამდენად ფართოა თითოეული გრეიდის ზომა (როგორც სხვადასხვა ცენზის მქონე თანამდებობების რაოდენობა), იცვლება მუშაკის მაღალ თანამდებობაზე გადაყვანის მექანიზმის ხასიათი.

გრეიდინგული სტრუქტურის შემმუშავებელთა გამოცდილება აჩვენებს, რომ გრეიდის ზომა უნდა იყოს 15-40%-ის ფარგლებში, ხოლო კონკრეტულ ზომას ინდივიდუალურად ანგარიშობს თვითონ ორგანიზაცია. 30%-ზე მეტი განსხვავება ნიშნავს, რომ მნიშვნელოვნად განსხვავებული თანამდებობები მოხვდებიან ერთ გრეიდში, ხოლო თუ განსხვავება 15%-ზე ნაკლებია, ნიშნავს, რომ თითქმის შეუმჩნეველი განსხვავების მქონე თანამდებობები მოხვდებიან სხვადასხვა გრეიდებში.

ზოგჯერ თანამდებობები, რომლებსაც აქვთ მსგავსი ქულათა რაოდენობა, შეიძლება დაჯგუფდეს მხოლოდ შეღავათების განაწილების მიზნით, ხოლო თვით ანაზღაურების სტრუქტურა აიგება პრინციპით “ანაზღაურება ქულების მიხედვით”. მოყვანილი ორი მეთოდიდან რომელიმეს არჩევას სჭირდება სერიოზული დაფიქრება და ეს არჩევა ძალიან არის დამოკიდებული გარემოებებზე.

გრეიდინგული სისტემის უპირატესობები:

- გამოიყენება დიდი რაოდენობით თანამდებობების მქონე ორგანიზაციებში, რადგან შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული ადმინისტრირების პროცესი თანდათან ხდება უფრო გამჭვირვალე და გასაგები;

- გრეიდების სისტემის ახსნა და გაგება მარტივია, ასევე მარტივია სხვადასხვა დონის თანამდებობების თანაფარდობის გამოთვლა;

- გრეიდინგული ტერმინოლოგიის გამოყენება გვეხმარება

სწრაფად და იოლად ავეხსნათ მუშაკებს მოცემული ვაკანსია რა სახის შესაძლებლობებს იძლევა თანამდებობრივი ზრდის თვალსაზრისით, როგორც მოცემული გრეიდის შიგნით, ისე მის გარეთ;

- ამარტივებს მოლაპარაკებებს ანაზღაურების დონის დანიშვნის საკითხში;

- იძლევა თანამდებობის არჩევის გარკვეული ხარისხის მოქნილობას და მუშაკის გადაყვანის შესაძლებლობას ერთი თანამდებობიდან მეორეზე, ერთი გრეიდის ფარგლებში.

გრეიდიנגული სისტემის ნაკლოვანებები:

- თანამდებობების დაჯგუფება გრეიდებად ამცირებს თანამდებობების რაოდენობრივი შეფასების სიზუსტის ხარისხს. თანამდებობების დიფერენციაციის უპირატესობები ნაწილობრივ ნიველირდება აგრეგაციის პროცესში;

- თანამდებობების დაჯგუფება სინამდვილეში ნიშნავს, რომ თითოეულ გრეიდში არის სხვადასხვა ქულების მქონე თანამდებობები. ანაზღაურების სტრუქტურის თვალსაზრისით, ყოველი გრეიდი წარმოადგენს ცალკე ერთეულს (იუნიტს). მცირე ქულებიან თანამდებობებზე მომუშავე მუშაკებს გადაუხდებიან ზედმეტს, ხოლო მაღალ ქულებიან თანამდებობებზე მომუშავეებს, გადაუხდებიან ნაკლებს;

- გრეიდების გამოყენების მთავარი ნაკლი უკავშირდება გრეიდიგული სისტემის მექანიზმის შემუშავებას. თვით ის ფაქტი, რომ არსებობს გრეიდის საზღვრები, რომლებიც თანამდებობების ჯგუფებს ჰყოფენ ცალკეულ კლასებად, იწვევს არაერთგვაროვნებას, წყვეტებს თანამდებობების კლასიფიკაციის სისტემაში. ამიტომ, თანამდებობების შეფასების და გრეიდების საზღვრების განსაზღვრის პროცესი უნდა ჩატარდეს ძალიან ზუსტად;

- გარდაუვალია, რომ არ მოხდეს თანამდებობების რაიმე გადანაცვლება უფრო მაღალი გრეიდის ზონაში. ხშირად ეს ხდება შრომის ანაზღაურების კარგად შემუშავებული სტრუქტურისა და მისი დოკუმენტაციის არარსებობისას.

ზოგიერთ ორგანიზაციებში გამოყენებულია შრომის ანაზღაურების სტრუქტურის აგების ორი ჩამოთვლილი მეთოდის კომბინაცია. მაგალითად, უფრო დაბალი კვალიფიკაციის

თანამდებობებისთვის გამოიყენება გრეიდების სისტემა, ხოლო უფრო მაღალი დონისთვის (თანამდებობების ნაკლები რაოდენობით) გამოიყენება ხელფასის (ანაზღაურების) ინდივიდუალური შკალა, ან წერტილოვანი ანაზღაურების მეთოდი, ე.ი. “ქულების მიხედვით” გადახდის სტრუქტურა.

დასკვნა

გრეიდების სტრუქტურის შემოღების მთავარი ფაქტორია შრომის ანაზღაურების უწყვეტობის დაცვა, მისი მინიმუმამდე დაყვანა. გრეიდის ზომა იძლევა საშუალებას ორგანიზაციაში მოვახდინოთ კვალიფიკაციის დონეების მიხედვით დიფერენცირება, რომელიც შეიძლება იყოს ძალიან მცირე სწრაფად განვითარებადი და შედარებით გამოუცდელი ორგანიზაციებისთვის და საკმაოდ დიდი სტაბილური და გამოცდილების მქონე ორგანიზაციებისთვის. გრეიდინგული სისტემის გამოყენება შეიძლება წარმოადგენდეს ორგანიზაციის კორპორატიული კულტურის ნაწილს და თანამდებობების შეფასების სხვა სისტემის დანერგვისკენ სწრაფვას.

ლიტერატურა:

1. ნ. პაიჭაძე, შრომის ეკონომიკა, სახელმძღვანელო, თბ. 2000 წ.
2. ნ. პაიჭაძე, ე. ჩოხელი, ნ. ფარესაშვილი, ადამიანური რესურსების მენეჯმენტი, თბ., 2011 წ.
3. ქ. კინმარიშვილი, პერსონალის მართვა. გამ. „სამართლიანი საქართველო“, 2013.
4. Управление персоналом: Учебник для вузов / Под ред. Т.Ю. Базарова, Б.Л. Еремина. М.: ЮНИТИ-ДАНА, 2001.
5. Базаров Т.Ю. Психологические грани изменяющейся организации. М.: Аспект пресс, 2007.

REFERENCES:

1. N. Paichadze, Labor Economics. Manual. Tbilisi, 2000.
2. N. Paichadze, E. Chokheli, N. Paresashvili, Human Resource Management. Tbilisi, 2011.

3. K. Kitsmarishvili, Personnel Management. “Samartliani Sakartvelo”, 2013.

4. Personnel Management: Manual for high schools/ edited by T.I. Bazarov, B.L. Eremin. M.: 2001.

5. T.I. Bazarov, The psychological facets of a changing organization. M.: Aspect Press, 2007.

LABOR STIMULATING SYSTEM

**IULIA TEDEEVI, PhD, Associate Professor of
Georgian Aviation University**

RESUME

The stimulation of labor is the way of employee’s remuneration in exchange for the participation in the company, based on the comparison of the labor efficiency with the requirements of technology. The remuneration system is composed of the financial remuneration (fixed and variable compensation) and benefits (provided to employees) together composing the total compensation. This system also includes nonfinancial encouragements (acknowledgement, praising, broadening responsibility and personal growth) and very often – the procedures on management of performance indicators.

Key words: salary, labor incentives, stimulation, grading system, social benefits, basic salary.

სიღარიბე და უემოსავლეების უთანაბრობა საქართველოში

შოთა გურული
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

უკვე დიდი ხანია აღიარებულია, რომ სიღარიბე პრობლემაა, არა მხოლოდ ღარიბი ქვეყნებისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსათვის. გამომდინარე იქიდან, რომ სიღარიბის სხვადასხვა სახეები არსებობს და შესაბამისად გამომწვევი მიზეზებიც მრავალფეროვანია, მისი დამარცხება ადვილი არ არის. რიგ ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებშიც კი მწვავედ დგას სიღარიბის პრობლემა, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ სიღარიბის დასაძლევად მხოლოდ ეკონომიკური სიძლიერე არ კმარა. ამისათვის უფრო რთული და კომპლექსური ნაბიჯების გადადგმა არის საჭირო.

საქართველოში აბსოლუტური სიღარიბის მეთოდოლოგია მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებულ საბაზისო მოთხოვნილებების მეთოდს ეფუძნება. სიღარიბის ზღვარი მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით, საარსებო მინიმუმის ღირებულების შესაბამისად განისაზღვრება. საქსტატის მონაცემებით, 2011-2015 წლებში აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი ყოველწლიურად მცირდებოდა. თუმცა, 2016 წელს იმ მოსახლეობის წილი, რომელიც აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს 0.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა.

საკვანძო სიტყვები: სიღარიბე მსოფლიოში; მსოფლიო ბანკი; აბსოლუტური სიღარიბე; ფინანსური კრიზისი; ეკონომიკური ზრდა; სიღარიბე საქართველოში.

შესავალი

მსოფლიო ბანკის მეთოდოლოგიით, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მიიჩნევა მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც დღიურად 2.5 საერთაშორისო დოლარზე ნაკლებს მოიხმარს. დღეს 3 მილიარდზე

მეტი ადამიანი ცხოვრობს დღეში 2.5 დოლარზე ნაკლები შემოსავლით და დაახლოებით 1.3 მილიარდი უკიდურეს სიღარიბეშია, რაც ყოველდღიურად შემოსავლის სახით 1.25 დოლარი ან ნაკლებია.

სიღარიბე დღესდღეობით კვლავ დიდი პრობლემაა მსოფლიოში და საქართველოშიც. უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წელს მსოფლიოს მოსახლეობის მხოლოდ 18% ცხოვრობდა სიღარიბის ზღვარს ქვემოთ, 1990 წელს 36%-თან შედარებით. ეს პატარა გამარჯვებაა, მაგრამ პროგრესი ნელია.

მსოფლიო ბანკის მიზანია, რომ 2020 წლისთვის გლობალურ სიღარიბე 9%-მდე და 2030 წლისთვის 3%-მდე შეამციროს. ისინი გეგმავენ, რომ მეტი ყურადღება გაამახვილონ დაბალშემოსავლიანი მოსახლეობის 40%-ზე, რათა ხელი შეუწყონ მათი შემოსავლების ზრდას. ეს კი, თავის მხრივ, გაზრდის საშუალო ფენას და აამაღლებს საერთო კეთილდღეობას.

საქართველო უკვე 25 წელია თანამშრომლობს მსოფლიო ბანკთან. ჯამურად, ამ პერიოდის განმავლობაში, მსოფლიო ბანკმა 4,3 მლრდ დოლარზე მეტის ინვესტიცია გააკეთა ჩვენს ქვეყანაში და 100-ზე მეტი პროექტი განახორციელა, საიდანაც მიმდინარე პროექტები 1 მილიარდ დოლარზე მეტია.

სიღარიბის დაძლევა კვლავაც რჩება საქართველოს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს, ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად. 2016 წლის გამოთვლებით,¹ ყოველი მეშვიდე ოჯახი ქვეყანაში საარსებო მინიმუმზე ნაკლებს მოიხმარდა. ამასთან, 2012-2014 წლებში მნიშვნელოვანი კლების შემდეგ, 2015-2016 წლებში სიღარიბის დონე არსებითად არ შეცვლილა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული კლება შეიძლება ეპიზოდურ ხასიათს ატარებდეს და სინამდვილეში არსებობს სიღარიბის მასშტაბის ზრდის სერიოზული რისკი. ვითარებას ართულებს ისიც, რომ 2014-2016 წლებში შეჩერდა ყველაზე მდიდარი და ღარიბი შინამეურნეობების შემოსავლების დონეებს შორის განსხვავების შემცირების ტენდენცია, რომელიც წინა წლებში შეინიშნებოდა. ყოველივე ეს სიღარიბის და უთანაბრობის პრობლემების შემდგომი ეკონომიკურ-სტატის-

1 „ქრონიკული სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრობა საქართველოში“ - ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევა გვ.5 - 2017

ტიკური კვლევისა და სიღარიბის შემსუბუქების უფრო ქმედითი პოლიტიკის გატარების აუცილებლობაზე მეტყველებს.

ძირითადი ტექსტი

სიღარიბე უაღრესად ფარდობითი ცნებაა და ზომვადი და არა-ზომვადი ფაქტორების მთელ რიგს შეიცავს. ამასთან, იგი სრულიად კონკრეტულ სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ საფრთხეებს შეიცავს:

1. სიღარიბე და უთანაბრობა არსებითად აფერხებს სოციალურ განვითარებას - საზოგადოების ნაწილი ვერ მონაწილეობს სოციალურ ცხოვრებაში, ვერ ახერხებს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას, ინვესტიციას ადამიანურ კაპიტალში, რაც არსებითად აფერხებს სოციალური ჰარმონიულ განვითარებას. განსაკუთრებით ნეგატიურია ქრონიკული სიღარიბის ზეგავლენა, ვინაიდან სოციალური რეგრესი სიღარიბეში ხანგრძლივი ცხოვრების გარდაუვალი შედეგია;

2. სიღარიბე და უთანაბრობა არსებითად აფერხებს ეკონომიკურ განვითარებას — მოსახლეობის მსყიდველუნარიანობა სიღარიბის დონის უკუპროპორციულია და რაც უფრო მაღალია სიღარიბე და უთანაბრობა, მით უფრო დაბალია მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი. ყოველივე ეს ავტომატურად ნიშნავს მოთხოვნის დაბალ დონეს და, შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია;

3. სიღარიბე და უთანაბრობა არსებითად აფერხებს პოლიტიკურ განვითარებას — რაც უფრო მაღალია სიღარიბე და უთანაბრობა, მით უფრო დაქსაქსული, პოლარიზებული და გაუცხოებულია საზოგადოება. მით უფრო ქაოსური და ურთიერთსაპირისპიროა ინტერესთა ჯგუფები, რაც არსებითად ართულებს პოლიტიკური კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობას;


4. სიღარიბე და უთანაბრობა ზრდის საზოგადოების შიგნით დაპირისპირების მუხტს და აქედან გამომდინარე, სოციალური აფეთქების რისკს შეიცავს - რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სიღარიბის რაღაც მაჩვენებლის პირობებში აუცილებლად მოხდება სოციალური აფეთქება, მაგრამ ის ქმნის საზოგადოე-

ბის შიდა დაპირისპირებისათვის ერთობ ნაყოფიერ ნიადაგს, რაც არსებითად უიოლებს საქმეს შიდა საზოგადოებრივი დაპირისპირების მოსურნე ინტერესთა ჯგუფებს.

ამ არასრული ჩამონათვალისადაც ჩანს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სიღარიბისა და უთანაბრობის ნეგატიური ზეგავლენა და რისკები და, აქედან გამომდინარე, რამდენად მნიშვნელოვანია ამ საკითხის დეტალური შესწავლა, ანალიზი და პრევენცია.

2017 წელს საქსტატმა სიღარიბის აბსოლუტური მაჩვენებლების წინასწარი მონაცემები გამოაქვეყნა. საქსტატის მონაცემებით, 2011-2015 წლებში აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი ყოველწლიურად მცირდებოდა. თუმცა, 2016 წელს იმ მოსახლეობის წილი, რომელიც აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს 0.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 21.3% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ სიღარიბის მაჩვენებელი განსაკუთრებით მაღალია სოფლად. 2016 წლის მონაცემებით, ქალაქში მცხოვრები მოსახლეობის 16.9% ითვლება ღარიბად, ხოლო სოფლად მაცხოვრებლების 25.5%-ია ღარიბი.

გრაფიკი 1: სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი წყარო: საქსტატი



* წინასწარი მონაცემები

** სიღარიბის ზღვრის გაანგარიშების საბაზისო წელი


ბოლო წლებში სიღარიბის შემცირება მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის შედეგია. 2016 წელს სიღარიბის მაჩვენებლის

ზრდა კი, ეროვნული ვალუტის გაუფასურებას უკავშირდება.¹

2012 წლის მონაცემებთან შედარებით სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი 28.9%-დან 21.3%-მდე შემცირდა, ანუ 7.6%. საქსტატი არ აქვეყნებს სიღარიბის რაოდენობრივ მაჩვენებელს, შესაბამისად, კონკრეტულად რამდენით ნაკლები ღარიბია დღეს ქვეყანაში, ამას დაზუსტებით ვერ ვიტყვი. თუმცა, კლების მაჩვენებელს მთლიანი მოსახლეობის რაოდენობას თუ შევადარებთ, დღეს დაახლოებით 282 ათასით ნაკლები ღარიბია², ვიდრე 2012 წელს იყო.

როდესაც იზრდება ეკონომიკა და ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი, სიღარიბის მაჩვენებელიც ლოგიკურად მცირდება. 2008 წლის აგვისტოს ომისა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ (რომელთაც ჰქონდათ გამალარიბებელი ეფექტი), მხოლოდ 2011 წლიდან დაიწყო საქართველოში სიღარიბის შემცირება და ეკონომიკური ზრდა. ეს ტენდენცია 2016 წლამდე შენარჩუნდა.

გრაფიკი 2: მედიანური მოხმარების 60%-ს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი. წყარო: საქსტატი



1 „2016 წელს სიღარიბის მაჩვენებელი 0.5%-ით გაიზარდა.“ - <http://factcheck.ge>

2 საქსტატში დააზუსტეს, რომ ყველა წლის მონაცემების დაანგარიშებისას, მთლიანი მოსახლეობის რაოდენობად დაახლოებით 3.7 მლნ იყო განსაზღვრული.

სიღარიბის ერთ-ერთი განმსაზღვრელი კრიტერიუმი არის ფარდობითი სიღარიბე, რომელიც აჩვენებს, მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების შესაბამისობას მათ საშუალო მოხმარებასთან. საქსტატის მეთოდოლოგიით, ღარიბად ითვლება ის, ვინც მთლიანი მოსახლეობის საშუალო მოხმარების 60%-ზე ნაკლებს მოიხმარს.


საქსტატის მონაცემებით, 2016 წელს ასევე 0.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა იმ მოსახლეობის წილი, ვინც საშუალო მოხმარების 60%-ზე ნაკლებს მოიხმარს.

მსოფლიო ბანკის კვლევის თანახმად, საქართველოში 2009 და 2010 წლებში სიღარიბის მაჩვენებლები გაიზარდა, რაც სწორედ ომის შემდგომი პერიოდსა და მსოფლიო ფინანსური კრიზისის გავლენა იყო. 2011-2014 წლებში სიღარიბის მაჩვენებელი 46.7%-დან 32.3%-მდე შემცირდა. მსოფლიო ბანკის პროგნოზით, სიღარიბის შემცირება შემდგომ წლებშიც უნდა გაგრძელდეს, თუმცა, 2016 წელს პირიქით მოხდა და სიღარიბის მაჩვენებელი გაიზარდა. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ფილიყო ვალუტის გაუფასურება, რომელმაც მოსახლეობას ჯანდაცვის, სურსათისა და ტრანსპორტის ხარჯები, ასევე საბანკო სესხები გაუძვირა.

2016 წელს იმ მოსახლეობის წილი, რომელიც აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, 0.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 21.3% შეადგინა. 2012 წლის შემდეგ, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი 7.6 პროცენტული პუნქტით შემცირდა. თუმცა, ეს იყო არსებული ტენდენციის გაგრძელება. ქვეყანაში სიღარიბის შემცირების ტენდენცია 2011 წლიდან დაიწყო.

ეკონომიკის უფრო მაღალი ტემპით ზრდის შემთხვევაში, ან არსებული ეკონომიკური ზრდის ტემპის შენარჩუნების შემთხვევაში, სიღარიბის მაჩვენებელი დიდი ალბათობით უფრო მეტად შემცირდებოდა. მეტიც, რომ არა ლარის დევალვაცია, 2016 წელს სიღარიბის მაჩვენებელი არათუ გაიზარდებოდა, არამედ შემცირდებოდა.

გრაფიკი 3: ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლართან და ევროსთან. წყარო: საქსტატი



დასკვნა

არსებული მაგალითის და 2017 წელს ეროვნული ვალუტის კურსის გაუფასურებიდან გამომდინარე, უნდა ველოდოთ სიღარიბის მაჩვენებლების კიდევ უფრო ზრდას. შედარებისათვის, 2015 წელს 1 აშშ დოლარის საშუალო წლიური ღირებულება 2.2702 ლარს შეადგენდა. 2016 წელს კი, 0,0665 პუნქტით გაიზარდა და 2.3667 ლარი შეადგინა, რაც მთავარ მიზეზად დასახელდა აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მცხოვრები მოსახლეობის მონაცემების 2015 წელთან შედარებით 0.5 პროცენტული პუნქტით გაზრდისას. 2017 წლის 10 თვის მონაცემებით კი 1 აშშ დოლარი საშუალოდ 0,1253 პუნქტით, 2,492 ლარამდეა გაზრდილი.

ლიტერატურა

1. სიღარიბის აბსოლუტური მაჩვენებლები
<http://www.geostat.ge/?action=news&lang=geo&npid=1146>
2. მონეტარული სტატისტიკა
http://geostat.ge/?action=page&p_id=316&lang=geo

3. საქართველოს ეროვნული ბანკი, სტატისტიკური მონაცემები

<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304#depozitebi>

4. მსოფლიო ბანკი და საქართველო

<http://muchstudentworks.blogspot.com/2015/06/blog-post.html>

5. მსოფლიო ბანკისა და საქართველოს თანამშრომლობის პროგრამის მოკლე მიმოხილვა

http://siteresources.worldbank.org/INTGEORGIA/Resources/Georgia_Snapshot_Geo.pdf

6. მსოფლიო ბანკი

<http://www.worldbank.org/en/about/what-we-do>

7. მსოფლიო დათვლები

<http://www.theworldcounts.com/stories/Poverty-in-the-World-Today>

8. „ქრონიკული სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრობა საქართველოში“

<https://www.gfsis.org/files/library/pdf/Georgian-2509.pdf>

References

1. Absolute indicators of poverty, Geostat

<http://www.geostat.ge/?action=news&lang=geo&npid=1146>

2. Monetary statistics, Geostat

http://geostat.ge/?action=page&p_id=316&lang=geo

3. National bank of Georgia

<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304#depozitebi>

4. World Bank and Georgia

<http://muchstudentworks.blogspot.com/2015/06/blog-post.html>

5. A brief overview of the World Bank and Georgia cooperation program

http://siteresources.worldbank.org/INTGEORGIA/Resources/Georgia_Snapshot_Geo.pdf

6. The World Bank

<http://www.worldbank.org/en/about/what-we-do>

7. The World Counts

<http://www.theworldcounts.com/stories/Poverty-in-the-World-Today>

8. Chronic Poverty and Income Inequality in Georgia

<https://www.gfsis.org/files/library/pdf/English-2509.pdf>

POVERTY AND INCOME INEQUALITY IN GEORGIA

Shota Guruli

PhD student of Georgian Technical University

RESUME

It has long been recognized that the poverty is a problem not only for the poorest countries but for the whole world. Due to the fact that there are different types of poverty and consequently its causes are diverse. His defeat is not easy. Even in a number of economically developed countries, the problem of poverty is acute, which is another proof that the economic strength is not enough to overcome the poverty. This requires more complex and compelling steps.

Absolutely, the poverty methodology in Georgia is based on the basic needs of the World Bank. The poverty threshold is based on the income and expenditure of the population, depending on the cost of subsistence minimum. According to data of the National Statistics Office of Georgia, the absolute poverty rate is decreasing yearly in 2011-2015. However, in 2016 the share of the population, which leaves below the absolute poverty line, grew by 0.5 percentage points.

Key Words: Poverty in the world; the World Bank; Absolute poverty; Financial crisis; Economic Growth; Poverty in Georgia;



**ფინანსები, ბანკები,
ბირჟები**

**ფინანსური ლევერიჯი (ბერკეტი)
როგორც სანარმოს საკუთარი და ნასესხები
კაპიტალის თანაფარდობის რეგულირების
მნიშვნელოვანი მექანიზმი**

გიორგი ცაავა
ემდ სტუ პროფესორი
რატი ბურდიაშვილი
სტუ პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია სანარმოს კაპიტალის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები და აღნიშნულია, რომ სანარმოს, რომელიც მხოლოდ საკუთარ კაპიტალს იყენებს, უმაღლესი ფინანსური მდგრადობა გააჩნია, მაგრამ იგი საკუთარი განვითარების ტემპებს ზღუდავს და დაბანდებულ კაპიტალზე მოგების ნაზარდის ფინანსურ შესაძლებლობებს არ იყენებს. სანარმოს, რომელიც ნასესხებ კაპიტალს იყენებს, საკუთარი განვითარების უფრო მაღალი ფინანსური პოტენციალი და საქმიანობის ფინანსური რენტაბელობის ნაზარდის შესაძლებლობები გააჩნია.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ლევერიჯი, საკუთარი კაპიტალი, ნასესხები კაპიტალი, სანარმოს სასიცოცხლი ციკლი.

ძირითადი ტექსტი

სანარმოს კაპიტალის მართვის საერთო საფუძვლები, ეკონომიკური არსი და კლასიფიკაცია. კაპიტალი, წარმოადგენს რა სანარმოს შექმნისა და განვითარების მთავარ ეკონომიკურ ბაზას, თავისი ფუნქციონირების პროცესში სახელმწიფოს, მესაკუთრეებისა და პერსონალის ინტერესების უზრუნველყოფელია.

ფინანსური მენეჯმენტის პოზიციიდან სანარმოს კაპიტალი მისი აქტივების ფორმირებაში ინვესტირებული საშუალებების საერთო ღირებულების ფულად, მატერიალურ და არამატერიალურ ფორმებში მახასიათებელია.

სანარმოს კაპიტალის ეკონომიკური არსის განხილვისას პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მისი ისეთი მახასიათებლები, როგორებიცაა:

1. სანარმოს კაპიტალი წარმოების ძირითად ფაქტორს წარმოადგენს.

2. კაპიტალი შემოსავლის მომტანი სანარმოს ფინანსური რესურსების მახასიათებელია.

3. კაპიტალი მისი მესაკუთრეების კეთილდღეობის ფორმირების მთავარ წყაროს წარმოადგენს.

4. სანარმოს კაპიტალი მისი საბაზრო ღირებულების მთავარ საზომს წარმოადგენს.

5. სანარმოს კაპიტალის დინამიკა მისი სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის დონის უმნიშვნელოვანესი ბარომეტრია.

სანარმოს კუთვნილებადობის მიხედვით მის კაპიტალი იყოფა საკუთარი და ნასესხები სახით.

საკუთარი კაპიტალი სანარმოში საკუთრების უფლებით კუთვნილებაში არსებული და მისი აქტივების გარკვეული ნაწილის ფორმირებისათვის მის მიერ გამოყენებადი საშუალებების საერთო ღირებულების მახასიათებელია. აქტივების აღნიშნული ნაწილი სანარმოში საკუთარი კაპიტალის ინვესტირების ხარჯზე არის ფორმირებული.

ნასესხები კაპიტალი სანარმოს განვითარების დაფინანსებისათვის დაბრუნებადობის საფუძველზე მოზიდული ფულადი სახსრების ან სხვა ქონებრივი ფასეულობების მახასიათებელია. სანარმოს მიერ გამოყენებადი ნასესხები კაპიტალის ყველა ფორმები თავისთავად გათვალისწინებულ ვადებში დაფარვას დაქვემდებარებულ მის ფინანსურ ვალდებულებებს წარმოადგენენ.

სანარმოს, რომელიც მხოლოდ საკუთარ კაპიტალს იყენებს, უმაღლესი ფინანსური მდგრადობა გააჩნია (მისი ავტონომიურობის კოეფიციენტი ტოლია ერთის), მაგრამ იგი საკუთარი

განვითარების ტემპებს ზღუდავს (რადგანაც ბაზრის ხელსაყრელი კონიუნქტურის პერიოდებში აქტივების საჭირო დამატებითი მოცულობის ფორმირების უზრუნველყოფა არ შეუძლია) და დაბანდებულ კაპიტალზე მოგების ნაზარდის ფინანსურ შესაძლებლობებს არ იყენებს.

საწარმოს, რომელიც ნასესხებ კაპიტალს იყენებს, საკუთარი განვითარების უფრო მაღალი ფინანსური პოტენციალი (აქტივების დამატებითი მოცულობის ფორმირების ხარჯზე) და საქმიანობის ფინანსური რენტაბელობის ნაზარდის შესაძლებლობები გააჩნია, მაგრამ მეტი ზომიერებით ფინანსური რისკისა და გაკოტრების საშიშროების გენერირებას ახდენს (იგი მზარდია გამოყენებადი კაპიტალის საერთო ჯამში ნასესხები საშუალებების ხვედრითი წილის გადიდების შესაბამისად).

ფინანსური ლევერიჯი ანუ საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის დონის მაქსიმიზაციის უზრუნველყოფა. ფინანსური ლევერიჯი საწარმოს მიერ ნასესხები საშუალებების გამოყენების მახასიათებელია, რომელიც საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტის ცვლილებაზე ზემოქმედებს. სხვა სიტყვებით, ფინანსური ლევერიჯი თავისთავად საწარმოს მიერ გამოყენებადი კაპიტალის მოცულობაში ნასესხები საშუალებების წარმოშობით წარმოქმნად ობიექტურ ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც მას საკუთარ კაპიტალზე დამატებითი მოგების მიღების შესაძლებლობას აძლევს (1, გვ. 436-442).

ნასესხები საშუალებების სხვადასხვა წილის გამოყენებისას საკუთარ კაპიტალზე დამატებითად გენერირებადი მოგების დონის გამომხატველ მაჩვენებელს **ფინანსური ლევერიჯის ეფექტი** ეწოდება. იგი გაიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

$$\text{ფლე} = (1 - \text{გნ}_{\text{გაგ}}) \times (\text{მრკ}_{\text{კ}} - \text{პრკრ}) \times (\text{ნკ/სკ}),$$

სადაც: ფლე - ფინანსური ლევერიჯის ეფექტია, რომელიც საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტის ნაზარდში მდგომარეობს, %;

$\text{გნ}_{\text{გაგ}}$ - განაკვეთია მოგების გადასახადის, გამომხატული ათწილადებში;

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

მრკ_{აქ} - მთლიანი რენტაბელობის კოეფიციენტია აქტივების (მთლიანი მოგების თანაფარდობა აქტივების საშუალო ღირებულებასთან), %;

პრკრ - პროცენტების საშუალო სიდიდეა კრედიტზე, რომლებიც სანარმოს მიერ ნასესხები კაპიტალის გამოყენებაზე გადაიხდება, %;

ნკ - სანარმოს მიერ გამოყენებადი ნასესხები კაპიტალის საშუალო ჯამია.

სკ - სანარმოს საკუთარი კაპიტალის საშუალო ჯამია.

მოყვანილი მონაცემების განხილვიდან შეიძლება დავინახოთ, რომ სანარმო „A“-ს მიხედვით ფინანსური ლევერიჯის ეფექტი არ არის, რადგანაც იგი თავის სამეურნეო საქმიანობაში ნასესხებ კაპიტალს არ იყენებს (2, გვ. 362-370).

ცხრილი 1. ფინანსური ლევერიჯის ეფექტის ფორმირება (პირ.ფულ.ერთ.)

	მნიშვნელობები:	სან. „A“	სან. „B“	სან. „B“	სან. „F“	სან. „A“	სან. „E“	სან. „K“
1.	2.	3	4	5	6	7	8	9
1.	სულ გამოყენებადი კაპიტალის (აქტივის) საშუალო თანხა განსახილველ პერიოდში..... მათ შორის:	1000	1000	1000	1000	1000	1000	1000
2.	საკუთარი კაპიტალის საშუალო თანხა.....	1000	200	300	380	500	620	700
3.	ნასესხები კაპიტალის საშუალო თანხა..... ამასთან, პროცენტულად მთლიან კაპიტალთან....	- 0%	800 80%	700 70%	620 62%	500 50%	380 38%	300 30%
4.	მთლიანი მოგების თანხა (კრედიტზე პროცენტების გადახდის მიხედვით ხარკების გარეშე).....	200	200	200	200	200	200	200

5.	კოეფიციენტი აქტივების მთლიანი რენტაბელობის (კრედიტზე პროცენტების გადახდის მიხედვით ხარკების გარეშე), %	20	20	20	20	20	20	20
6.	კრედიტზე პროცენტების საშუალო დონე, %	10	10	10	10	10	10	10
7	კრედიტზე პროცენტების თანხა, გადახდილი ნასესხები კაპიტალის გამოყენებაზე (პუნქ. 3 x პუნქ. 6 / 100) =	-	80	70	62	50	38	30
8.	საწარმოს მთლიანი მოგების თანხა კრედიტზე პროცენტების გადასახადის მიხედვით ხარჯების გათვალისწინებით (პუნქ. 4 - პუნქ. 7) =	200	120	130	138	150	162	170
9.	მოგებაზე გადასახადის განაკვეთი, გამოსახული ათწილადებში.....	0,2	0,2	0,2	0,2	0,2	0,2	0,2
10.	მოგებაზე გადასახადის თანხა (პუნქ. 8 x პუნქ. 9) =	40	24	26	27,6	30	32,4	34
11.	სუფთა მოგების თანხა, რიმელიც საწარმოში გადასახადი გადახდის შემდეგ რჩება (პუნქ. 8 - პუნქ. 10) =	160	96	104	110,4	120	129,6	136
12.	კოეფიციენტი საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის ანუ კოეფიციენტი ფინანსური რენტაბელობის, % (პუნქ. 11 x 100 / პუნქ. 2) =	16	12	15	18	24	34	45

ფინანსები, ბანკები, ბირჟები

13.	საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის ნაზარდი ნასესხები კაპიტალის გამოყენების გამო, % (სანარმო „A“-სთან მიმართებაში)	-	32,0	18,64	13,04	8,00	4,88	3,44
-----	--	---	------	-------	-------	------	------	------

სანარმო «ნ»-ს მიხედვით ფინანსური ლევერიჯის ეფექტი ტოლი იქნება:

$$\text{ფლე} = (1 - 0,2) \times (20 - 10) \times (800 / 200) = 32,00\%$$

შესაბამისად სანარმო «B»-ს მიხედვით ფინანსური ლევერიჯის ეფექტი ტოლია:

$$\text{ფლე} = (1 - 0,2) \times (20 - 10) \times (700 / 300) = 18,64\%$$

ასევე შესაბამისად სანარმო «Г»-ს მიხედვით ფინანსური ლევერიჯის ეფექტი ტოლი იქნება:

$$\text{ფლე} = (1 - 0,2) \times (20 - 10) \times (680 / 320) = 16,96\%$$

ასევე შესაბამისად სანარმო «Ж»-ს მიხედვით ფინანსური ლევერიჯის ეფექტი ტოლი იქნება:


$$\text{ფლე} = (1 - 0,2) \times (20 - 10) \times (300 / 700) = 3,44\%$$

ჩატარებული გაანგარიშებების შედეგებიდან ჩანს, რომ სანარმოს მიერ გამოყენებადი კაპიტალის საერთო თანხაში რამდენად მეტია ნასესხები საშუალებების ხვედრითი წილი, იმდენად მეტი მოგების დონეს ლეზულობს იგი საკუთარ კაპიტალზე.

თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სანარმოს მიერ გამოყენებადი კაპიტალის საერთო თანხაში 62% მოცულობის ნასესხები საშუალებების გამოყენება საკუთარი კაპიტალის, ანუ ფინანსური რენტაბელობის კოეფიციენტის 18%-იან მნიშვნელობის (აქტივების მთლიანი რენტაბელობის დასაშვები 20%-იანი სიდიდის მიახლოებულ სიდიდეს) ფარგლებშია და იგი „ოქროს კვეთის“ პროპორციის მნიშვნელობასაც (62% - 38%) შეესაბამება.

ფინანსური ლევერიჯის ეფექტის ფორმირების მექანიზმი შეიძლება გრაფიკულადაც იქნას გამოსახული. ზემოთ განხილული მაგალითის მონაცემების გამოყენებით ასეთი გრაფიკი ნახაზი 1-ზეა მოყვანილი:

საკუთარი კაპიტალის
რენტაბელობის კოეფიციენტი:



ნახაზი 1. ფინანსური ლევერიჯის ეფექტის ფორმირების გრაფიკი.

ფინანსური ლევერიჯის ეფექტის გაანგარიშების ზემოთ ჩამოყალიბებული ფორმულის განხილვის შედეგად შეიძლება მასში სამი ძირითადი შემადგენელი იქნას გამოყოფილი:

1) **ფინანსური ლევერიჯის საგადასახადო ფაქტორი (1 - $გ_{მგდ}$)**, რომელიც გვიჩვენებს თუ მოგების გადასახადით დაბეგრის სხვადასხვა დონესთან დაკავშირებით, ფინანსური ლევერიჯის ეფექტი რა ხარისხით ვლინდება.

2) **ფინანსური ლევერიჯის დიფერენციალი (მრკ_კ - კრპრ)**, რომელიც აქტივების მთლიანი რენტაბელობის კოეფიციენტსა და კრედიტზე პროცენტის საშუალო სიდიდეს შორის სხვაობის მახასიათებელია.

3) **ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი (ნკ / სკ)**, რომელიც საკუთარი კაპიტალის ერთეულზე გაანგარიშებით, საწარმოს მიერ გამოყენებადი ნაესესხები კაპიტალის ჯამის მახასიათებელია,

აღნიშნული შემადგენლების გამოყოფა საწარმოს ფინან-

სური საქმიანობის პროცესში ფინანსური ლევერიჯის ეფექტის მიზანმიმართულად მართვის შესაძლებლობას იძლევა.

ფინანსური ლევერიჯის საგადასახადო კორექტირი პრაქტიკულად სანარმოს საქმიანობასთან დამოკიდებული არ არის, რადგანაც მოგებაზე გადასახადის განაკვეთი კანონმდებლობით დგინდება. ამასთან ერთად, ფინანსური ლევერიჯის მართვის პროცესში შეიძლება დიფერენცირებული საგადასახადო კორექტორი იქნას გამოყენებული.

ფინანსური ლევერიჯის დიფერენციალი ფინანსური ლევერიჯის დადებითი ეფექტის ფორმირების მთავარ პირობას წარმოადგენს. ამასთან ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული ისეთ ფაქტორზე, რომ აღნიშნული ეფექტი ვლინდება მხოლოდ მაშინ, თუ სანარმოს აქტივებით გენერირებადი მთლიანი მოგების დონე აჭარბებს კრედიტის გამოყენებაზე პროცენტის საშუალო სიდიდეს, ამუ თუ ფინანსური ლევერიჯის დიფერენციალი დადებით სიდიდეს წარმოადგერს.

ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი იმ ბერკეტს (leverage-ს სიტყვასიტყვით თარგმანია - ბერკეტი) წარმოადგენს, რომელიც მისი დიფერენციალის შესაბამის მნიშვნელობის ხარჯზე მიღებადი დადებითი ან უარყოფითი ეფექტის მულტიპლიცირებას ახდენს. ამრიგად, უცვლელი დიფერენციალისას ფინანსური ლევერიჯის კოეფიციენტი როგორც საკუთარ კაპიტალზე მოგების ჯამისა და დონის, ასევე აღნიშნული მოგების დაკარგვის ფინანსური რისკისაც გადიდების მთავარ გენერატორს წარმოადგენს.

ფინანსური ლევერიჯის საკუთარი კაპიტალის მოგებიანობისა და ფინანსური რისკის დონეებზე ზემოქმედების მექანიზმის ცოდნა სანარმოს კაპიტალის როგორც ღირებულებისა, ასევე სტრუქტურისაც მიზანმიმართულად მართვის შესაძლებლობას იძლევა.

ყოველივე ზემოთაღნიშნული გათვალისწინებით შემდეგი სახის მოკლე დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა:

1. **სანარმოს, რომელიც მხოლოდ საკუთარ კაპიტალს იყენებს, უმაღლესი ფინანსური მდგრადობა გააჩნია, მაგრამ იგი**

საკუთარი განვითარების ტემპებს ზღუდავს და დაბანდებულ კაპიტალზე მოგების ნაზარდის ფინანსურ შესაძლებლობებს არ იყენებს.

2. საწარმოს, რომელიც ნასესხებ კაპიტალს იყენებს, საკუთარი განვითარების უფრო მაღალი ფინანსური პოტენციალი და საქმიანობის ფინანსური რენტაბელობის ნაზარდის შესაძლებლობები გააჩნია, მაგრამ მეტი ზომიერებით ფინანსური რისკისა და გაკოტრების საშიშროების გენერირებასაც ახდენს.

3. ფინანსური ლევერიჯი საწარმოს მიერ ნასესხები საშუალებების გამოყენების მახასიათებელია, რომელიც საკუთარი კაპიტალის რენტაბელობის კოეფიციენტის ცვლილებაზე ზემოქმედებს. საწარმოს მიერ გამოყენებადი კაპიტალის საერთო მოცულობაში 62% ნასესხები საშუალებების გამოყენება, საკუთარი კაპიტალის ფინანსური რენტაბელობის კოეფიციენტის 18%-იან მნიშვნელობას უზრუნველყოფს და იგი „ოქროს კვეთის“ პროპორციის მნიშვნელობასაც (62% - 38%) შეესაბამება.

4. ფინანსური ლევერიჯის საკუთარი კაპიტალის მოგებიანობის დონეზე და ფინანსური რისკის დონეზე ზემოქმედების მექანიზმის ცოდნა საწარმოს კაპიტალის როგორც ღირებულებისა, ასევე სტრუქტურისაც მიზანმიმართულად მართვის შესაძლებლობას იძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.Бланк И.А. – Основы финансового менеджмента. Т.2. – Киев: Ника-Центр. 1999. 2.ინგოროყვა ა., ცაავა გ. - ფინანსური მენეჯმენტი. ტ.2. - თბილისი, გამომცემლობა: „გრაალი“, 2011. – 702 გვ.

FINANCIAL LEVERAGE (LEVER) AS A SIGNIFICANT REGULATORY MECHANISM OF THE COMPANY'S OWN AND BORROWED CAPITAL RATIO

Tsaava G. - Prof., Burdiashvili R. – Prof.
Georgian Technical University

RESUME

1. An enterprise that uses only its own capital has the highest financial stability, but limits its development and does not use the financial possibilities of increasing profits on invested capital.

2. An enterprise using the borrowed capital has a higher financial potential for its development and increased financial profitability of its activities, but it generates a greater financial risk and a threat of bankruptcy.

3. Financial leverage characterizes the use of the company's borrowed funds, which affects the change in the coefficient of return on equity. The use of 62% of borrowed funds by the company in the total equity capital provides 18% of the financial return on equity, and it also corresponds to the ratio of the "golden ratio" (63% - 38%).

4. the knowledge of the mechanism of financial leverage influences on the level of profitability of own capital and the level of financial risk increases purposefully to manage both the value and the structure of capital to the enterprise.

Key words: Financial leverage, equity, debt sources of financing, company life-cycle.

ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტები მცირე ბიზნესის მხარდასაჭერად

ნიკოლოზ ტატიშვილი
სტუდენტორანიტი

რეზიუმე

ადგილობრივ საქონელზე მოთხოვნის შემცირების პირობებში ორგანიზაციები ამცირებენ მეცნიერებატევადი პროდუქციის გამოშვებას და უპირატესობას ანიჭებენ ტექნიკურად უფრო მარტივ და იაფ წარმოებას. მცირდება ტექნოლოგიური დონის წარმოების მოცულობა, რომლის ტექნოლოგიური ბირთვია ელექტრონული მრეწველობა, გამოთვლითი, ოპტოელექტრონული და ლაზერული წარმოება, პროგრამული უზრუნველყოფა, ტელეკომუნიკაციები, რობოტების წარმოება.

ინოვაციური განვითარების გარეშე ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილობის პრობლემა ვერ მოგვარდება. აუცილებელია შეიქმნას სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა, რომლებიც გააერთიანებს ბაზრის ყველა მონაწილის ძალისხმევას ინოვაციური საქმიანობის გასაძლიერებლად.

ასევე აუცილებელია გარკვეული შეღავათების შემოღება იმ საკრედიტო დაწესებულებებისათვის, რომლებიც ზოგადად ინოვაციურ პროექტებს და კერძოდ, მცირე ბიზნესის ინოვაციურ პროექტებს აფინანსებენ.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, მცირე საწარმო.

შესავალი

ინოვაციური საქმიანობის წამახალისებელი საერთო გარემოს შექმნა ხელს უწყობს ინოვაციური საწარმოებისა და ინოვაციური პროექტების რაოდენობის ზრდას, და, აქედან გამომდინარე, საბანკო მომსახურების თვალსაზრისით რაღაც თავისებური საბაზრო სეგმენტის ჩამოყალიბებას. ამ სეგმენტის ასათვისებლად საკრედიტო დაწესებულებები ცდილობენ შეიმუშაონ საკუთარი სტრატეგია და ტაქტიკა, და შეიძლება ცალკე შექმნან მომსა-

ხურებათა კომპლექტი. ყოველივე ეს ხელს უწყობს ინოვაციური მცირე საწარმოების უკეთ დაკმაყოფილებას.

რაც შეეხება ინოვაციური პროცესის საბანკო მხარდაჭერის საკანონმდებლო და ნორმატიულ მონესრიგებას, ის შედგება ორი ქვესისტემისაგან: ერთი აწესრიგებს შეღავათების მინიჭებას იმ ბანკებისათვის, რომლებიც ემსახურებიან ინოვაციურ საწარმოებს, მეორე კი ადგენს მოთხოვნებს ინოვაციურ კლიენტებთან ჩატარებული საბანკო ოპერაციებისათვის. მაგალითად, კანონით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით შეიძლება დაწესდეს საგადასახადო შეღავათები იმ ბანკებისათვის, რომლებიც ემსახურებიან ინოვაციურ საწარმოებს, ამასთან ასეთ საკრედიტო დაწესებულებებს უნდა დაევალოს ამ კლიენტებთან ჩატარებული ოპერაციების საკომისიოს ტარიფების გარკვეული შემცირება (რაც ასევე ჩაინერება ნორმატიულ აქტში).

ინოვაციების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და კადრების მომზადების ხელშეწყობა წაახალისებს ინოვაციურ პროცესში ბანკების მონაწილეობას, როგორც ეს ხდება საბანკო ინვესტირების დროს, ე. ი. მთელი ინოვაციური საქმიანობის გაძლიერებით, სხვადასხვა სტრუქტურებისა და სუბიექტების მიერ მისი მხარდაჭერით. ინოვაციურ ეკონომიკაში მთელი განათლების სისტემა, განსაკუთრებით კი უმაღლესი განათლების სისტემა ისე უნდა იყოს აგებული, რომ შეიცავდეს სხვადასხვა დარგებში ინოვაციათა აუცილებლობის განმარტებებსა და მტკიცებულებებს სხვადასხვა კუთხით. სხვა გარემოებებთან ერთად ერთობლივი ზემოქმედების შედეგად კადრების მომზადების სისტემას შეუძლია კიდევ უფრო შეუწყოს ხელი ინოვაციური საქმიანობის გაძლიერებას.

ზუსტად მცირე საწარმოების მიერაა შემუშავებული და განვითარებული მრავალი ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება. თუმცა, მათ ფინანსური სტაბილურობის მცირე მარაგი აქვთ, და მათ განსაკუთრებული მიდგომა ჭირდებათ საკრედიტო დაბანდების მხრივ კომერციული ბანკებიდან. ეს განსაკუთრებით ეხება ინოვაციურ პროექტებს, რომლებიც შემუშავებულია მცირე ბიზნესის საწარმოების მიერ.

ქირითადი ტექსტი

მცირე და საშუალო ბიზნესი ევროკავშირის ქვეყნების ბიზნესის 70 პროცენტზე მეტს შეადგენს. ეს მართლაც შთამბეჭდავი რიცხვი უდაოდ მეტყველებს იმაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობის ფენომენთან ასოცირდება ბიზნესის ეს სეგმენტი. ანალოგიურის თქმა შეიძლება ამერიკისა და აზიის განვითარებული ქვეყნების ეკონომიკებზეც.

თუმცა, მცირე ბიზნესი იმიტომაც არის მცირე, რომ მას არ გააჩნია სათანადო რესურსები, უნარები და ფინანსები, რათა გაუმკლავდეს იმ დიდ გამოწვევებს, რომლებსაც საზოგადოების განვითარება წარმოშობს. არაერთი გამოკვლევა ცხადყოფს, რომ წარმოების განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორთა შორის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა მცირე და საშუალო ბიზნესის საქმიანობაში უმთავრესი პრობლემაა, რაც ხელს უშლის მათ სხვა რესურსების მობილიზებასა და განვითარებაში.

წინამდებარე სტატიის მიზანია, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რაც დაგროვდა და ინტენსიურად გამოიყენება ევროკავშირის ქვეყნებში ბიზნესის, განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის, კვლევებისა და ინოვაციების განვითარების ხელშეწყობისათვის.

მიუხედავად საკითხის აქტუალობისა, ჩვენს ქვეყანაში ბიზნესის დაფინანსების, ისე როგორც ინოვაციების სტატისტიკა, სამწუხაროდ სტატისტიკური საქმიანობის პრიორიტეტულ სფეროთა კატეგორიაში ჯერ კიდევ არ ფიგურირებს. თუმცა, ასეთი სტატისტიკა ერთნაირად სჭირდება მცირე ბიზნესს, რათა შეძლოს სწორი პრიორიტეტების განსაზღვრა თავის საქმიანობაში, ფინანსურ შუამავლებს, რათა შეძლონ ინოვაციური ფინანსური ინსტრუმენტების შეთავაზება ბიზნესისათვის, და პოლიტიკის გამტარებლებს, რა თა უკეთ დაინახონ ნაკლოვანებები, რაც ხელს უშლის მცირე ბიზნესის, განსაკუთრებით კი ინოვაციური მცირე ბიზნესის განვითარებას ქვეყანაში. შესაბამისად, სტატიაში გამოყენებულია სტატისტიკური ინფორმაციის სხვა წყაროები; კერძოდ, კი მსოფლიო ბანკის ეგიდით 3-4

წელიწადში ერთხელ ჩატარებული საწარმოთა გამოკვლევების შედეგები.

დაფინანსების სიმწირე - ბიზნესის განვითარების მთავარი ბარიერი. ევროპა, ხარჯავს რა 0.8 პროცენტით ნაკლებს თავისი მთლიანი შიდა პროდუქტისა კვლევებსა და ინოვაციებზე, ვიდრე აშშ და 1.5 პროცენტით ნაკლებს, ვიდრე იაპონია, აღიარებს, რომ შესაძლოა იგი სულ უფრო ნაკლებად მიმზიდველი გახდეს საუკეთესო მკვლევარებისა და ნოვატორებისათვის. აქედან გამომდინარე, 2014-2020 წლების საბიუჯეტო პერიოდი შთამბეჭდავი პროგრამებითა და დაფინანსებით არის აღსანიშნავი. გათვალისწინებულია, რომ 2014-2020 წლების საბიუჯეტო პერიოდის თანხამ, ეროვნული სტრუქტურებისა და სხვა კერძო ინვესტიციების თანხების ჩათვლით, 450 მლრდ ევრო უნდა შეადგინოს.

პრობლემის უკეთ გაანალიზებისა და ადეკვატური გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, 2008 წლიდან ევროკომისია და ევროპის ცენტრალური ბანკი ყოველწლიურად ატარებენ ფინანსებზე წვდომის გამოკვლევას, რომელიც საკმაოდ დეტალურ ინფორმაციას იძლევა ამ საკითხში საწარმოების მდგომარეობისა და მათი მისდამი დამოკიდებულების შესახებ. 2016 წლის გამოკვლევის შედეგად, ევროკავშირის მასშტაბით გამოკვლეული საწარმოები საკუთარი ბიზნესისათვის ხელისშემშლელ ფაქტორთა შორის მეხუთე ადგილზე ფინანსებზე წვდომის არასაკმარისობას (13 %) ასახელებენ. თუმცა, არანაკლები პრობლემაა მომხმარებლის პოვნა (20%), დასაქმებულთა/მენეჯერთა არასაკმარისი კვალიფიკაცია (17%), რეგულაციები (16%), კონკურენცია (15%) და სხვ.

საქართველოში ანალოგიური პრობლემის კვლევა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ ტარდება. თუმცა, მსოფლიო ბანკის ეგიდით 3-4 წელიწადში ერთხელ ტარდება მცირე, საშუალო და დიდი საწარმოების შერჩევითი გამოკვლევა, რომლის მონაცემები კარგად უჩვენებს, თუ რამდენად მწვავეა ფინანსებზე წვდომის პრობლემა ამ საწარმოებში, რამდენად ხშირად სარგებლობენ საწარმოები ბანკის სესხებით, რა უშლით მათ ხელს დაფინანსების ამ წყაროს გამოყენებაში და ა.შ.

დასკვნა

ამრიგად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ქვეყნის ინოვაციური სფეროს მდგომარეობა არადაამაკმაყოფილებელია, რაც იმის შედეგია, რომ საქართველოში რეფორმების წლებში მეცნიერების დაფინანსება შემცირდა მრავალჯერ და მაღალტექნოლოგიური სექტორის განვითარების დონე 10-25 წლით ჩამორჩენილი აღმოჩნდა.

ინოვაციური განვითარების გარეშე ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილობის პრობლემა ვერ მოგვარდება. აუცილებელია შეიქმნას სახელმწიფო ინოვაციური პოლიტიკა, რომლებიც გააერთიანებს ბაზრის ყველა მონაწილის ძალისხმევას ინოვაციური საქმიანობის გასაძლიერებლად.

ისეთი სუბიექტები, რომლებსაც შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ინოვაციური სფეროს გაძლიერებაში, მაგრამ ამჟამად თითქმის არ არიან ჩართული ინოვაციურ პროცესში, არის საქართველოს კომერციული ბანკები და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები.

ნაშრომში შეთავაზებულია საკრედიტო დაწესებულებებისათვის ისეთი შეღავათების დაწესების კრიტერიუმები, რომლებიც ხელს შეუწყობს მცირე საწარმოებისთვის ინოვაციური პროექტების განვითარებას:

- ინოვატორ კლიენტებთან განხორციელებული ოპერაციების ასორტიმენტი;
- ინოვატორ კლიენტთა რაოდენობა;
- ყოველ ინოვატორ მცირე საწარმოსთან ჩატარებული ოპერაციების რაოდენობა;
- შესაბამისი ოპერაციების მოცულობა ფულადი გამოსატყულებით;

ინოვატორ მცირე საწარმოებთან ჩატარებული ოპერაციების ხვედრითი წილი ამ სახის ოპერაციების საერთო მოცულობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.საქართველოს ფინანსთა სამინისტრო www.mof.gov.ge;
- 2.საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.gov.ge;
- 3.საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.statistics.ge;

REFERENCES:

- 1.Ministry of Finance of Georgia www.mof.gov.ge;
- 2.National Bank of Georgia www.nbg.gov.ge;
- 3.National Statistics Office of Georgia www.statistics.ge;

**INNOVATIVE FINANCIAL INSTRUMENTS TO SUPPORT
SMALL BUSINESSES**

Nikoloz Tatishvili
PhD student, GTU

RESUME

The small enterprises play an important role in the economy of any country, which is expressed by many factors: they do not need large start-up investments, complement the market niches that are not attractive for medium and large businesses due to their small capacity. Providing an important part of employment for the economically active population, facilitating the formation of a competitive environment and establishing equilibrium on the market are key issues.

Many innovative technologies have been developed and developed by small enterprises. However, they have little financial stability, and they need a special approach from credit banks on commercial banks. This is especially true for innovative projects developed by small business enterprises.

Keywords: innovation, small enterprise.

**მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა
ახალ ეკონომიკურ პირობებში და ფინანსურ
ტრანზაქციებზე ახალი გადასახადის დადგენის
აუცილებლობა**

ოთარი გავაშელი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

ეკონომიკური რეფორმებისა და ახალი ტიპის ეკონომიკის ფორმირების საქმეში წარმატება, მათ შორის სტრუქტურული დისპროპორციების აღმოფხვრა, მნიშვნელოვანი ხარისხით სახელმწიფოების მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის სრულყოფაზე, სინქრონულ და ჰარმონიულ ცვლილებებზე, დროით გამოძახილებთან მათ შესაბამისობაზე იქნება დამოკიდებული. ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის პრობლემის გადაწყვეტა არა ხარჯების ავტომატურად შეკვეცის, არამედ უფრო საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის სიბრტყეში დევს. კერძოდ ფინანსურ ტრანზაქციებზე დამატებითი გადასახადების შემოღება, ერთი მხრივ, სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული რესურსების გადიდების, მეორე მხრივ, სავალუტო და ფინანსურ ბაზრებზე სპეკულაციური ოპერაციების შეზღუდვის როლს შეასრულებდა. შეთავაზებულია ფინანსურ ტრანზაქციებზე - აქციების, ობლიგაციების, საინვესტიციო ფონდების საპაიოების, ფულადი ბაზრის ინსტრუმენტების, REPO შეთანხმებების, ფასიანი ქალაქების სასესხო ხელშეკრულებების, დერივატების გარიგებებთან მიმართებაში, ახალი გადასახადის დადგენის აუცილებლობა და მიზანშეწონილობა, რომლის გონივრული გამოყენება, ეკონომიკაზე მძლავრი გამაჯანსაღებელი ეფექტის განხორციელების შემძლე იქნება.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური პოლიტიკა, ფინანსური სტრატეგია, ფინანსური ინსტიტუტები, ფინანსური რესურსები, საგადასახადო დაგეგმვა.

ეკონომიკურ რეფორმების წარმატება, მათ შორის სტრუქტურული დისპროპორციების აღმოფხვრა, მნიშვნელოვანი ხარისხით ფულად-საკრედიტო (მონეტარული) და საბიუჯეტო-საგადასახადო (ფისკალური) პოლიტიკის სრულყოფაზე, დროით გამოძახილებთან მათ შესაბამისობაზე იქნება დამოკიდებული. უდიდესი დეპრესიის დროს კრიზისის დაძლევაზე მიმართული ეფექტური და მუქარების ადექვატური ფულად-საკრედიტო (მონეტარული) პოლიტიკის არარსებობამ, სიტუაცია მნიშვნელოვნად გაართულა, კერძოდ, საბანკო სისტემის პრაქტიკული კოლაფსი გამოიწვია. როგორც პროფესორი ი. კოვზანაძე თავის ნაშრომში მიუთითებს, ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით და ფინანსური სექტორისა და მთლიანობაში ეკონომიკის მხარდაჭერის მიზნით, მონეტარული ხელისუფლებები ბოლო დროს აქტიურად იყენებდნენ ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სხვადასხვა ინსტრუმენტებს, როგორცაა: სავალდებულო სარეზერვო განაკვეთის გარკვეული პერიოდით მნიშვნელოვნად შემცირება, რეფინანსირების განაკვეთის უპრეცედენტოდ დაბალი განაკვეთები, აქტივების გამოსყიდვის მასშტაბური პროგრამები, ცენტრალიზებული კრედიტების სხვადასხვა ფორმების ჩართვა (1, გვ. 237 - 242). როგორც კრიზისების ცნობილი მკვლევარი ნ. რუბინი აღნიშნავს, „გადარჩენითი ოპერაციების მასშტაბი უკვე არც პრეტენდენტებს, არც ეროვნულ საზღვრებს არ ცნობდა, რამდენადაც ბრძოლაში საერთაშორისო სავალუტო ფონდი (სსფ) ჩაერთო, ხოლო ფედერალური რეზერვების სისტემამ (ფრს) უცხოეთის ცენტრალური ბანკებისა და მთლიანად სამყაროს კორპორაციების დოლარებით მომარაგების განხორციელებით, ფაქტიურად მათი დაკრედიტება დაიწყო. აღნიშნული ისტორიაში თუ არა, თანამედროობის ყველაზე მასშტაბური ფინანსური გადარჩენითი ოპერაცია იყო“. ამავ დროს აღნიშნულმა გადარჩენითმა ოპერაციამ, მსხვილი ფინანსური ინსტიტუტების გადარჩენაში ავტომატიზმის გამოყენებით, მორალური ბოროტმოქმედებების სახით გვერდითი მოვლენებიც გამოიწვია.

სამომავლოდ მონეტარულმა ხელისუფლებებმა, ალბათ,

ყოველთვის მთლიანობაში უკვე გამოყენებული ანტიკრიზისული ინსტრუმენტარები უნდა გამოიყენონ, მაგრამ, ფულად-საკრედიტო (მონეტარულმა) პოლიტიკამ, უპირველეს ყოვლისა, პრევენციულობის როლი უნდა შეასრულოს, ანუ დაგროვებადი დისპროპორციების შენელება უნდა განახორციელოს. მონეტარულმა ხელისუფლებებმა ბანკებზე კრედიტების მიწოდებით, საპროცენტო განაკვეთების, უზრუნველყოფის ხასიათისა და სხვა პირობების მეშვეობით საკრედიტო ორგანიზაციების სტიმულირება უნდა მოახდინონ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ტრადიციული და საზოგადოებისათვის მეტად მნიშვნელოვანი ფუნქციების შესრულებასთან მიმართებაში, ისეთები როგორცაა ანგარიშსწორებები, ანაბრების აკუმულაცია და დაკრედიტება. ასევე აუცილებელია განვითარების ინსტიტუტების, როგორც ეროვნულის, ასევე რეგიონულისა და საერთაშორისოს მიმართებითაც მეტი რესურსები იქნეს მიმართული. ისეთი ინსტიტუტებისათვის, როგორცაა ევროპული სტაბილიზაციური მექანიზმი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, განვითარების რეგიონალური ბანკები, რესურსების, უფლებამოსილებებისა და გამოყენებადი ინსტრუმენტების გაზრდა, უეჭველად, მდგრად და სტაბილიზაციურ ზრდას შეუწყობდა ხელს.

ახალი ტიპის ეკონომიკის ფორმირების საქმეში წარმატება სახელმწიფოების ფულად-საკრედიტო (მონეტარულ) და საბიუჯეტი-საგადასახადო (ფისკალურ) პოლიტიკაში სინქრონულ და ჰარმონიულ ცვლილებებზე იქნება დამოკიდებული. ფინანსური (ფისკალური) პოლიტიკის სფეროში ძალიან მნიშვნელოვანია ბოლო წლებში ქვეყნების უმეტესობაში სახელმწიფო ფინანსების გაჯანსაღებაზე მიმართული კურსი იქნეს გაგრძელებული. მიუხედავად მიღებული ზომებისა, ბიუჯეტის დეფიციტისა და სახელმწიფო ვალის შემცირება, განსაკუთრებით აღნიშნული მოვლენის მასშტაბების გათვალისწინებით, მეტად აქტუალურ ამოცანად რჩება. ასე, მაგალითად, საერთაშორისო ანგარიშსწორებების ბანკის მონაცემების მიხედვით, 2013 წლის ივნისის მდგომარეობით, მსოფლიო ფინანსურ ბაზარზე მიმოქცევადი

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მოცულობამ 43 ტრილიონი დოლარი შეადგინა და 2007 წლიდან იგი 80%-ითაა გაზრდილი.

ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის პრობლემის გადაწყვეტა, მრავალი ექსპერტების თვალსაზრისით, არა ხარჯების ავტომატურად შეკვეცის, არამედ უფრო საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის სიბრტყეში დევს. თუ საუბარია ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილისა და საგადასახადო პოლიტიკის შესახებ, მაშინ მნიშვნელოვანია ბიუჯეტის გადამანაწილებელი როლი იქნეს შენარჩუნებული, ხოლო რიგი მიმართულების მიხედვით კი - გაძლიერებულიც, რაც ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტისათვის საკმარისი რესურსების არსებობის შესაძლებლობას იძლევა, როგორცაა მოსახლეობის შემოსავლებისა და რეალური მყიდველობითი მოთხოვნის შემცირება, რომელმაც ბოლო ათწლეულში რეგიონებისა და ქვეყნების განვითარების დონეში შემოსავლების განსხვავებები უფრო გააძლიერდა.

რეზერვები სახელმწიფო შემოსავლების ამალგებისათვის, უეჭველად, არსებობს, რამდენადაც, მაგალითად, აშშ-ში 1950-იან და 1960-იან წლებში მაღალ შემოსავლებზე გადასახადებმა 91% მიაღწია, ხოლო დღეისათვის იგი 35% არ აჭარბებს (3, გვ. 58). გარდა ამისა, ფინანსური სექტორისათვის, **კერძოდ ფინანსურ ტრანზაქციებზე დამატებითი გადასახადების შემოღების ირგვლივ საკმაოდ მწვავე დისკუსია მიდის, რომელთა ჩამოყალიბება, ერთი მხრივ, სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული რესურსების გადიდების, მეორე მხრივ, სავალუტო და ფინანსურ ბაზრებზე სპეკულაციური ოპერაციების შეზღუდვის როლს შეასრულებდა.**

პირველად ფინანსურ ტრანზაქციებზე გადასახადის იდეა ჯ.მ. კეინსის მიერ იყო შეთავაზებული, ხოლო 1972 წელს იგი ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურიატმა ჯ. ტობინმა კვლავ წამოიწია, და ყველა **ტრანსმოსაზღვრე ოპერაციების ბრუნვიდან აღნიშნულ გადასახადს 0,05-დან 1%-მდე სიდიდით დადგენას გვთავაზობდა.** გლობალური კრიზისის დროს აღნიშნულმა იდეამ პოლიტიკოსების დონეზეც საკმაოდ ფართე მხარდაჭერა

მიიღო. 2011 წლიდან ასეთი გადასახადის შემოღება ევროპული კავშირის ქვეყნების პრაქტიკულ სიბრტყეშიც განიხილება, ამასთან აღნიშნული ღონისძიების მომხრეებია საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტი ნ. სარკოზი და გერმანიის ფედერალური კანცლერი ა. მერკელი. ევროპის პარლამენტის მაშინდელმა პრეზიდენტმა მ. შულცმა ასევე საკმაოდ გარკვევით გამოთქვა მხარდაჭერა ასეთი გადასახადის შემოღებასთან დაკავშირებით: „მე ფინანსურ ტრანზაქციებზე გადასახადის დადგენის დაბეჯითებითი მომხრე ვარ. მისი შემოღება დარგში, სადაც მოგება შეიძლება უზომოდ მაღალი აღმოჩნდება, მისცემს საშუალებას უფრო ნონადი შენატანი გააკეთოს ჩვენი საზოგადოების განვითარებაში, მრავალ ქვეყანაში ფინანსური სიტუაციის გაუმჯობესებაში, ასევე მისცემს შესაძლებლობას ეკონომიკური ზრდის სტიმულირებაზე სახსრების მოძიებასთან მიმართებაში. გარდა ამისა, ტობინის გადასახადი ფინანსური სპეკულაციების თავიდან აცილებაშიც დაეხმარება, რომლებიც თანამედროვე კრიზისის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს. იდეალურად ფინანსურ ტრანზაქციებზე გადასახადი მთელ მსოფლიოში უნდა იქნეს შემოღებული. ევროპის კავშირმა აღნიშნულზე G20-ის სხდომებზე უნდა იბრძოლოს“ (4).

ევროპული კომისიის გაანგარიშების მიხედვით, ასეთი გადასახადის განაკვეთის 0,01%-ის ოდენობით შემოღება ევროპული კავშირის ქვეყნების 57 მლრდი ევროთი უზრუნველყოფას მოახდენდა.

ევროპული კომისია 2012 წელს ოფიციალური წინადადებით გამოვიდა ფინანსურ ტრანზაქციებზე გადასახადის შემოღების შესახებ. გადასახადის განაკვეთი უნდა დადგენილიყო 0,1% - აქციების, ობლიგაციების, საინვესტიციო ფონდების საპაიოების, ფულადი ბაზრის ინსტრუმენტების, REPO შეთანხმებების, ფასიანი ქაღალდების სასესხო ხელშეკრულებების გარიგებებთან მიმართებაში და 0,01% - დერივატების გარიგებებთან მიმართებაში. ამასთან, ევროპული კავშირის ცალკეულ ქვეყნებს, სურვილის შემთხვევაში, შეეძლოთ ფინანსურ ტრანზაქციებზე გადასახადის უფრო მარალი განაკვეთები დაედგინათ. დაგეგ-

მილი იყი, რომ აღნიშნული გადასახადი 2014 წელს იქნებოდა შემოღებული, მაგრამ შემდგომში მისი შემოღება უფრო გვიან ვადაზე გადაიდო.

სახელმწიფო ფინანსების გაუმჯობესებას ასევე, გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების ბრძოლასთან მიმართებაში პოლიტიკის შემდგომი გამკაცრებაც შეუწყობდა ხელს. ასე, მაგალითად, მხოლოდ ევროპულ კავშირში, ევროკომისიის ექსპერტების შეფასების მიხედვით, გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების შედეგად, ბუიჯეტის დანაკარგები ერთი ტრილიონი ევროთი ფასდება. სწორედ ამიტომ ევროპის კავშირში, ბოლო პერიოდში, ანაბრების შესახებ ინფორმაციის ავტომატურად გაცვლის გადანყვეტილება იქნა მიღებული, საბანკო ანაბრებითან მიმართებაში პროცენტებიდან გადასახადის გადახდევინების შესახებ კანონმდებლობა გამკაცრდა. გარდა ამისა, მიიღება ძალისხმევა მსხვილი კონცერნების პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული, ეროვნულ კანონმდებლობაში პრობლემების გამოყენებით, მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან თავის აცილების შესაძლებლობების აღმოფხვრასთან დაკავშირებით. ასევე უნდა იქნას შექმნილი იმ ქვეყნების ფონდებისა და სადაზღვევო კომპანიების კლიენტურის მონაცემების ავტომატური გაცვლის სისტემა, რომლებიც ჯერჯერობით საგადასახადო „ნავსაყუდებად“ ითვლებიან. ასეთი ღონისძიება გახდება, გერმანიის ფედერალური კანცლერი ა. მერკელის მოსაზრებით, „საგადასახადო თაღლითობისა და დღემდე ჯერ კიდევ გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების ლეგალური ხერხების წინააღმდეგ ბრძოლის ნათელი მაგალითი“. ასევე, როგორც ა. მერკელი აღნიშნავს, „ჩვენ უნდა მივალწიოთ იმას, რომ ფირმებმა გადასახადები გადაიხადონ იქ, სადაც რეალურად მუშაობენ (და არა სადაც იურიდიულად დარეგისტრირებული არიან). აღნიშნული საგადასახადო < ნავსაყუდებთან > ბრძოლას ითვალისწინებს“ (5).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 2015 წლიდან **ლუქსემბურგმა** საბანკო ინფორმაციების ავტომატურად გაცვლის სისტემაში პრაქტიკულად მიერთების თავისი მზადყოფნის შესახებ

განაცხადა. გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების ბრძოლასთან მიმართებაში ღონისძიებებს ავსტრიაშიც დაუჭირა მხარი. მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც მრავალი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ასეთ ღონისძიებებს შვეიცარიამ, აგრეთვე ევროპული კავშირის საზღვრებს გარეთ განსაკუთრებული საგადასახადო რეჟიმიანმა ქვეყნებმაც დაუჭირონ მხარი.

საგადასახადო მოსაკრებლების ამალღების გარდა, ასევე სახელმწიფო ხარჯების ოპტიმიზაცია არის ძალიან მნიშვნელოვანი, რაც გულისხმობს მათგან ისეთების შემცირებას, რომლებიც სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე ზემოქმედებას არ ახდენენ. თუმცა ამავე დროს, ხარჯები ეკონომიკისა და სოციალური სფეროს მხარდაჭერასთან მიმართებაში, საჭირო დონეზე უნდა იქნეს შენარჩუნებული. ამასთან, პირდაპირ სახელმწიფო ხარჯებთან ერთად, მიზანშეწონილია სახელმწიფო გარანტიები და ფინანსური სტიმულირების სხვადასხვა ინსტრუმენტები, მაგალითად, საგადასახადო შეღავათები იქნეს გამოყენებული. ამასთან ერთად, საჭიროა სწორად იქნეს გაგებული, რომ „ფულად-საკრედიტო (მონეტარული) პოლიტიკის ღონისძიებებისაგან განსხვავებით, რომლებიც ცენტრალური ბანკის მიერ შეიძლება იმავდროულად, ამომრჩევლების მხრიდან ზენოლის გადალახვებს საჭიროების გარეშე იქნეს რეალიზებული, ფისკალური (საბიუჯეტო-გაგადასახადო) ღონისძიებების გადალახვა, რესურსების არაეფექტურად გახარჯვის გარდა, არაფრამდე მიმყვან დანახარჯებიან პროექტებზე უარის თქმა, გარკვეულ დროსა და გონიერებას მოითხოვს. სტიმულირების სრულყოფილ პაკეტს გაცვეთილი ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციის ეფექტური დაბანდებებისაკენ მივყავართ და რასაც სამომავლოდ ეკონომიკურ ზრდაში საკუთარი ნვლილი შეაქვს“(2).

ამრიგად, როგორც ისტორიული, მათ შორის ბოლო წლების გამოცდილება გვიჩვენებს, ფულად-საკრედიტო (მონეტარული) და საბიუჯეტო-საგადასახადო (ფისკალური) პოლიტიკის ინსტრუმენტების გონივრული გამოყენება, ეკონომიკაზე მძლავრი გამაჯანსაღებელი ეფექტის განხორციელების შემძლეა. მაგრამ, ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნული ინსტრუმენტების,

დამანგრეველი კრიზისების წარმოქმნის არდაშეებით, პრევენციულ ქრილში გამოყენება ვისწავლოთ. კრიზისების დაძლევის სფეროში ჯერჯერობით საკმაოდ დიდი გამოცდილება არ არის დაგროვებული, მაგრამ რეალურად აღნიშნულ საკითხში ზომიერი ოპტიმიზმისათვის ყველა საფუძველი არსებობს.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით შემდეგი სახის **დასკვნის** გაკეთება არის შესაძლებელი:

1. ეკონომიკური რეფორმებისა და ახალი ტიპის ეკონომიკის ფორმირების საქმეში წარმატება, მათ შორის სტრუქტურული დისპროპორციების აღმოფხვრა, მნიშვნელოვანი ხარისხით სახელმწიფოების ფულად-საკრედიტო (მონეტარული) და საბიუჯეტო-საგადასახადო (ფისკალური) პოლიტიკის სრულყოფაზე, სინქრონულ და ჰარმონიულ ცვლილებებზე, დროით გამოძახილებთან მათ შესაბამისობაზე იქნება დამოკიდებული.

2. ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის პრობლემის გადაწყვეტა, მრავალი ექსპერტების თვალსაზრისით, არა ხარჯების ავტომატურად შეკვეცის, არამედ უფრო საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების ოპტიმიზაციის სიბრტყეში დევს. კერძოდ ფინანსურ ტრანზაქციებზე დამატებითი გადასახადების შემოღების ირგვლივ საკმაოდ მწვავე დისკუსია მიდის, რომელთა ჩამოყალიბება, ერთი მხრივ, სახელმწიფოს განკარგულებაში არსებული რესურსების გადიდების, მეორე მხრივ, სავალუტო და ფინანსურ ბაზრებზე სპეკულაციური ოპერაციების შეზღუდვის როლს შეასრულებდა.

3. შეთავაზებულია ფინანსურ ტრანზაქციებზე - აქციების, ობლიგაციების, საინვესტიციო ფონდების საპაიოების, ფულადი ბაზრის ინსტრუმენტების, REPO შეთანხმებების, ფასიანი ქაღალდების სასესხო ხელშეკრულებების, დერივატების გარიგებებთან მიმართებაში, ახალი გადასახადის დადგენის აუცილებლობა და მიზანშეწონილობა, რომლის გონივრული გამოყენება, ეკონომიკაზე მძლავრი გამაჯანსაღებელი ეფექტის განხორციელების შემძლე იქნება.

ბამოყენებული ლიტერატურა:

1. კოვზანაძე ი.- მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გაკვეთილები და განვითარების ახალი მოდელის ჩამოყალიბება, 2016. - 272.
2. რუბინი ნ - როგორ ვინინასწარმეტყველე კრიზისი. - მოსკოვი, «ეკსმო», 2011. - c. 244. (რუსულად)
3. რაჯანი რ. - შეცდომის ხაზები. დამალული ბზარები, ჯერ კიდევ საფრთხეს უქმნის გლობალურ ეკონომიკას. - მოსკოვი, გაიდარის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2011. - c. 58. (რუსულად)
4. შულც მ. - ფინანსურ ტრანზაქციებზე გადასახადი მთელ მსოფლოში უნდა დაწესდეს, ინტერვიუ RBC daity 22. 03. 2012, www.ru.rbcdaity.ru. (რუსულად)
5. ევროკავშირი წერტილს უსვამს საბანკო საიდუმლოებებს, RBC daity 23. 05. 2013, www.ru.rbcdaity.ru. (რუსულად).

REFERENCES:

1. Kovzanadze I.K. - Lessons from the global economic crisis and the formation of a new development model, 2016. - 272. (In Russian)
2. Rubin N. - as I predicted the crisis Is. - Moscow, «Exmo», 2011. - c. 244. (In Russian)
3. Rajan R. - The lines of the fault. Hidden cracks, all still threatening the global economy. - Moscow, publishing house of the Gaidar Institute, 2011. - c. 58. (In Russian)
4. Schultz M. - Tax on financial transactions should be introduced all over the world, Interview RBC daity 22. 03. 2012, www.ru.rbcdaity.ru. (In Russian)
5. The European Union places a stake on bank secrecy, RBC daity 23. 05. 2013, www.ru.rbcdaity.ru.

MONETARY AND FISCAL POLICIES IN THE NEW ECONOMIC CONDITIONS AND THE NECESSITY OF ESTABLISHING A NEW TAX ON FINANCIAL TRANSACTIONS

Gavasheli Otar,
Doctoral student
of Georgian Technical University

RESUME

1. It is noted that success in economic reforms and the formation of a new type of economy, including the removal of structural imbalances will largely depend on the improvement of synchronicity and harmony changes in monetary (monetary) and fiscal (fiscal) policy of the state, they meet the challenges of time.

2. It is indicated that the solution to the problems of the chronic budget deficit, according to many experts, lies in the plane is not automatic spending cuts, but rather in the plane of optimization of budgetary revenues and expenditures. In particular sharp enough DEBATE goes around the additional taxes on financial transactions, the introduction of which would allow, on the one hand, the increase in the available financial resources of the state, and on the other - would have played the role of speculation limiter in currency and financial markets.

3. Proposed bound and feasibility of a tax on financial transactions - for transactions in stocks, bonds, units of investment funds, money market instruments under repurchase agreements, securities lending agreements, derivatives, skillful use of which could have a purse healing effect on the economy.

Key words: Financial policy, financial strategy, financial institution, financial instruments, sources of financing, tax planning.



**საბაზრო ეკონომიკის
სამართლებრივი
უზრუნველყოფა**



**საგადასახადო სამართალდარღვევები და მისი
გავლენა ეკონომიკის განვითარებაზე**

მამუკა სარჩიმელია,
მეცნიერებათა დოქტორი, სტუ სამართლისა
და საერთაშორისო ურთიერთობების
ფაკულტეტის პროფესორი

რეზიუმე

გადასახადები ნებისმიერი სახელმწიფოს აუცილებელი ატ-რიბუტია. მისი წარმოშობა უძველესი დროიდან იღებს სათავეს. გადასახადის გადახდის ვალდებულება ყველგან იმპერატიულ ხასიათს ატარებს. მის წარმოშობასთან ერთად ჩნდება საზო-გადოებაში გარკვეული კატეგორია ურჩი გადამხდელებისა. ადგილი აქვს სამართალდარღვევებს, (ასე, მაგალითად, მხო-ლოდ ევროპულ კავშირში, ევროკომისიის ექსპერტების შეფასე-ბის მიხედვით, გადასახადების გადახდისაგან თავის არიდების შედეგად, ბიუჯეტის დანაკარგები ერთი ტრილიონი ევროთი ფასდება). ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის ბიზნეს გარემოზე, შესაბამისად, ეკონომიკის სტაბილურ განვი-თარებაზე.

საკვანძო სიტყვები: სამართალდარღვევები; საგადასახადო კოდექსი; საგადასახადო სანქცია.

ძირითადი ტექსტი

საგადასახადო, საბაჟო სამართალდარღვევებად ითვლება პი-რის მართლსაწინააღმდეგო ქმედება(მოქმედება ან უმოქმედო-ბა), რომლისთვისაც საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულია შესაბამისი პასუხისმგებლობა. ამ საკი-თხზე ყურადღების გამახვილება აქტუალურია იმდნად, რამდე-

ნადაც ინვესტორები კაპიტალის დაბანდებამდე ყურადღებით განიხილავენ ქვეყნის საკანონმდებლო ბაზას და არსებულ ბიზნეს გარემოს.საინვესტიციო გადანყვეტილების მიღებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად დაცულია კანონმდებლობით ბიზნესის და ინვესტორის ინტერესები.

საგადასახადო სამართალდარღვევის ჩადენისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება სანარმოს/ორგანიზაციას და ფიზიკურ პირს. საგადასახადო სამართალდარღვევისთვის პირის მიმართ სგადასახდო სანქციის გამოყენება არ ათავისუფლებს მას კუთვნილი გადასახადის გადახდის ვალდებულებისაგან.

პირს საგადასახადო სამართალდარღვევისათვის დადგენილი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ საგადასახადო სამართალდარღვევა გამონკვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედების შედეგად.

დაუძლეველ ძალად ითვლება ისეთი საგანგებო ან განსაკუთრებული გარემოება, რომელიც შეუძლებელს გახდის ამ კოდექსით დადგენილ ვალდებულებათა შესრულებას და რომლის დადგომა არ არის დამოკიდებული პირის ნებაზე, მათ შორის:

- სტიქიური უბედურება;
- საგარეო ვაჭრობის შეზღუდვა;
- საგანგებო/საომარი მდგომარეობის გამოცხადება, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოს სხვა გადანყვეტილება;
- მასობრივიარეულობა, გაფიცვა.

საგადასახადო ორგანოს ხელმძღვანელი , დავის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია გაანთავისუფლოს კეთილსინდისიერი გადამხდელი საგადასახადო სანქციისაგან, თუ მის ქმედებას ზიანი არ მიუყენებია სახელმწიფო ბიუჯეტისათვის და, ამასთანავე, სმართალდარღვევა გამონკვეული იყო გადამხდელის შეცდომით/არცოდნით.

საგადასახადო სამართალდარღვევა განმეოებით ჩადენილად ითვლება, თუ იგივე ქმედება ჩადენილია წინა საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენიდან 12 თვის განმავლობაში. ამასთანავე, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 281-ე მუხლით გათვალისწინებული საგადასახადო სამართალდარღვევა

განმეობით ჩადენილად არ ითვლება, თუ პირმა ამავე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევები ჩაიდინა ერთსა და იმავე დღეს, ტერიტორიულად განცალკევებულ ობიექტებზე.

საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილ პირს უფლება აქვს საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესით და დადგენილ შემთხვევებში, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენის გარეშე, პირს განუსაზღვროს ვადა საგადასახადო სამართალდარღვევის აღმოსაფხვრელად. აღნიშნული ვადის მოქმედების პერიოდში პირს იმავე სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობა არ დაეკისრება.

საგადასახადო სანქცია გამოიყენება გაფრთხილების, საურავის, ფულადი ჯარიმის, საქართველოს ეკონომიკური საზღვრის გადაკვეთის უფლების შეზღუდვის სახით.

რამდენიმე საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენისას საგადასახადო სანქცია გამოიყენება თითოეული სამართალდარღვევისათვის ცალ-ცალკე. ამასთანავე, უფრო მკაცრი სანქცია არ შთანთქავს ნაკლებად მკაცრ სანქციას.

საგადასახადო სანქციას საურავი არ ერიცხება.

საგადასახადო სამართალდარღვევის საქმეს აწარმოებს შესაბამისი საგადასახადო ორგანო (საბაჟო ორგანო).

სამართალდარღვევის გამოვლენისას საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ადგენს საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამართალდარღვევა დაფიქსირებულია საგადასახადო შემოწმების აქტში.

საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი სამართალდარღვევის ადგილზე განიხილავს საგადასახადო სამართალდარღვევის საქმეს და სამართალდამრღვევ პირს ადგილზევე უფარდებს საგადასახადო სანქციას. ამ შემთხვევაში პირს პასუხისმგებლობა დაეკისრება საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე, რომელიც ითვლება საგადასახადო მოთხოვნად.

საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი გასაცნობად წარედგინება სამართალდამრღვევ პირს, რომელსაც უფლება

აქვს წარადგინოს განმარტებები და შენიშვნები, რომელიც აისახება ოქმში ან დაერთება მას.

თუ საგდასახადო სამართალდარღვევის ოქმში არ არის ასახული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული რომელიმე მონაცემი, შესაბამისი ორგანოს ხელმძღვანელი ან დავის განმხილველი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას პირის საგდასახადო პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების შესახებ.

დანაშაულის აღმოჩენის შემთხვევაში მასალები დაუყოვნებლივ ეგზავნება შესაბამის საგამოძიებო ორგანოს ქვემდებარეობის მიხედვით, ხოლო პირის მიმართ საქართველოს საგდასახადო კოდექსის 289-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის სანქციის შეფარდების საკითხი გადაწყდება საქმეზე საგამოძიებო ორგანოს ან სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 30 დღის ვადაში.

TAX OFFENSES AND ITS IMPACT ON THE ECONOMIC DEVELOPMENT

Mamuka Sarchimelia

Doctor of Sciences, Professor of Faculty
of Law and International Relations, GTU

RESUME

Taxes are the necessary attributes of any state. Its origin originates from ancient times. The obligation to pay a tax is imperative. With its origin, there is a certain category of persistent taxpayers in the society. There is a tax evasion that has a negative impact on the business environment of the country, and therefore on the stable development of the economy.

Key Words: Offenses; Tax Code; Taxation Sanctions.



**საქართველო როგორც ღვინის „ახალი“
ექსპორტიორი ქვეყანა: პერსპექტივები
და მოლოდინები**

**თორნიკე თევდორაძე,
უჩა ჩიტიძე**
თსუ ბაკალავრიატის სტუდენტები

რეზიუმე

საქართველო მსფლიოს თითქმის ყველა ქვეყნისათვის ცნობილია, როგორც ღვინის სამშობლო. ქართულ ღვინოს რვა ათასწლიანი ისტორია აქვს, თუმცა მას შეიძლება ვუნოდოთ ღვინის ახალი ექსპორტიორი ქვეყანა. ჩვენი ყვეყნის ისტორიას თუ გადავაგვლებთ თვალს, დავინახავთ, რომ ნებისმიერი მტრის შემოსევისას ყოველი მათგანი ანადგურებდა ვაზის ნარგავებს. მიუხედავად ამისა, საქართველომ შეინარჩუნა როგორც სახელმწიფო და ერი, ასევე მეღვინეობის უძველესი ტრადიციებიც, რომლებიც დღეს განსაკუთრებულადაა აღიარებული. ერთ-ერთი მათგანი, „ქვევრი“ გაეროს იუნესკოს სიაშიც კი არის შეტანილი (ECONOMY, 13, 2016). XVIII-XIX საუკუნეებში საქართველო თითქმის არ იყო დამოუკიდებელი, ის ჯერ რუსეთის მიერ იყო დაპყრობილი, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის იძულებულ წევრად იქცა, რამაც შეცვალა ქვეყნის განვითარების, სოფლის მეურნეობისა და ნარმოების მიმართულება, მიუხედავად ამისა დაახლ. 200 წლის განმავლობაში ქართული ღვინო რუსეთში „გადიოდა“ (რეალურად რუსეთის ბაზარზე იყიდებოდა, მაშინ როცა მის მიერ დაქვემდებარებულ ტერიტორიად აღვიქმებოდით, შესაბამისად ამ ფაქტს ოფიციალურად ექსპორტს ვერ ვუნოდებთ, თუმცა ჩვენთვის ექსპორტის ტოლფასი იყო განმარტების მიუხედავად). მხოლოდ ბოლო ორი ათეული წელიწადია საქართველო

დამოუკიდებლად აწარმოებს ღვინოს და გააქვს ექსპორტზე, როგორც ევროკავშირის ასევე ცალკეული ქვეყნების ბაზრებზე, სადაც არანაკლებ მნიშვნელოვანი სახელი მოიხვეჭა (Anderson, K, 2013). გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ღვინის ექსპორტს საკმაოდ დიდი წილი უჭირავს საქართველოს ეკონომიკაში და მის ყოველწლიურ შემოსავალში. როგორც ვიცით, საქართველო სოფლის მეურნეობის ქვეყანაა, სადაც საკმაოდ კარგადაა განვითარებული ყურძნის მოყვანა და წარმოება, შესაბამისად საქართველოს კარგი ეკონომიკური პოტენციალი აქვს ღვინის ექსპორტის კუთხით.

ნაშრომი ეფუძნება ოფიციალურ დოკუმენტაციას, მეცნიერულ შრომებს, ასევე ცალკეული მკვლევარების მიერ ჩატარებულ გამოკითხვებსა და კვლევებს. საკვლევი კითხვაა: რა ფაქტორები ახდენს გავლენას ღვინის ტურიზმის განვითარებასა თუ დეგრადირებაზე?

საკვანძო სიტყვები: ექსპორტი, ტურიზმი, ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, ბაზარი, ღვინის წარმოება, ტარიფები და კვოტები.

ძირითადი ტექსტი

საქართველოში ოდითგანვე იწარმოებოდა ღვინო, თუმცა მისი მასშტაბური ექსპორტი მხოლოდ და მხოლოდ უკანასკნელ ათეულ წლებში დაიწყო და მისი ზრდის ტენდენციაც შეინიშნება. მიუხედავად ტურიზმის სექტორის განვითარებისა, რომელიც არა მარტო ღვინის ტურიზმს მოიცავს, არამედ კულტურის, ძეგლების, ბუნების და სხვა ღირსშესანიშნაობას, ტურიზმის სექტორი, ჩემი აზრით, სწორედ ღვინის ტურიზმით განვითარდა. იშვიათმა ადამიანმა თუ იცოდა ათეული წლის წინათ, სად იყო საქართველო, მათ მხოლოდ ჯორჯიის შტატი წარმოუდგებოდათ გონებაში თავიდანვე, თუმცა დღეს ეს ტენდენცია შენელებულია. არაერთმა ევროპელმა თუ ამერიკელმა იცის რომ საქართველო არის სწორედ ღვინის სამშობლო. მათმა უმრავლესობამ გადაწყვიტა ენახა ღვინის დაყენების უძველესი ტრადიციები და ადგილზე დაეგემოვნებინა ღვინო, მხოლოდ

მას შემდეგ, რაც მათი ქვეყნის ბაზარზე გამოჩნდა ქართული ბრენდული ღვინოები და ესოდენ დიდი მოწონებაც დაიმსახურა. ქართული ღვინის წარმოებას რვა ათასწლიანი ისტორია აქვს, ამასთანავე საქართველოში 500 სახეობის ვაზი ხარობს, საიდანაც თითქმის ნახევარი ენდემურია (Euronews, 22,06,16). სწორედ ეს და სხვა უამრავი ფაქტი განაპირობებს უცხოელთა მზარდ ინტერესს ქართული ღვინისადმი, რაც, თავისთავად, აღვივებს ინტერესს ქვეყნის მიმართ. გამოდის, რომ ღვინის ექსპორტის განვითარებით, განვითარდა ტურიზმის სექტორი, სწორედ ღვინო გახდა ქვეყნის პირველი სახე უცხო ქვეყნის ბაზრებზე, საბოლოო ჯამში კი, ღვინის ტურიზმის განვითარება დადებითად აისახა საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კეთილდღეობაზეც (ECONOMY, 15,2016). ღვინის ტურიზმის შედეგიანობაზე მეტყველებს სწორედ საქართველოში, კერძოდ კახეთის რეგიონში ჩატარებული პირველი კონფერენცია „Wine Tourism – a growing tourism segment“, რომელიც ორგანიზებული იყო “მსოფლიოს ტურიზმის ორგანიზაციის“ (UNWTO) მიერ. კონფერენციაში მონაწილეობდნენ 50-მდე ქვეყნის წარმომადგენლები. კონფერენციის გახსნაზე UNWTO-ს გენერალურმა მდივანმა, ტალეზ რიფაიმ ისაუბრა ღვინის ტურიზმის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ ღვინის ტურიზმი სხვადასხვა სექტორს აწვითარებს და საერთაშორისო საზოგადოებას იზიდავს, გარდა ამისა ხელს უწყობს ერებს შორის კულტურის გაცვლასა და ერების დაახლოებას, რაც თანამედროვე ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია. კონფერენციაზე არგენტინის ტურიზმის მინისტრმა კი განაცხადა რომ, ღვინის ტურიზმი მზარდი სექტორია და ის დიდად შეუწყობს ხელს ბიზნესისა და ეკონომიკის განვითარებას. არნიშნულ კონფერენციაზე, რომელიც 2016 წლის სექტემბერში ჩატარდა, მიიღეს დეკლარაცია, სადაც დოკუმენტაციით მტკიცდებოდა გენერალური მდივანისა და არგენტინის ტურიზმის მინისტრის მიერ წარმოთქმული სიტყვები, ასევე ნათლად იყო წარმოჩენილი ის კრიტერიუმები და მოვალეობები, რომელსაც ღვინის ექსპორტიორ ქვეყნებს უწესებდა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია (რა თქმა

უნდა ორგანიზაციის წევრ ქვეყნებს მხოლოდ). (UNWTO, 2016) (ECONOMY, 15,2016)

აღსანიშნავია ასევე ევროკავშირის მზარდი ინტერესიც ღვინის ტურიზმის განვითარებაში, აღმოსავლეთ მეზობელ ქვეყნებში. მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი ევროკავშირის ბაზარზე ღვინის უდიდესი მიმწოდებელია, შეიძლება ითქვას ქართული ღვინოც ნელ-ნელა იკიდებს ფეხს. მას შემდეგ რაც, ერთი მხრივ, ევროკავშირსა და მეორე მხრივ საქართველოს შორის გაფორმდა ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმება (DCFTA) ,საქართველოს ახალი შესაძლებლობები მიეცა. რა თქმა უნდა, ეს არ გულისხმობს კვოტების შემცირებას, თუმცა სულ მცირე საბაჟო გადასახადების მოხსნას მაინც, რაც ერთგვარი სტიმული იქნება ქართველი ბიზნესმენებისათვის. აღნიშნულ შეთანხმებასთან დაკავშირებით, და აღმოსავლეთ პარტნიორი ქვეყნების ეკონომიკისა და ღვინის სექტორის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამა „აღმოსავლეთის ინვესტიცია 2“ (East Invest 2). პროგრამა გულისხმობს როგორც ფინანსურ დახმარებას, ასევე ღვინის სტანდარტების დაკმაყოფილებას, რათა რომელიმე ქართული მარკის ღვინის ექსპორტი ევროკავშირის ბაზარზე ნებადართული იყოს. უპირველეს პრობლემად მაინც ინფორმაციის ნაკლებობა სახელდება, თუ როგორ უნდა აწარმოოს მწარმოებელმა უსაფრთხო, მაღალი სტანდარტების ღვინო. ამისათვის შეიქმნა ონლაინ პლატფორმა, სადაც 100 ქართველი ღვინის მწარმოებელი იქნება განერვიანებული და რომლის საშუალებითაც მიიღებს დეტალურ ინფორმაციას ზემოთ აღნიშნულ საკითხებზე და ასევე ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულების მოთხოვნებზე (მისი შინაარსის აბსოლუტურად ცოდნა ფაქტობრივად შეუძლებელია დიდი მოცულობის, ანდაც ხელმისაწვდომობის არარსებობის გამო). (UNWTO, 2016)

მიუხედავად ღვინის ექსპორტის მოკლე ისტორიისა, მნიშვნელოვანია თვალი გადავავლოთ ექსპორტის დინამიკას, რაც განსაზღვრავს კიდევ, ერთი მხრივ, მოლოდინებს აღნიშნულ სფეროში. 1990-იან წლებში ღვინის ექსპორტზე საუბარი ზედ-

მეტია ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენების გათვალისწინებით. 2000-იანი წლებიდან კი ღვინის ექსპორტი ახალი ენერჯით იწყება, თუმცა კვლავ რუსეთი ლიდერობს ექსპორტის მონაცემებით. ნელ-ნელა ქართული ღვინო ევროპისთვისაც ცნობილი ხდება და ევროკავშირის ბაზარიც გვეხსნება ალტერნატივად (რადგან გათვალისწინებული ქვოტების გამო, საქართველოში წარმოებული ღვინის მხოლოდ მცირედი ნაწილის გატანა თუ იქნება შესაძლებელი ევროკავშირის ბაზარზე). უახლოეს წარსულში კი გაიხსნა ჩინეთის ბაზარიც. აღნიშნულ პერიოდში, ღვინის ექსპორტის დინამიკა ყველაზე მზარდი 2014 წელს იყო, მაშინ როცა რუსეთმა ემბარგო მოხსნა ქართულ ღვინოს, აგრეთვე ქართული ღვინო გავიდა ევროკავშირის ბაზარზეც და გაზარდა მოცულობა ტრადიციულ საექსპორტო ხაზებზეც. მიმდინარე წელიც არ ჩამოუვარდება 2014 წლის მონაცემებს და ახალი მონაცემების გამოქვეყნებისთანავე შესაძლებელიც იქნება გავიგოთ გაუმჯობესდა თუ არა ღვინის ექსპორტი 2014 წელთან შედარებით (Marani, 23.01.2015). თუმცა, ღვინის ექსპორტის უკვე ცნობილი მაჩვენებლები აშკარად დადებითია. საგრძნობლად გაიზარდა ექსპორტი გერმანიას, პოლონეთსა და საფრანგეთში, მეორე მხრივ, ჩინეთშიც. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ექსპორტის ზრდის მიხედვით პირველი ხუთი ქვეყნების სია ასეთია:

1. გერმანია - **28%** (286156 ბოთლი)
2. საფრანგეთი - **32%** (96790 ბოთლი)
3. უკრაინა - **54%** (5322683 ბოთლი)
4. პოლონეთი - **14%** (1869852 ბოთლი)
5. ლატვია - **36%** (1141778 ბოთლი) (EUROPE FOR GEORGIA, 25,10,2017)

ღვინის ექსპორტის მოცულობის მიხედვით მსოფლიოს მასშტაბით კი პირველი ხუთელი ასე გამოიყურება:

1. რუსეთი - 8 987 745 ბოთლი;
2. ჩინეთი - 1 794 200 ბოთლი;
3. უკრაინა - 1 305 508 ბოთლი;
4. პოლონეთი - 561 294 ბოთლი;
5. ყაზახეთი - 473 515 ბოთლი.

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით ექსპორტის ზრდის კუთხით ლიდერობს ჩინეთი, სადაც საქართველოდან გასული ღვინის რაოდენობამ 383 პროცენტით მოიმატა. ჩინეთის შემდეგ ისრაელი 333 პროცენტით და რუსეთი 120 პროცენტით. ექსპორტი გაიზარდა კანადაში, პოლონეთში, გერმანიაში, უკრაინაში, აშშ-სა და ლატვიაშიც. 2017 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოდან მსოფლიოს 45 ქვეყანაში ექსპორტირებულია 52,7 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 63%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 116 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 55%-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. როგორც ვხედავთ, ღვინის ექსპორტის მატების ტენდენცია შეინიშნება და შესაბამისად მოლოდინიც გვიჩნდება, რომ შემდეგ წელს ეს მაჩვენებლები კიდევ უფრო გაიზრდებიან. (EUROPE FOR GEORGIA, 25,10,2017)

დასკვნა

საბოლოო ჯამში 8000 წლიანი ღვინის წარმოების ტრადიცია კვლავ გრძელდება საქართველოში და თანაც იმაზე სწრაფად, ვიდრე როდისმე ყოფილა. ბოლო ათეულ წლებში საქართველო ახალი ექსპორტიორი ქვეყანა გახდა. მოცემული სტატისტიკა კინათლად აჩვენებს, რომ ღვინის ექსპორტი ყველ წელს უმჯობესდებოდა, რაც გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ მომავალ წელს ქართული ღვინის ექსპორტი გაიზრდება. სტატისტიკიდან გამომდინარე იმის თქმაც შეიძლება, რომ ექსპორტის ზრდა მოხდება ევროკავშირისა და ჩინეთის ბაზრების ხარჯზე და არა რუსეთში. აღსანიშნავია ისიც, რომ დღითიდღე მატულობს ქართული ღვინით და „ღვინის სამშობლო“- საქართველოთი დაინტერესებულ ტურისტთა რიცხვი, რაც, თავისთავად, დადებითად აისახება ქართველი ხალხის კეთილდღეობასა და ეკონომიკაზე.

ბამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

1. Anderson, K. (2013). Is Georgia the Next “New” Wine-Exporting Country? *Journal of Wine Economics*, 8(1), 1-28. doi:10.1017/jwe.2013.7
2. UNWTO, *GEORGIA DECLARATION ON WINE TOURISM*, Tbilisi, Georgia, 9 September, 2016
3. ECONOMY, *Wine Tourism – a growing tourism segment*, 15 September, 2016 internet: www.georgianjournal.ge last seen 30.11.2017
4. ECONOMY *Turning an 8000 year wine tradition into success in Georgia*, 13 September, 2016 internet: www.georgianjournal.ge last seen 30.11.2017
5. Euronews, *Kakheti: Georgia’s cradle of wine*, 22.06.2016 article by Denis Loctier, internet: <http://www.euronews.com> last seen 30.11.2017
6. EUROPE FOR GEORGIA, *wine export increased in the EU countries*, 25.10.2017, internet: <http://eugeorgia.info> last seen 30,11,2017
7. “Marani”, *Georgian wine export – statistics and tendency*, 23,01,2015 Internet: <http://vinoge.com> last seen 30.11.2017

**GEORGIA AS THE “NEW” EXPORTER OF WINE:
PROSPECTS AND EXPECTATIONS**

Tornike Tevdoradze, Ucha Chitidze
Bachelor Students, Tbilisi State University

RESUME

Georgia is known for almost all countries of the world as a homeland of wine. As it is known, Georgian wine has eight millennia history, but it can be called a new wine exporter country. If we look at our history, we’ll see that in the event of any enemy invasion, all of

them destroyed vineyards. Nevertheless, Georgia maintained both the state and the nation as well as the oldest traditions of winemaking, which are especially recognized today. One of them, “qvevri” is even included in UN UNESCO list. Georgia was not nearly as independent in the XVIII-XIX centuries, it was first conquered by Russia, and then became a member of the Soviet Union, which changed the country’s development, agriculture and production direction, nevertheless. For 200 years Georgian wine was “crossed” in Russia (actually sold on the Russian market, but when we were territorially subordinated to it, we could not call this fact officially exported, but it was equivalent to export to us). Only two decades ago Georgia has independently produces wine and exported it to the European Union as well as on the markets of individual countries where the Georgian wines have become less important. (Anderson, K, 2013) Moreover, Georgia is agricultural county which economy is mostly depended on agriculture including vine making and its export. We will show how big part has vine export in the economy of Georgia.

The work will be based on official documentation, works and articles of other authors, as well as on interviews and surveys conducted by individual researchers. The question is: what factors affect the development of wine tourism or degradation?

The work includes a number of issues related to wine tourism that will be useful for the audience as well as for future researchers will be able to use the research and study the issue more efficiently on the basis of it.

Key words: export, tourism, economics, agriculture, market, wine producing, tariffs and quotas.

მცირე საწარმოების გუნება და დაკრედიტების პრობლემები

ნიკოლოზ ტატიშვილი
სტუდენტორანტი

რეზიუმე

მცირე საწარმოები ზოგად ეკონომიკურ სტრუქტურის იერ-არქიაში თავიანთ ადგილს პოულობდნენ მხოლოდ მაშინ, როდესაც მსხვილი კაპიტალის მქონე ბიზნესები თავს გრძნობდა უფრო “მჭიდროდ” და მათ გააჩნდათ ცოტა მოგება: პოსტი ინდუსტრიული ტიპის ეკონომიკაში რადიკალურად იცვლება მცირე ბიზნესის ადგილი. ამ უკანასკნელის გამო იზრდება სამეცნიერო ცოდნისა და ტექნოლოგიური მიღწევების როლი წარმოების პროცესებში. ასეთი ცვლილებების გამო, ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნებისთვის მცირე ბიზნესი გახდა ეკონომიკის ყველაზე მასიური და ყველაზე დინამიური ნაწილი.

ზუსტად მცირე ბიზნესი არის საფუძველი შექმნას საშუალო კლასი, რომლის განვითარების საფეხურსაც განსაზღვრავს ცხოვრების დონის ხარისხი. ამიტომ, სტაბილურად და თანდათანობით განვითარებული მცირე ბიზნესის სექტორის გარეშე არ იარსებებს არც უკეთესი საზოგადოება და არ ცივილიზებული სახელმწიფო სისტემა.

მცირე ბიზნესი საბაზრო ეკონომიკაში უმთავრესი სფეროა, იგი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე, ეროვნული პროდუქტის სტრუქტურასა და ხარისხზე. ყველა განვითარებულ ქვეყანაში, მცირე ბიზნესის წილი შიდა ეროვნულ პროდუქტში ითვლის 60-70% - ს. ამგვარად, განვითარებული ქვეყნების დიდი უმრავლესობა მთლიანად ხელს უწყობს მცირე ბიზნესის საქმიანობას.

საკვანძო სიტყვები: მცირე ბიზნესი, საბაზრო ეკონომიკა.

შესავალი

მცირე საწარმოები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში, რაც გამოიხატება მრავალი ფაქტორებით: ისინი არ საჭიროებენ დიდ სასტარტო ინვესტიციებს, ავსებენ იმ საბაზრო ნიშებს, რომლებიც მათი მცირე სიმძლავრის გამო არ არიან მიმზიდველი საშუალო და მსხვილი ბიზნესისთვის. უზრუნველყოფენ დასაქმების მნიშვნელოვან ნილს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობისთვის, ხელს უწყობენ კონკურენტული გარემოს ფორმირებას და ბაზარზე წონასწორობის დამკვიდრებას.

ძირითადი ტექსტი

მცირე ბიზნესი საბაზრო ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია, იგი ფუნქციონირებს სფეროებში, რომლებიც არ არიან საინტერესო მსხვილი და საშუალო საწარმოებისთვის, მაგრამ შეიძლება იყოს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი. მცირე ბიზნესის საწარმოები უზრუნველყოფს დასაქმების გაზრდას, წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტის ძირითად ნაწილს, ანვითარებს ცოდნას ინტენსიური, ინოვაციური და სარისკო საქმიანობისა და ამით ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას.

მცირე ბიზნესი საბაზრო ეკონომიკაში უმთავრესი სფეროა, იგი მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელზე, ეროვნული პროდუქტის სტრუქტურასა და ხარისხზე. ყველა განვითარებულ ქვეყანაში, მცირე ბიზნესის წილი შიდა ეროვნულ პროდუქტში ითვლის 60-70% - ს. ამგვარად, განვითარებული ქვეყნების დიდი უმრავლესობა მთლიანად ხელს უწყობს მცირე ბიზნესის საქმიანობას.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე მეტი მცირე საწარმოები 1000 მოსახლეზე მოდის ამერიკის შეერთებულ შტატებზე - 74, იაპონიაში - 50, ევროკავშირში - 45.

საქართველოსთან მიმართებაში შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მცირე საწარმოები, როგორც საბაზრო ეკონომიკის უმთავრესი სექტორი არ არის სათანადოდ ჩამოყალიბებული, და აქედან გამომდინარე საქართველოს ეკონომიკაში არ გამოიყენება მისი პოტენციალი.

ასევე აუცილებელია, ყურადღება მიექცეს მცირე ბიზნესის რაოდენობის არათანაბარ განაწილებას, რადგან საქართველოში მცირე ბიზნესი ძირითადად კონცენტრირებულია ქალაქ თბილისში, ხოლო რეგიონებში რაოდენობრივი პარამეტრები ძალიან მცირეა. მცირე ბიზნესის დარგობრივი სტრუქტურაც რამდენიმე წლის განმავლობაში უცვლელი რჩება: უმრავლესობა მცირე ბიზნესისა მოქმედებს ვაჭრობასა და საზოგადოებრივი კვებაში, სამშენებლო, მსუბუქ მრეწველობაში (ორიენტირებული ადგილობრივ ბაზარზე და აწარმოებს ძირითადად საკვებ პროდუქტებს, ტანსაცმელს, ფეხსაცმელს). ასეთ მრეწველობაში საერთო რაოდენობის მცირე ფირმების დაახლოებით 80% – ია თავმოყრილი.

მცირე ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება უნდა იყოს წარმოების სექტორის განვითარება, მათ შორის ინოვაციური ტექნოლოგიების. აღნიშნულიდან გამომდინარე სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია ყურადღების მიქცევა და ხელშეწყობა მცირე ბიზნესის საწარმოებისთვის, რაც განსაკუთრებულ როლს ითამაშებს საბაზრო ეკონომიკის განვითარებისთვის.

მცირე ბიზნესის საქმიანობა სტიმულირებას უნევეს კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას და ხელს უშლის გარკვეული მიმართულებების მონოპოლიზაციას. კონკურენტული გარემო უზრუნველყოფს სამრეწველო საქმიანობის ეფექტიანობის ზრდას, რაც საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების საფუძველია.

მცირე ბიზნესი მოქმედებს, როგორც ერთ - ერთი ძირითადი საყრდენი საბაზრო ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირებისა. შესაბამისი საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ჩავთვალოთ რომ მცირე ბიზნესის განვითარება ხელს უწყობს საზოგადოებას გადანყვიტოს შემდეგი მთავარი პრობლემები:

- კონკურენტული და ცივილიზებული საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომელიც ხელს უწყობს მოსახლეობის მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებაში, როგორც საქონ-

ლის ასევე მომსახურების კუთხით;

- საქონლის ასორტიმენტის გაფართოება და მათი ხარისხის გაუმჯობესება, სამუშაო ადგილების შექმნა, მომსახურების ხარისხის ამაღლება;

- საქონლის მწარმოებლისა და კონკრეტული მომსახურების მიმღები მომხმარებელთა დაახლოება;

- მცირე მენარმეობა ეკონომიკას ხდის იყოს უფრო მოქნილი და მობილური;

- მოსახლეობის პირადი რესურსების ჩართულობა წარმოების განვითარებაში;

- ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და უმუშევრობის შემცირება;

- ადამიანების შემოქმედებითი უნარის უკეთესი გამოყენება, რაც ეხმარება, მათი ნიჭის გამოვლენასა და განვითარებას სხვადასხვა სახის მიმართულებით;

- მოსახლეობის ისეთი სპეციფიკური ჯგუფების ჩართულობა შემოქმედებით სამუშაოებში, რომელთათვისაც მასშტაბური წარმოებები წარმოადგენენ გარკვეულ შეზღუდვებს (დასახლისები, პენსიონერები, ინვალიდები, სტუდენტები);

- მესაკუთრეთა სოციალური კლასის ფორმირება, რომლებიც ფლობენ საწარმოებს (ფირმებს, კომპანიებს);

- სამეცნიერო და ტექნიკური განვითარების აქტივიზაცია;

- ადგილობრივი ნედლეულისა და მსხვილი საწარმოების ნარჩენების გამოყენება;

- მსხვილი საწარმოების მუშაობის პროცესების ხელშეწყობა მცირე დეტალებისა თუ სხვა დამხმარე კომპონენტების კომპლექტაციების მიწოდებით, ასევე მომსახურებისა და სხვა სახის შვილობილი კომპანიების შექმნით;

განმარტებები: «მცირე საწარმო» და «მცირე მენარმეობა» - ლიტერატურაში მერყეობს, არსებობს როგორც ფორმალური განმარტებები, რომლებიც მიუთითებს მათ მახასიათებლებზე, ასევე არსებობს უფრო დეტალური განმარტებებიც, რომლებიც მოიცავს ყველაზე მნიშვნელოვან ასპექტებს.

პირველ რიგში შეიძლება დავეთანხმოთ მოსაზრებას, რომ-

ლის მიხედვითაც მცირე მენარმეობა მოიცავს სამენარმეო საქმიანობას რომელსაც ანხორციელებს საბაზრო ეკონომიკის სუბიექტები, სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი გარკვეული კანონების შესაბამისად.

სამართლებრივ და ეკონომიკურ ლიტერატურაში აქცენტები გამახვილებულია სხვადასხვა ატრიბუტებზე, რაც განასხვავებს მცირე ბიზნესს. ამგვარად ნარმოდგენილია მცირე მენარმეობის შემდეგი ნიშნები: პატარა სამრეწველო ბაზარი, რომელიც საშუალებას არ აძლევს კომპანიას მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს გასაყიდი საქონლის ფასებსა და მოცულობებზე; პერსონალურად მართვა, მიუთითებს, რომ მფლობელი ან პარტნიორი მფლობელები თავად არიან ჩართული ბიზნეს მენეჯმენტის ყველა ასპექტში და ყველა გადაწყვეტილებას თავადვე იღებენ.

დასკვნა

მცირე ბიზნესის ყველა ეკონომიკური და სოციალური ფუნქციები უზრუნველყოფენ სახელმწიფოს მიერ დასახული უმნიშვნელოვანესი ამოცანების განვითარებას. სახელმწიფოს მხრიდან დიდი ხანია მიმდინარეობს მუშაობა, როგორც ცენტრალიზებულ, ასევე რეგიონულ დონეზე ეკონომიკური სტიმულირების ხელშეწყობის კუთხით, რათა უზრუნველყოფილ იქნას ეკონომიკის განვითარება დედაქალაქსა და რეგიონებში, მათ შორის მცირე ბიზნესის საწარმოების გაზრდითა და განვითარებით;

მცირე ბიზნესის საწარმოების პრობლემების გაანალიზება, საშუალებას იძლევა აღინიშნოს, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს სუბიექტებს შორის პრობლემების ადეკვატურად გადაჭრას და მცირე ბიზნესის მართვის კატეგორიას.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული ბანკი www.nbg.gov.ge;
2. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.statistics.ge;
3. Цапук А. И., Савычев О. П., Трифонов С. В. – Экономика и организация малого предпринимательства: учебное пособие. – Санкт-Петербург: Из-во «санкт-петербургский государствен-

ный университет экономики и финансов», 2008. – 65 с.;

REFERENCES:

- 1.National Bank of Georgia www.nbg.gov.ge;
- 2.National Statistics Office of Georgia www.statistics.ge;
- 3.Tsapuk AI, Savychiv OP, Trifonov SV - Economics and organization of small entrepreneurship: a textbook. - St. Petersburg: From the «St. Petersburg State University of Economics and Finance», 2008. - 65 pp .;

**THE NATURE OF SMALL ENTERPRISES
AND THEIR LENDING PROBLEMS**

Nikoloz Tatishvili, PhD student, GTU

RESUME

The smaller enterprises found their place in the hierarchy of the general economic structure only when the large-scale businesses felt more “closely” and had a little bit of profit: in the post- industrial economy, radically changing the small business place. Because of the latter, the role of scientific knowledge and technological achievements in the process of production is increasing. Because of such changes, small business has become the most massive and most dynamic part of the economy in industrialized countries.

Moreover, just a small business is the basis for creating a middle class whose development level determines the quality of life. Therefore, without a stable and gradually developed small business sector, there will be no better society and no civilized state system.

Finally, small business is the main area in the market economy, which has a significant impact on the economic growth rate, the structure and quality of the national product. In all developed countries, small businesses account for 60-70% of domestic domestic product. Thus, the vast majority of developed countries fully support small businesses.

Key words: Small Business, Market Economy.



ზიზნესი, მენეჯმენტი, პარკატიონი

ხარისხის შიდა აუდიტი როგორც აუდიტის ერთ-ერთი სახე

ეკატერინე კოპლატაძე
სტუდენტორანიტი

რეზიუმე

თანამედროვე წარმოების და მომსახურების სფეროს ხარისხის მართვის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია ხარისხის შიდა აუდიტი. ხარისხის ყველა სტანდარტი განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს, ერთის მხრივ, შიდა აუდიტორების შერჩევის და, მეორეს მხრივ კი, აუდიტების ჩატარების პროცედურულ საკითხებს. განსაკუთრებით მკაცრი რეგულირების ჩარჩოებშია განხილული შიდა აუდიტების, ან ე.წ. თვითინსპექციის მოთხოვნები ფარმაცევტული პროდუქტის წარმოების სტანდარტებში.

ფარმაცევტული პროდუქციის წარმოების სფეროს არეგულირებს საერთაშორისო სტანდარტში - „სათანადო წარმოების პრაქტიკა“ მოცემული მოთხოვნები, რომლებიც განერილია აღნიშნული სტანდარტის ცხრა თავში. თვითინსპექციის ანუ ორგანიზაციის ფარგლებში თავად ორგანიზაციის ძალებით ორგანიზებული შემონმებების პროცედურა ერთ-ერთი თავის საგანს წარმოადგენს.

ევროკავშირის „სათანადო წარმოების პრაქტიკის“ დირექტივის მე-9 თავში- „თვითინსპექცია“- აღნიშნულია, რომ „თვითინსპექცია უნდა ჩატარდეს სათანადო წარმოების პრაქტიკის პრინციპების განხორციელების და ამ პრინციპებთან შესაბამისობის მონიტორინგის, ასევე შესაბამისი მაკორექტირებელი ღონისძიებების დასახვის მიზნით“.

თვითინსპექცია არსებითად თითქმის იგივეა, რაც გარე აუდიტი მესამე მხარის სახით მოქმედ მწარმოებელთან ან მომწოდებელთან, მაგრამ არსებობს გარკვეული განსაკუთრებული ასპექტები, რომელიც აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ.

ამ პროცესს ახორციელებენ შიდა აუდიტორები, რომელთა პერჩევა, დანიშვნა და მოქმედებების პროცედურები სათანადოდ უნდა იყოს განერილი და დაცული.

ერთ-ერთი სპეციფიკური სირთულე შიდა აუდიტორებისათვის არის ის, რომ, ერთის მხრივ, იგი უნდა იყოს გუნდის წევრი, ხოლო, მეორე მხრივ, კითხვები უნდა დასვას არსებულ პრაქტიკასთან დაკავშირებით და დაადგინოს არსებული ხარვეზები და სისუსტეები. ასეთ შემთხვევაში (შიდა) აუდიტორის ქმედებები ხარისხის სისტემის გაგრძელებაა და მისი მიზანია მინიმუმამდე შეზღუდოს პაციენტის მიმართ არსებული რისკი. ეს ყველაფერი კი მან უნდა მოახერხოს მაშინ, როდესაც თავად განსახილველი ხარისხის სისტემის ნაწილია.

შიდა აუდიტორის საქმიანობა შეიძლება განვიხილოთ სამ ნაწილად:

აუდიტორი: უნდა აღმოაჩინოს შეუსაბამობები ან პრობლემები, რომელიც შეიძლება შეუსაბამობებად იქცეს.

განმანათლებელი: უნდა ითანამშრომლოს იმ პირებთან, რომლებიც ფარმაცევტული პროდუქტის წარმოებაზე და კონტროლზე არიან პასუხისმგებელი.

კონსულტანტი: უნდა მისცეს რჩევა და დაეხმაროს შესაბამის თანამშრომლებს პრობლემის გადაჭრაში, როდესაც ეს შესაძლებელია; მაგრამ ეს აუდიტორის ფუნქციის მიღმა უნდა მოხდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთდროულად რჩევის მიცემა და აუდიტის ჩატარება დაუშვებელია. შეიძლება კონსულტანტის როლის შესრულება საჭირო გახდეს აუდიტის შემდეგ, აუცილებელი ღონისძიებების გატარებისას.

ამ ყველაფრისდა მიუხედავად, შიდა აუდიტორს გააჩნია მკაფიო მისია და მიზანი, რომელიც მენეჯმენტის მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს. ამავდროულად, აუდიტორი მაქსიმალურად დამოუკიდებელი უნდა იყოს. გარე კონსულტანტის მსგავსად, შიდა აუდიტორი ანგარიშვალდებულია ტოპ მენეჯმენტის წინაშე. იგი ვალდებულია შეადგინოს გეგმა, ჩაატაროს აუდიტი და შეადგინოს ანგარიში პირდაპირი გზით, როგორც ნეიტრალურმა პირმა. აუდიტის პროცესი უნდა იყოს თანმიმდევრული,

სტანდარტული ანგარიშის წარდგენის პროცესის თანხლებით, რათა დადგინდეს მნიშვნელოვანი ხარვეზები შესაბამისობის კუთხით.

საკვანძო სიტყვები: ხარისხი, ხარისხის აუდიტი, ფარმაცია, შიდა აუდიტორი, აუდიტის ანგარიში.

ძირითადი ტექსტი

როგორც გარე აუდიტის შემთხვევაში, შიდა აუდიტის პერიოდულობაც შეიძლება ემყარებოდეს რისკზე დამყარებულ სტრატეგიას.

რაზე უნდა გაკეთდეს აქცენტი შიდა აუდიტის დროს? ჩვენ შევისწავლეთ შიდა აუდიტის როლი და პასუხისმგებლობები ქართულ ორგანიზაციებში, და შევადარეთ მათი შესრულების პრაქტიკა ევროპულ კომპანიებში არსებულ გამოცდილებას.

უპირველეს ყოვლისა, უნდა არსებობდეს ხარისხის სისტემის დეტალური განხილვა. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მაგალითი, თუ რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება შიდა აუდიტის დროს:

სერიის სერტიფიკაცია და გაშვება -

დამტკიცებულია თუ არა წარმოების და კონტროლის ძირითადი ოქმები?

სათანადოდ არის თუ არა განხილული წარმოებული სერიის დოკუმენტაცია?

არსებობს თუ არა სერიის წარმოების და კონტროლის ოქმები?

შემოწმებულია თუ არა წინა ეტაპების მართვის სტატუსი?

გამოკვლეული და გამოსწორებულია თუ არა გადახრები?

არსებობს თუ არა QA/QP გაშვების პროცესი ყველა საბოლოო პროდუქტისთვის?

მომხმარებლის უარყოფითი გამოხმაურების, რეკლამაციის ფაილები:

QA რეკლამაციასთან დაკავშირებულ ყველა მიმონერას განიხილავს/ამტკიცებს?

რეკლამაციების მიკვლევა და ტენდენციის ანალიზი სრულ

ლდება? ხდება თუ არა მათი დაკავშირება გვერდითი მოვლენით გამონვეულ ინციდენტებთან?

სწავლების პროგრამები:

სწავლების პროგრამები კონკრეტული პოზიციის მოთხოვნების გათვალისწინებით არის დადგენილი?

სწავლება თანამედროვე სათანადო წარმოების პრაქტიკის შესახებ რეგულარულად ტარდება?

როგორი კვალიფიკაცია აქვთ ინსტრუქტორებს / ტრენერებს?

სწავლების განრიგი დადგენილი და დამტკიცებულია?

სწავლების ოქმები ინარმოება?

დოკუმენტის კონტროლი:

დოკუმენტების განხილვის, დამტკიცებისა და გავრცელების შემონემა;

დოკუმენტის ისტორიის და წარმოების, კონტროლისა და გავრცელების ოქმების კონტროლი;

ელექტრონული მონაცემები, ჩანაწერები და ელექტრონული ხელმოწერები.

მონაცემების მთლიანობა

ყველა ელექტრონული სისტემა შეესაბამება დანართ 11-ს?

საკონტროლო ჟურნალის ქალაქის ვერსია;

ინფორმაციის უსაფრთხოება;

მონაცემების მთლიანობა;

ცვლილების კონტროლი;

დაარქივება და შენახვა;

გადახრები და მაკორექტირებელი/გამაფრთხილებელი მოქმედებები, CAPA

არც ერთი ღია საკითხი არც ერთ სერიასთან დაკავშირებით;

დაგროვილი შეუსრულებელი სამუშაოები არსებობს?

ნამდვილი / გონივრული ძირეული მიზეზები დადგენილი და მოგვარებულია?

კვალიფიკაცია და ვალიდაცია:

საწარმოო დანადგარები და ანალიზური ხელსაწყოები კვალიფიცირებულია?

შესაბამისი პროცესები და მეთოდები ვალიდირებულია?

შეფუთვისა და ეტიკეტირების პროცედურებთან დაკავშირებით რა ხდება?

ცვლილების კონტროლი:

დანერგულია თუ არა პროცედურები პროცესების, ანალიზური მეთოდების და სპეციფიკაციების, დანადგრების, კომპიუტერული სისტემებისა და დოკუმენტაციისთვის?

განხორციელების, განხილვისა და დამტკიცების შემონმება.

ხარისხის სისტემის გარდა არსებობს აგრეთვე ხუთი სხვა სისტემა, რომელზეც აქცენტი უნდა გაკეთდეს:

საინჟინრო სისტემები და დანადგარების სისტემა

ლაბორატორიული სისტემები

შეფუთვისა და ეტიკეტირების სისტემა;

წარმოების სისტემა;

მასალების სისტემა.

შესაძლებელია შემონმებას დაექვემდებაროს სხვა სისტემებიც, მაგრამ ეს ექვსი სისტემა ყველაზე ხშირად განიხილება. აღნიშნულ ყველა სისტემას უნდა გააჩნდეს წერილობითი და დამტკიცებული პროცედურები და დოკუმენტაცია. წერილობითი პროცედურების დაცვა უნდა შემონმდეს დაკვირვების გზით, როდესაც შესაძლებელია. თითოეული სისტემის ყველა სფერო უნდა იყოს განხილული, მაგრამ განხილვის სიღრმე შეიძლება სხვადასხვა იყოს ინჟინერიების დროს აღმოჩენილი შედეგების და შესამონმებელ ოპერაციაში გამოყენებულსისტემასთან დაკავშირებული რისკის ხარისხის მიხედვით.

სფეროს მიხედვით, აქცენტი უნდა გაკეთდეს, მაგალითად, შემდეგზე:

გამოკვლევები: ძირეული მიზეზი დადგენილია?

სხვა სერიებთან დაკავშირებით რა ხდება?

ცვლილების კონტროლი: სათანადოდ გამოიყენება?

წუნდება: ეს პრობლემის ერთეული შემთხვევაა თუ პრობლემა სისტემური სახე აქვს?

გადამუშავება: პერიოდულობა? რეგისტრაციის პრობლემები? გავლენა ვალიდაციაზე?

სტაბილურობის შეუსაბამობები: სამდლიანი გაფრთხილება

გაიცემა? ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ შეუსაბამობა - შესაძლო შედეგები?

OOS, OOT და OOE შედეგები: როგორია შედეგები? შესაბამისობის შემოწმება.

განგაშის სიგნალები (GMP ან არა-GMP): ვის რა ევალება?

დაყოვნების დრო: სტაბილურობის მონაცემებით არის გაყარებული?

ზოგადი სამეურნეო მდგომარეობა (მხოლოდ ერთი შანსი არსებობს, რომ პირველი შთაბეჭდილება დადებითი იყოს).

ჯანმრთელობისადმი არსებული საფრთხეების შეფასება ხდება?

პროდუქტის დაბრუნება: რა ბედი ეწევა დაბრუნებულ პროდუქტს?

დოკუმენტაცია თითოეული შესამოწმებელი სფეროს შესახებ

ვინ ატარებს შიდა აუდიტებს? აუდიტის პროგრამაში აუდიტების ჩატარების ან გარე კონსულტანტების მართვის კუთხით ანგარიშვალდებულია ცენტრალური ან გაერთიანებული ხარისხის უზრუნველყოფის ერთეული - QA. ინდივიდუალური სანარმოები ვალდებული არიან უმასპინძლონ გარე აუდიტებს და ასევე ჩაატარონ თავიანთი შიდა აუდიტები. აუდიტის შეჯამებას მინიმუმ ყოველკვარტალურად უნდა განიხილავდეს უმაღლესი მენეჯმენტი. ხარისხის ხელმძღვანელობა ვალდებულია უზრუნველყოს მაკორექტირებელი ღონისძიებების განხილვა პრობლემების შემდგომი განმეორების თავიდან ასაცილებლად. ამისათვის საჭიროა კონკრეტული ღონისძიებების დამოწმება და გავლენის რეგულარული რეტროსპექტული განხილვა.

თუ კრიტიკული შენიშვნები დაფიქსირდება, საჭიროა ღონისძიებების დაუყოვნებლივ გატარება მათი კორექტირებისთვის (ვადების განერა შეუსაბამობის მიხედვით). განხორციელების გეგმა უნდა გამოიცეს 30 დღის ვადაში ან პროდუქტის შემდეგ ნარმოებად. უზრუნველყოფილი უნდა იყოს პასუხების გაცემა შესაბამისი ვადის დაცვით.

განიხილება ასევე სანარმოს მენეჯმენტისათვის შესაბამი-

სობის შესახებ შიდა გამაფრთხილებელი წერილის გაგზავნა. ეს შეიძლება კარგი საშუალება იყოს იმისთვის, რომ პასუხი და რეაგირება დაუყოვნებლივ გატარდეს, როდესაც აუდიტის შედეგები კრიტიკული შენიშვნის ტიპისაა, არ სრულდება ხარისხის კრიტიკული სისტემის პოლიტიკა ან პროცედურები, ასევე მარეგულირებლისადმი აღებული ვალდებულებები. აღნიშნული ქმედების კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება იყოს მდგომარეობა, როდესაც აუდიტის შენიშვნებზე დათქმულ ვადაში არ ხდება პასუხის გაცემა ან პასუხები არაადეკვატურია, რამდენადაც სათანადოდ არ განიხილავს შეუსაბამობას.

რეკომენდაციები კვლევის საფუძველზე

მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით, უწინარეს ყოვლისა, არსებობს საჭიროება, ორგანიზაციაში დაინერგოს შიდა აუდიტის სისტემა, შემუშავდეს პროგრამა, რომელიც, თავის მხრივ, დაფუძნებული იქნება რისკის ანალიზზე.

ორგანიზაციებს სჭირდებათ სამუშაო ადგილზე სტრუქტურული ერთეულის შექმნა ხარისხის შიდა აუდიტის ჩატარების მიზნით. ხოლო მათ მიერ მოპოვებული მონაცემები პრევენციულ და მაკორექტირებელ ღონისძიებებად უნდა გარდაიქმნას ხარისხის რისკების თავიდან აცილების მიზნით.

ჩვენს მიერ ჩატარდა კვლევა, ქართულ კომპანიებში შიდა აუდიტის დანერგვის და ფუნქციონირების საკითხის შესწავლის მიზნით. როგორც გამოიკვეთა, არსებობს წარმოების რიგი ორგანიზაციები, სადაც შიდა აუდიტის განყოფილება შექმნილია და ეფექტურად ფუნქციონირებს - იგეგმება და ტარდება აუდიტები, გამოვლინდება ხარისხის ხარვეზები, დგება აუდიტის ოქმები და ანგარიშები. თუმცა აუდიტის შედეგების მიდევნება რიგ ორგანიზაციებში არ სრულდება სათანადო სიღრმით, რაც იმაში გამოიხატება, რომ აუდიტის შედეგების საფუძველზე შედგენილი მოქმედებების გეგმა არ არსებობს, ან ხშირად არაეფექტურია.

დეფიციტებია ასევე დაგეგმვის ნაწილშიც, ორგანიზაციები არ ითვალისწინებენ ხარისხის რისკის ანალიზის შედეგებს

და ხშირად რესურსების განაწილება ხდება არამიზნობრივად, მაღალი და საშუალო რისკის წარმოების უბნებს აუდიტი უტარდება ერთნაირი სიხშირით და დეტალურობით, რაც საბოლოო ჯამში რესურსების არასწორ განაწილებას უწყობს ხელს და უმაღლესი მენეჯმენტის მიერ აღიქმება, როგორც მართვის არაინფორმატიული და არაეფექტური ინსტრუმენტი.

დეტალური კვლევა როგორც ორგანიზაციების, ისე ცალკეული სფეროების გათვალისწინებით ნამდვილად სასარგებლო იქნებოდა. რეკომენდებულია კვლევის ჩატარება ქვეყნის ფარმაცევტული და კვების მრეწველობის მასშტაბით.

ხარისხთან დაკავშირებული აუდიტების ფარმაცევტულ წარმოებაში განხორციელებული პროექტების შესახებ ბევრი ნაშრომი არ არის გამოქვეყნებული. ამ პროექტების განხორციელებისთვის საჭიროა შესაბამისი შიდაორგანიზაციული კულტურის არსებობა, ასევე მაღალი რგოლის მენეჯმენტის მხარდაჭერა.

ლიტერატურა:

1. სათანადო წარმოების პრაქტიკა GMP ჟურნალი, მე-20 ნომერი, GMP journal Sept/Oct 2017 Technical and regulatory developments in the pharmaceutical industry
2. სათანადო წარმოების პრაქტიკა GMP ჟურნალი მე-8 ნომერი, აპრილი/მაისი 2012 „გაყალბების სანინაღმდეგო კანონმდებლობა: პოტენციური შედეგები კვალიფიცირებული პირისთვის. ვოლფგანგ შმიდტი, კონცეპტ ჰაიდელბერგი (ინგლისურ ენაზე);
3. ქეით მაკკორმიკი „ხარისხი“ (ინგლისურ ენაზე);
4. ო.პ. გლუდკინი, ნ.მ. გორბუნოვი. ა. ი. გუროვი, ი.ვ. ზორინი „ერთიანი ხარისხის მართვა“ (რუსულ ენაზე);

REFERENCES:

1. IOSR Business and Management Journal (IOSR-JBM) (in Georgian language);
5. GMP Journal issue 20, GMP journal Sept/Oct 2017 Technical and regulatory developments in the pharmaceutical industry
2. GMP Journal issue 8, April/May 2012 Good Distribution Practices: the new guideline and its consequences for industry” Dr. Afshin Hosseiny, Tabriz Consulting
3. Kate McCormick “Quality”.
4. O. P. Gludkin, n.m.Gorbunov. A.I.Gurov. I.V.Zorin “Total Quality Management” (in Russian language).

INTERNAL QUALITY AUDIT AS THE TYPE OF AUDIT

Ekaterine Koplataдзе,
Doctoral candidate of
Georgian Technical University

RESUME

Quality audit is one of the main elements of modern quality system. Almost all quality standards give particular requirements to planning as well as executing of quality audits, very precise attention is given to internal audits and self-inspections in pharmaceutical industry, these requirements are described in chapter 9 EU GMP Guide.

In the EU Guide to GMP, chapter 9 on Self Inspection it is said that „Self inspections should be conducted in order to monitor the implementation and compliance with Good Manufacturing Practice principles and to propose necessary corrective measures”. Basically this is pretty much similar to an external audit at a third party

manufacturer or a supplier. But there are some special aspects to consider.

One special challenge for internal auditors is to be a team member on the one hand but to question established practices and to identify gaps and weaknesses on the other hand. In this case, the internal auditor is an extension of the quality system whose purpose is to limit the risk to patient, while being part of the quality system in question.

The job of an internal auditor can be seen in three parts:

1. Auditor to discover things that are non-compliant or have the possibility of becoming non-compliant.

2. Educator a collaborator with those who are responsible for the manufacture and control of pharmaceutical products.

3. Consultant provides advice and assistance in solving problems. But this should be independent of the audit role. That is, do not consult and audit at the same time. But it might be needed after the audit when putting necessary actions in place.

Despite that it is very important that an internal auditor has a clear mission and purpose that aligns with management expectations. And he/she needs to be as independent as possible. Like an external consultant, an internal auditor is accountable to senior management for planning and executing the audit and reporting in a neutral and direct manner. The audit process needs to be consistent with a stand-advised reporting process to identify significant compliance gaps.

Key words: Quality, Quality audits, Pharmacy, Internal auditor, Audit report.

პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის შეფასება კომპანია „თი-ელ-ჯი“-ში

თონა ბაგრატიონი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

სტატიაში – „პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის შეფასება კომპანია „თი-ელ-ჯი“-ში“ შესწავლილი და შეფასებულია დასაქმებულთა ქცევა პასიურ და აქტიურ ჭრილში. შესაფასებლად გამოყენებულია ჯ. ნიუსტრომის და კ. დევისის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია, რომელიც მოდიფიცირებულია და მორგებულია საკვლევ კომპანიის დასაქმებულებს.

ჯ. ნიუსტრომის და კ. დევისის მიდგომით, როცა დასაქმებულები გეგმებს 100%-ით ასრულებენ, მაშინ მათი ქცევის ნორმატიული მაჩვენებელი, ანუ აქტიური ქცევა 0,33-ით ფასდება. კომპანია „თი-ელ-ჯი“-ში ამ მაჩვენებლის ფაქტიური სიდიდე აღმოჩნდა 0,207, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანიის თანამშრომელთა ქცევა პასიურია და მისმა დირექციამ უნდა გაატაროს ქმედითი ღონისძიებები მის გასაქტიურებლად.

საკვანძო სიტყვები: პერსონალი, ორგანიზაციული ქცევა, შეფასება, ინტეგრირებული მაჩვენებელი.

შესავალი

უკანასკნელ წლებამდე წარმოების ფაქტორებს შორის სამუშაო ძალას ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ითვლებოდა, რომ წარმატება მოაქვს მხოლოდ ახალ ტექნიკა-ტექნოლოგიის დანერგვას. მაგრამ ეს დროც და ეს მიდგომაც წარსულს ჩაბარდა, რადგან ტექნიკა-ტექნოლოგიებს ადამიანები ქმნიან და მათვე ევალუბათ მისი ამუშავება. ამ პროცესის შედეგი კი, დადებითი იქნება იგი, თუ უარყოფითი, დამოკიდებულია ადამიანების ქცევაზე, რომელსაც, თავის მხრივ, აყალიბებს კომპანიაში არსებული პერსონალის მართვის პოლიტიკა. თუ ეს პოლიტიკა ასტიმულებს დასაქმებულებს, მაშინ მათი ქცევა აქტიურია, თუ არადა – პასი-

ური. ცხადია, ყველა კომპანია უნდა ცდილობდეს ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომ დასაქმებულები ერთგულად ემსახურონ მას, ანუ იყვნენ აქტიურნი.

ძირითადი ტექსტი

კომპანია „თი-ელ-ჯი“-ში პერსონალის ქცევის სამართავად არც საკუთარი მოდელია შემუშავებული და არც სხვა კომპანიებიდან არის იგი გადმოღებული. ამის მიზეზი ისიცაა, რომ კომპანიის პერსონალის მართვის სამსახურში სულ ორი კაცი მუშაობს, თანაც არც ერთი არ არის სპეციალობით პერსონალის მენეჯერი. ამას ემატება ისიც, რომ არა მარტო კომპანია „თი-ელ-ჯი“-ში, არამედ სხვა კომპანიებშიც, პერსონალის ქცევის მართვის საკითხი ძირითადად მეორეხარისხოვან საკითხად განიხილება. ასეთ დროს საზღვარგარეთის კომპანიებმა უკვე დიდი ხანია დაიწყეს მისი აქტიური მართვა, რადგან მიხვდნენ, რომ პერსონალის ქცევა არის კომპანიის ეფექტიანობაზე მომქმედი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. არა თუ მაღალგანვითარებულ ქვეყნებში, არამედ, აღმოსავლეთ ევროპის ყოფილ დემოკრატიულ ქვეყნებში, აგრეთვე რუსეთში, ბელორუსიაში და სხვაგან, პერსონალის ქცევის მართვის საკითხები თეორიულადაც და პრაქტიკულადაც, წინა პლანზეა წამოწეული. შექმნილია პერსონალის ქცევის გაზომვის და მართვის სხვადასხვა მეთოდებიც [1, 2, 3, 4]. ამ მეთოდიკებს შორის ჩვენ ავარჩიეთ ისეთი მეთოდიკა, რომელსაც მეცნიერები გვთავაზობენ მომსახურების სფეროში დასაქმებულთა ქცევის შესაფასებლად და სამართავად და მივუსადაგეთ იგი გამოსაყენებლად კომპანია „თი-ელ-ჯი“-ს.

კომპანია „თი-ელ-ჯი“ - არის მომსახურების სფეროში მოღვაწე კომპანია. იგი ყიდულობს და იჯარით იღებს უძრავ ქონებას და შემდეგ აქირავებს ან ყიდის და მართავს მას. ამ პროცესებში მას აქვს ძირითადი საქმიანობაც, რესურსით უზრუნველმყოფი საქმიანობაც და წმინდა მომსახურებითი საქმიანობაც. მისი ძირითადი საქმიანობა არის უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, იჯარით აღება და გაცემა. რესურსით უზრუნველმყოფი საქმიანობაში იგულისხმება საკადრო უზრუნველყოფა, ფინანსური უზრუნველყოფა,

სატრანსპორტო უზრუნველყოფა, მარკეტინგული და რეკლამით უზრუნველყოფა, წმინდა მომსახურებით საქმიანობაში კი – ინფორმაციული, ადმინისტრაციულ-სამეურნეო, სერვისული და მმართველობითი მომსახურება. საქმიანობის ამ ჩამონათვალიდან „თი-ელ-ჯი“-ს არა აქვს სასაწყობო და სატრანსპორტო მომსახურება, რადგან იგი ვაჭრობს უძრავი ქონებით, რომელსაც არც ტრანსპორტირება სჭირდება და არც დასაწყობება.

ცხადია, ზემოთჩამოთვლილ საქმიანობის თითოეულ სფეროში „თი-ელ-ჯი“-ში გარკვეული კადრია დასაქმებული და თითოეული ამ საქმიანობის შედეგი (დადებითი თუ უარყოფითი) მათ ქცევაზეა დამოკიდებული. საბოლოო ჯამში კი, ეს აპირობებს კომპანია „თი-ელ-ჯი“-ს წლიურ შედეგს, რომელიც ან დადებითი იქნება ან უარყოფითი. მეცნიერებმა შეიმუშავეს ორგანიზაციულ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემა და ამ მაჩვენებლის ანგარიშის ალგორითმი.

რადგან კომპანია „თი-ელ-ჯი“-ს არ აქვს ტრანსპორტირების და დასაწყობების ოპერაციები, ამ მიზეზით მომსახურების სფეროში დასაქმებულთა ქცევის შეფასების მეთოდულად დაფიქსირებულ მაჩვენებლებში ჩვენ არ შევიტანეთ დასაწყობების და ტრანსპორტირების მაჩვენებლები

$$\left(Y_{stor.}^{iob.} = \sum_{i=1}^n \frac{U_i^P}{U_i^{Fac.}}, Y_{Tran.}^{iob.} = \frac{3_{Tran.}^P}{3_{Tran.}^{Fac.}} \right)$$

და შედეგად კომპანია „თი-ელ-ჯი“-ს საშედეგო საქმიანობაზე დასაქმებულთა ქცევის გავლენის ინტეგრალური მაჩვენებელიც ვიანგარიშეთ ამ ორი სახის საქმიანობის გარეშე.

ზემოთდასახელებულ მეთოდულად ყველა დანარჩენი მაჩვენებლების ფორმულა და გაანგარიშების ალგორითმი, რომელიც გამოგვადგება პერსონალის ქცევის გავლენის საანგარიშოდ კომპანია „თი-ელ-ჯი“-ში მოცემული გვაქვს ცხრილში 1.

ამრიგად, ამ მეთოდით ცხრილში 1, ჩვენ წარმოვადგინეთ კომპანია „თი-ელ-ჯი“-ს ძირითად, რესურსებით მაუზრუნველმყოფელ და მომსახურებით საქმიანობაში ანუ სამი სახის საქმიანობაში ($m=3$) დასაქმებული პერსონალის ქცე-

ვის განვითარების დონის გამოსაანაგრიშებელი ფორმულები. თითოეულ საქმიანობაში კომპანიის პერსონალის გარკვეული ჯგუფი საქმიანობს. მათი ქცევა განაპირობებს ამ საქმიანობის წარმატებას, ანდა წარუმატებლობას, მაგალითად, ძირითად საქმიანობაში, რომელშიც შედის ყიდვა (იჯარით აღებაც), გაყიდვა (იჯარით გაცემაც) და კომერციული საქმიანობა, რომელშიც დასაქმებულია 19 კაცი (ყიდვა და იჯარით აღებაში – 9 კაცი, გაყიდვა და იჯარით გაცემაში – 7 კაცი, კომერციულ საქმიანობაში – 3 კაცი), გეგმის შესრულება ან არ შესრულება გამოხატავს თუ რამდენად მისაღებია კომპანიისთვის ამ 19 თანამშრომლის ქცევა. ასევე, მაუზრუნველმყოფელ და მომსახურებით საქმიანობაშიც 44 კაცი მუშაობს.

ცხრილი 1

პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის შეფასების მარჩვენებლები მომსახურების სფეროში

საქმიანობის სახე	ორგანიზაციულ-ეკონომიკური ასპექტის ამსახველი მარჩვენებელი	ფორმული ელემენტების მნიშვნელობები
I. ძირითად საქმიანობაში (A) 1. შესყიდვის და იჯარით აღების საქმიანობა	$Y_{Par}^{iob} = \sum_{j=1}^m \sum_{i=1}^n \frac{P_{ij}^{Pl}}{P_{ij}^{Fac}}$	Y_{Par}^{iob} - პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის განვითარების დონე შესყიდვის საქმიანობაში P_{ij}^{Pl} - i საქონლის, j - მომწოდებლისგან შესყიდვის გეგმური ფასი P_{ij}^{Fac} - i საქონლის, j - მომწოდებლისგან შესყიდვის ფაქტური ფასი
2. გაყიდვის და იჯარით გაცემის საქმიანობა	$Y_{Real}^{iob} = \sum_{j=1}^m \sum_{i=1}^n \frac{P_{ij}^{Fac}}{P_{ij}^{Pl}}$	Y_{Real}^{iob} - პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის განვითარების დონე გაყიდვის და იჯარის საქმიანობაში P_{ij}^{Fac} - i საქონლის, j - მყიდველზე მიყიდვის ფაქტური ფასი P_{ij}^{Pl} - i საქონლის, j - მყიდველზე მიყიდვის გეგმური ფასი

<p>3. კომერციული საქმიანობა</p>	$Y_{com.act.}^{iob.} = \sum_{j=1}^m \sum_{i=1}^n \frac{\Pi_{ij}^{Fac.}}{\Pi_{ij}^{Plc}}$	<p>$Y_{com.act.}^{iob.}$ - პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის განვითარების დონე კომერციულ საქმიანობაში</p> <p>$\Pi_{ij}^{Fac.}$ - ფაქტური მოგება</p> <p>Π_{ij}^{Plc} - გეგმური მოგება</p>
<p>II. მაკროეკონომიკური საქმიანობა (B) 1. საკადრო უზრუნველყოფა</p>	$Y_{st}^{iob.} = \frac{B^{Pl}}{Q_{st}^{Pl}} \cdot \frac{B^{Fac.}}{Q_{st}^{Fac.}}$	<p>$Y_{st}^{iob.}$ - საკადრო უზრუნველყოფაში პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის განვითარების დონე</p> <p>B^{Pl} - გეგმური იჯარა და გაყიდვა</p> <p>$B^{Fac.}$ - ფაქტური იჯარა და გაყიდვა</p> <p>Q_{st}^{Pl} - მუშაკთა გეგმური რიცხვი</p> <p>$Q_{st}^{Fac.}$ - მუშაკთა ფაქტური რიცხვი</p>
<p>2. მარკეტინგული უზრუნველყოფა</p>	$Y_{mark.}^{iob.} = \frac{V_{real.mark.}}{V_{real.mark.}}$	<p>$Y_{mark.}^{iob.}$ - მარკეტინგულ უზრუნველყოფაში პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის განვითარების დონე</p> <p>$V_{real.mark.}$ - მარკეტოლოგების აზრი რეალიზაციის და იჯარის საგარაუდო მოცულობა</p> <p>$V_{real.mark.}$ - რეალიზაცია და იჯარა მარკეტოლოგების აზრის გაუთვალისწინებლად</p>
<p>3. საფინანსო უზრუნველყოფა</p>	$Y_{Fin.}^{iob.} = \frac{A}{K}$	<p>$Y_{Fin.}^{iob.}$ - ფინანსურ უზრუნველყოფაში პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის განვითარების დონე</p> <p>A - ბალანსის ჯამი</p> <p>K - კომპანიის ვალის ვადდებულებების ჯამი (ბალანსის პასივიდან)</p>
<p>4. სარეკლამო უზრუნველყოფა</p>	$Y_{Adv.}^{iob.} = \frac{3_{Adv.}^{Pl}}{V_{real.}^{Pl}} \cdot \frac{3_{Adv.}^{Fac.}}{V_{real.}^{Fac.}}$	<p>$Y_{Adv.}^{iob.}$ - სარეკლამო უზრუნველყოფაში პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის განვითარების დონე</p> <p>$3_{Adv.}^{Pl}$ - რეკლამაზე გეგმით დანახარჯები</p> <p>$V_{real.}^{Pl}$ - რეკლამაზე ფაქტური დანახარჯები</p>

ბიზნესი, მენეჯმენტი, მარკეტინგი

		<p>Z_{Adv}^{Fac} - გაყიდვის და იჯარის გეგმური მოცულობა</p> <p>V_{real}^{Fac} - გაყიდვის და იჯარის ფაქტური მოცულობა</p>
<p>5. ინფორმაციულ-გამოთვლითი უზრუნველყოფა</p>	$Y_{lc.S}^{iob} = \frac{Z_{lc.S}^{Pl}}{V_{real}^{Pl}} \cdot \frac{Z_{lc.S}^{Fac}}{V_{real}^{Fac}}$	<p>$Y_{lc.S}^{iob}$ - ინფორმაციულ-გამოთვლითი უზრუნველყოფაში პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის განვითარების დონე</p> <p>$Z_{lc.S}^{Pl}$ - ინფორმაციულ მომსახურებაზე გეგმური დანახარჯები</p> <p>$Z_{lc.S}^{Fac}$ - ინფორმაციულ მომსახურებაზე ფაქტური დანახარჯები</p> <p>V_{real}^{Pl} - გეგმური იჯარა და რეალიზაცია</p> <p>V_{real}^{Fac} - ფაქტური რეალიზაცია და იჯარა</p>
<p>III. მომსახურებითი საქმიანობა (Y)</p> <p>1. ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობა</p>	$Y_{Ats}^{iob} = \frac{V_{lost}}{V_{mark.lost}}$	<p>Y_{Ats}^{iob} - შიდასამეურნეო მომსახურებაში დასაქმებულ პერსონალის განვითარების დონე</p> <p>V_{lost} - ფაქტური დანაკარგები</p> <p>$V_{mark.lost}$ - ნორმირებული დანაკარგები</p>
<p>2. სერვისული მომსახურება</p>	$Y_{pr.ser}^{iob} = \frac{V_{pr.ser}^{Pl}}{V_{real}^{Pl}} \cdot \frac{V_{pr.ser}^{Fac}}{V_{real}^{Fac}}$	<p>$Y_{pr.ser}^{iob}$ - სერვისულ მომსახურებაში დასაქმებულ პერსონალის ქცევის განვითარების დონე</p> <p>$V_{pr.ser}^{Pl}$ და V_{real}^{Pl} - გაყიდვები და იჯარა გეგმით და ფაქტურად</p> <p>$V_{pr.ser}^{Fac}$ და V_{real}^{Fac} - სერვისული მომსახურება გეგმით და ფაქტურად</p>
<p>3. მმართველობითი მომსახურება</p>	$Y_{adm}^{iob} = \frac{B^{Pl}}{Q_{man.staf}^{Pl}} \cdot \frac{B^{Fac}}{Q_{man.staf}^{Fac}}$	<p>Y_{adm}^{iob} - მმართველობითი მომსახურებაში დასაქმებულ პერსონალის ქცევის განვითარების დონე</p> <p>B^{Pl} და B^{Fac} - გეგმური და ფაქტური გაყიდვების და იჯარის მოცულობა</p> <p>$Q_{man.staf}^{Pl}$ და $Q_{man.staf}^{Fac}$ - მმართველობითი მუშაკების რიცხვი გეგმით და ფაქტურად</p>

ისმება კითხვა: როდის იქნება კომპანიისთვის მისაღები დასაქმებული პერსონალის ქცევა? კომპანია „თი-ელ-ჯი“-სთვის დასაქმებულთა ქცევა მაშინ იქნება მისაღები და სასარგებლო, როცა ყველა ფაქტორული მარჩვენებლები დაემთხვევა გეგმურ მარჩვენებლებს, ანუ გეგმები შესრულდება. თუ მას ჩავთვლით ნორმად, მაშინ თითოეული მარჩვენებელი 1-ის ტოლი იქნება და ცხრილი 2 მიიღებს ასეთ ფორმას.

ცხრილი 2

მომსახურების სფეროში მოქმედი ფირმის პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის ნორმატიული შეფასება

საქმიანობის სახე	ორგანიზაციულ-ეკონომიკური ასპექტის ამსახველი მარჩვენებელი	ორგანიზაციულ-ეკონომიკური ასპექტის ამსახველი მარჩვენებელი
I. ძირითად საქმიანობაში (A) 1. შესყიდვის და იჯარით აღების საქმიანობა	$Y_{Par.}^{iob.} = \sum_{j=1}^m \sum_{i=1}^n \frac{P_{ij}^{Pl}}{P_{ij}^{Fac.}}$	$P_{ij}^{Pl} = P_{ij}^{Fac.}$ $Y_{Par.}^{iob.} = 1$
2. გაყიდვის და იჯარით გაცემის საქმიანობა	$Y_{Real.}^{iob.} = \sum_{j=1}^m \sum_{i=1}^n \frac{P_{ij}^{Fac.}}{P_{ij}^{Pl}}$	$P_{ij}^{Fac.} = P_{ij}^{Pl}$ $Y_{Real.}^{iob.} = 1$
3. კომერციული საქმიანობა	$Y_{com.act.}^{iob.} = \sum_{j=1}^m \sum_{i=1}^n \frac{\Pi_{ij}^{Fac.}}{\Pi_{ij}^{Plc}}$	$\Pi_{ij}^{Fac.} = \Pi_{ij}^{Plc}$ $Y_{com.act.}^{iob.} = 1$
II. მაუზრუნველყოფელი საქმიანობა (B) 1. საკადრო უზრუნველყოფა	$Y_{st}^{iob.} = \frac{B^{Pl}}{Q_{st}^{Pl}} : \frac{B^{Fac.}}{Q_{st}^{Fac.}}$	$Y_{st}^{iob.} = 1$
2. მარკეტინგული უზრუნველყოფა	$Y_{mark.}^{iob.} = \frac{V_{real.mark.}}{V_{real.mark.}}$	$Y_{mark.}^{iob.} = 1$
3. საფინანსო უზრუნველყოფა	$Y_{Fin.}^{iob.} = \frac{A}{K}$	$A = K$ $Y_{Fin.}^{iob.} = 1$
4. სარეკლამო უზრუნველყოფა	$Y_{Adv.}^{iob.} = \frac{3_{Adv.}^{Pl}}{V_{real.}^{Pl}} : \frac{3_{Adv.}^{Fac.}}{V_{real.}^{Fac.}}$	$Y_{Adv.}^{iob.} = 1$
5. ინფორმაციულ-გამოთვლითი უზრუნველყოფა	$Y_{lcs.}^{iob.} = \frac{3_{lcs.}^{Pl}}{V_{real.}^{Pl}} : \frac{3_{lcs.}^{Fac.}}{V_{real.}^{Fac.}}$	$Y_{lcs.}^{iob.} = 1$
III. მომსახურებითი საქმიანობა (Y) 1. აღმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობა	$Y_{Ats.}^{iob.} = \frac{V_{lost.}}{V_{mark.lost.}}$	$Y_{Ats.}^{iob.} = 1$
2. სერვისული მომსახურება	$Y_{pr.ser.}^{iob.} = \frac{V_{pr.ser.}^{Pl}}{V_{real.}^{Pl}} : \frac{V_{pr.ser.}^{Fac.}}{V_{real.}^{Fac.}}$	$Y_{pr.ser.}^{iob.} = 1$
3. მმართველობითი მომსახურება	$Y_{adm.}^{iob.} = \frac{B^{Pl}}{Q_{man.staf.}^{Pl}} : \frac{B^{Fac.}}{Q_{man.staf.}^{Fac.}}$	$Y_{adm.}^{iob.} = 1$

როგორც ეს ცხრილი გვიჩვენებს, კომპანიის მთელი საქმიანობა 3 ჯგუფად ($m = 3$) არის დაყოფილი ($m = 3$). თითოეულ საქმიანობაში სხვადასხვა ოპერაციებია გაერთიანებული, კერძოდ, ძირითად საქმიანობაში — 3 ($A = 3$), მაუზრუნველმყოფელ საქმიანობაში — 5 ($B = 5$) და მომსახურეთა საქმიანობაში — 3

$\left(A = \frac{3}{3} = 1; B = \frac{5}{5} = 1; Y = \frac{3}{3} = 1 \right)$ მარტივი არითმეტიკული საშუალოს გამოყენებით ყველა ქვეჯგუფში ქცევის ნორმას მივიღებთ 1-ის ტოლად

$$\left(A = \frac{3}{3} = 1; B = \frac{5}{5} = 1; Y = \frac{3}{3} = 1 \right),$$

მაშინ მათი ჯამის 3-ზე გაყოფით (რადგან ($m = 3$)-ს), პერსონალის ქცევის მისაღები ინტეგრირებული საშუალო ნორმაც გამოგვივა 1-ის ტოლად

$$\left(\frac{1+1+1}{3} = 1 \right).$$

მაგრამ, მეცნიერმა ჯ. ნიუსტრომმა და კ. დევისმა [4] დაადგინეს, რომ კომპანიის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში დასაქმებულთა ქცევა სხვადასხვა წონადობისაა და ისინი სპეციალური კოეფიციენტებით ($A^h = 0,5$) შეაფასეს: ძირითად საქმიანობას დაუდგინეს 0,5 კოეფიციენტი ($A^h = 0,5$). მაუზრუნველმყოფელ საქმიანობას — 0,3 ($B^h = 0,3$). ხოლო მომსახურებით საქმიანობას — $0,2 \cdot 0,5 = 0,5$. მაშასადამე, საქმიანობის AA – ჯგუფში კომპანიისთვის მისაღები დასაქმებულთა ქცევის ნორმად მათ ჩათვალეს არა 1 მთელი, არამედ, $1 \cdot 0,5 = 0,5$ B - ჯგუფის დასაქმებულთათვის — $1 \cdot 0,3 = 0,3$ ხოლო Y - ჯგუფში დასაქმებულთათვის — $1 \cdot 0,2 = 0,2$. ასეთი ფორმით შენონილი ქცევის ინტეგრირებული საშუალო მაჩვენებელმა მიიღო ასეთი სახე:

$$Y_{ABY}^{iob.} = \frac{(K_A^{A^{iob.}} \cdot h_A) + (K_B^{B^{iob.}} \cdot h_B) + (K_Y^{Y^{iob.}} \cdot h_Y)}{m} = \frac{(1 \cdot 0,5) + (1 \cdot 0,3) + (1 \cdot 0,2)}{3} = 0,3$$

მაშასადამე, ამ კოეფიციენტით კომპანიისთვის დასაქმებულთა ქცევის მისაღები ნორმა, ანუ ისეთი ქცევა, როცა ისინი ყველა საქმიანობაში გეგმებს და ნორმებს ასრულებენ, არის არა 1, არამედ, 0,33. ამ კონცეფციის ავტორები ამ მაჩვენებელს თვლიან პერსონალის ქცევის ნორმალურ მაჩვენებლად ვაჭრობის და მომსახურების სფეროში. ჩვენც ეს მაჩვენებელი მივიჩნიეთ ნორმალურ მაჩვენებლად და კომპანია „თი-ელ-ჯი“-ში ჩავატარეთ კვლევა დასაქმებულთა ქცევის ფაქტიური ინტეგრირებული საშუალო მაჩვენებლის გამოსათვლელად, რომელიც შემდეგ ამ ნორმას შევადარეთ. სანყისი ინფორმაცია რომელიც გვჭირდება მის საანგარიშოდ იხილეთ ცხრილში 3.

ცხრილი 3. კომპანია „თი-ელ-ჯი“-ს საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები 2016 წელს¹

		2016 წელი	
		გეგმა (ნორმა)	ფაქტიური
1	საქონლის რეალიზაცია (ლარი)	380 000	213 851
2	საქონლის იჯარით გაცემით მიღებული შემოსავალი	8 625 881	8 560 266
3	საქონლის შესყიდვა (ლარი)	310 000	279 183
4	საქონლის იჯარით აღება (ლარი)	3 650 000	3 954 058
5	ერთეული საქონლის საშუალო შესყიდვის და იჯარის ფასი (ლარი)	700	878
6	ერთეული საქონლის საშუალო გაყიდვის და იჯარის ფასი	1 650	1 319
7	მოგება (ლარი) (+ მოგება, - ზარალი)	36 700	-24 417
8	დასაქმებულთა რიცხვი	63	63
9	რეალიზაცია მარკეტოლოგების თვალთახედვით	400 000	-
10	რეალიზაცია მათ გარეშე	-	313 581
11	აქტივების ჯამი (ლარი)	-	11 664 062
12	ვალის ვადღებულებები (ლარი)	-	11 812 940
13	დანახარჯები რეკლამაზე (ლარი)	1000	1 618
14	დანახარჯი ინფორმაციულ მომსახურებაზე	15 000	16 154
15	ნორმირებული დანაკარგი (ლარი)	700	400
16	აღკვეთილი დანაკარგი (ლარი)	34 581	34 581
17	მართვაში დასაქმებულთა რიცხვი	12	12

ამ სანყისი ინფორმაციაზე დაყრდნობით და ჯ. ნიუსტრომის და კ. დევისის მიერ შემუშავებული ფორმულით, ჩვენ, კომპანია „თი-ელ-ჯი“-სთვის სამივე საქმიანობის ცალკეულ ოპერაციებზე ვიანგარიშეთ იქ დასაქმებულ პერსონალის ქცევის ორგანიზაციულ-ეკონომიკური ასპექტის ამსახველი მაჩვენებლები (ცხრილი 4).

¹ შენიშვნა ქონების შესყიდვა-გაყიდვის და იჯარის მიღება-გაცემის მაჩვენებლები დღგ-ს ჩათვლით არის ნაჩვენები, დანარჩენი - მის გარეშე.

ცხრილი 4

კომპანია „თი-ელ-ჯი“-ში პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის შეფასების ფაქტიური შედეგები

საქმიანობის სახე	ორგანიზაციულ-ეკონომიკური ასპექტის ამსახველი მანევრები	ორგანიზაციულ-ეკონომიკური ასპექტის ამსახველი მანევრები
I. ძირითად საქმიანობაში (A) 1. შესყიდვის და იჯარით აღების საქმიანობა	$Y_{Par.}^{iob.} = \frac{\sum_{j=1}^m \sum_{i=1}^n P_{ij}^{Pl}}{P_{ij}^{Fac.}} = \frac{3650000}{3954058 + 279183}$	$Y_{Par.}^{iob.} = 0,862$
2. გაყიდვის და იჯარით გაცემის საქმიანობა	$Y_{Real.}^{iob.} = \frac{\sum_{j=1}^m \sum_{i=1}^n P_{ij}^{Fac.}}{P_{ij}^{Pl}} = \frac{1319}{1650}$	$Y_{Real.}^{iob.} = 0,799$
3. კომერციული საქმიანობა	$Y_{com.act.}^{iob.} = \frac{\sum_{j=1}^m \sum_{i=1}^n \frac{\Pi_{ij}^{Fac.}}{\Pi_{ij}^{Pl}}}{\frac{Pl}{Fac.}} = \frac{-24417}{36700}$	$Y_{com.act.}^{iob.} = -0,665$
II. მაუზრუნველყოფელი საქმიანობა (B) 1. საკადრო უზრუნველყოფა	$Y_{st}^{iob.} = \frac{B^{Pl}}{Q_{st}^{Pl}} \cdot \frac{B^{Fac.}}{Q_{st}^{Fac.}} = \left[\frac{380000 + 3650000}{70} \right] \cdot \left[\frac{313851 + 3954058}{63} \right] = 57571 : 67744,5$	$Y_{st}^{iob.} = 0,849$
2. მარკეტინგული უზრუნველყოფა	$Y_{mark.}^{iob.} = \frac{V_{real.mark.}}{V_{real.mark.}} = \frac{400000}{313851}$	$Y_{mark.}^{iob.} = 1,274$
3. საფინანსო უზრუნველყოფა	$Y_{Fin.}^{iob.} = \frac{A}{K} = \frac{11664062}{11812940}$	$Y_{Fin.}^{iob.} = 0,987$
4. სარეკლამო უზრუნველყოფა	$Y_{Adv.}^{iob.} = \frac{3^{Pl}_{Adv.}}{V_{real.}^{Pl}} \cdot \frac{3^{Fac.}_{Adv.}}{V_{real.}^{Fac.}} = \frac{1000}{380000 + 8625881} \cdot \frac{1618}{313851 + 8560266} = 0,000111 : 0,000182$	$Y_{Adv.}^{iob.} = 0,6098$
5. ინფორმაციულ-გამოთვლითი უზრუნველყოფა	$Y_{icS.}^{iob.} = \frac{3^{Pl}_{icS.}}{V_{real.}^{Pl}} \cdot \frac{3^{Fac.}_{icS.}}{V_{real.}^{Fac.}} = \frac{15000}{380000 + 8625881} \cdot \frac{16154}{313851 + 8560266} = 0,0016 : 0,0018$	$Y_{icS.}^{iob.} = 0,888$
III. მომსახურებითი საქმიანობა (Y) 1. ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობა	$Y_{Ats.}^{iob.} = \frac{V_{lost.}}{V_{mark.lost.}} = \frac{400}{700}$	$Y_{Ats.}^{iob.} = 0,571$
2. სერვისული მომსახურება	$Y_{pr.ser.}^{iob.} = \frac{V_{pr.ser.}^{Pl}}{V_{real.}^{Pl}} \cdot \frac{V_{pr.ser.}^{Fac.}}{V_{real.}^{Fac.}} = \frac{601000}{380000 + 3650000} \cdot \frac{571825}{313851 + 3954058} = \frac{601000}{4030000} \cdot \frac{571825}{4267909} = 0,1491 : 0,1339$	$Y_{pr.ser.}^{iob.} = 1,113$
3. მმართველობითი მომსახურება	$Y_{adm.}^{iob.} = \frac{B^{Pl}}{Q_{man.staf.}^{Pl}} \cdot \frac{B^{Fac.}}{Q_{man.staf.}^{Fac.}} = \frac{380000 + 8625881}{12} \cdot \frac{313851 + 8560266}{12} = 750490 : 73951$	$Y_{adm.}^{iob.} = 1,01$

ამ მაჩვენებლების გამოყენებით და აგრეთვე თითოეული საქმიანობის (A,B,Y) წონითი კოეფიციენტების გამოყენებით კომპანია „თი-ელ-ჯი“-ს პერსონალის ქცევის ინტეგრირებული მაჩვენებელი ტოლი იქნება:

A - საქმიანობაში:

$$\frac{[(0,862 + 0,799) + (-0,665)] \cdot 0,5}{3} = 0,166$$

B - საქმიანობაში:

$$\frac{(0,849 + 1,274 + 0,987 + 0,609 + 0,888) \cdot 0,3}{5} = 0,276$$

Y - საქმიანობაში:

$$\frac{(0,571 + 1,113 + 1,0) \cdot 0,2}{3} = 0,179$$

სამივე საქმიანობაში ერთად პერსონალის ქცევის ინტეგრირებული მაჩვენებელი იქნება:

$$\frac{(0,166 + 0,276 + 0,179)}{3} = 0,207$$

დასკვნა

მაშასადამე, ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკვლევით მივიღეთ, რომ კომპანია „თი-ელ-ჯი“-ს პერსონალის ქცევის შეფასებითი მაჩვენებელი არის 0,207 ანუ ნორმაზე (0,33) 0,123-ით ნაკლები. პერსონალის ქცევის ნორმა ასახავს მათ ისეთ საქმიანობას, როცა ისინი დავალებებს გეგმის (ნორმის) ფარგლებში ასრულებენ, ანუ იქცევიან კომპანიისთვის სასიკეთოდ, როცა ფქტიური მაჩვენებელი ნორმაზე დაბალია, რასაც სწორედ ადგილი აქვს კომპანია „თი-ელ-ჯი“-ში, ეს იმას ნიშნავს, რომ კომპანიის თანამშრომლები არ მუშაობენ სრული უკუგებით. ეს ვითარება ავალებს კომპანიის დირექციას, განსაკუთრებით კი, პერსონალის მართვის სამსახურს, ჩაატაროს კომპანიაში პერსონალის შიდაორგანიზაციული ქცევის აუდიტი და დაადგინოს ვითარების მიზეზები.

საერთოდ სასურველია, რომ პერსონალის ქცევის შეფასების ჩვენს მიერ გამოყენებული მეთოდი მასიურად გავრცელდეს საქართველოს კომპანიებში.

ლიტერატურა:

1. **Дизель П., МакКинси У., Ренан Д.** Поведение человека в организациях. М., 1993.
2. **Лютенс Ф.** Организационное поведение. М., 1999.
3. **Гибсон Дж., Иванцевич Д., Доннели Д.** Организации: поведение, структура, процессы. М., 2000.
4. **Ньюстром Дж., Девис К.** Организационное поведение. М., 2000.

**ASSESSMENT OF INTERNAL ORGANIZATIONAL BEHAVIOR
OF THE PERSONNEL IN THE COMPANY "T-L-G"**

Teona Bagrationi,
PhD student of GTU

RESUME

The article has studied and evaluated the behavior of employees in a passive and active context. There was used to assess the methodology by J. Nystrom and K. Davis, which is modified and adapted to the research company employees.

Key Words: Personnel, Organizational Behavior, Evaluation, Integrated Indicator.

რისკზე დაფუძნებული საგადასახადო აუდიტის ზოგადი პრინციპები

გავაშეული ოთარი
სტუ დოქტორანტი

რეზიუმე

განხილულია რისკზე ორიენტირებული საგადასახადო აუდიტის პრინციპები. აღნიშნულია, რომ გადასახადების ადმინისტრირების თანამედროვე სისტემის ძირითად მიმართულებას მხოლოდ გადასახადების შეგროვება არ წარმოადგენს. მისი მიზანია, შექმნას გარემო, სადაც გაიზრდება გადასახადის გადამხდელის მზადყოფნა, ნებაყოფლობით შეასრულოს საგადასახადო ვალდებულება. რისკის მართვა წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს გონივრული და ეფექტური მართვისთვის და, შესაბამისად, საგადასახადო აუდიტის პროგრამისათვის. შეუძლებელია თითოეული გადასახადის გადამხდელის შემონმება და კონტროლი. საგადასახადო ორგანოებს არ გააჩნიათ საკმარისი რესურსი, ყოველწლიურად განახორციელონ თითოეული გადასახადის გადამხდელის სრული შემონმება, ან შეამონმონ დღის და საშემოსავლო გადასახადის ყველა დეკლარაცია. ყოველწლიურად საგადასახადო ორგანოს ადმინისტრაცია აუდიტს უტარებს გადასახადების გადამხდელთა მთლიანი რაოდენობის 10%-ს ან ნაკლებს. კარგად შემუშავებული აუდიტორული გეგმა უნდა უზრუნველყოფდეს შემოსავლების არანაკლებ 90%-ის მობილიზებას და ამასთანავე საკმარისი რაოდენობით შემონმებას, რათა ყველა დონეზე აღმოიფხვრას ვალდებულებების შესრულებლობის შემთხვევები.

საკვანძო სიტყვები: საგადასახადო აუდიტი; საგადასახადო ორგანო; რისკზე დაფუძნებული აუდიტი;

ძირითადი ტექსტი

გადასახადების ადმინისტრირების თანამედროვე სისტემის ძირითად მიმართულებას მხოლოდ გადასახადების შეგროვება

არ წარმოადგენს. მისი მიზანია, შექმნას გარემო, სადაც გაიზრდება გადასახადის გადამხდელის მზადყოფნა, ნებაყოფლობით შეასრულოს საგადასახადო ვალდებულება. ამ კონტექსტში ადმინისტრირების ძირითადი ფუნქციებია:

ა) საგადასახადო ვალდებულებების შესრულების გაკონტროლება და სამართალდარღვევათა აღმოფხვრა;

ბ) გადასახადის გადამხდელის მომსახურება და ინფორმირება, რათა მათ თავიანთი საგადასახადო ვალდებულებები მარტივად, ზედმეტი სირთულეების გარეშე შეასრულონ.

საგადასახადო აუდიტი წარმატებულად მიიჩნევა მაშინაც კი, როდესაც აუდიტს პირდაპირი წვლილი არ შეაქვს სახელმწიფოს შემოსავლებში, მაგრამ საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობით შესრულების წახალისების მექანიზმს წარმოადგენს.

საგადასახადო ვალდებულებების ნებაყოფლობითი აღიარება ყველაზე ეფექტური იქნება როდესაც გადასახადების გადამხდელებს ექნებათ აუდიტის ნდობა და მზად იქნებიან მიაწოდონ მას საჭირო ინფორმაცია. ამასთან არ ექნებათ იმის შიში, რომ აუდიტი მათ არაკეთილსინდისიერად მოექცევა და მინოდებულ ინფორმაციას არამართებულად გამოიყენებს.

რისკის მართვა წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს გონივრული და ეფექტური მართვისთვის და, შესაბამისად, საგადასახადო აუდიტის პროგრამისათვის. შეუძლებელია თითოეული გადასახადის გადამხდელის შემონმება და კონტროლი. საგადასახადო ორგანოებს არ გააჩნიათ საკმარისი რესურსი, ყოველწლიურად განახორციელონ თითოეული გადასახადის გადამხდელის სრული შემონმება, ან შეამონმონ დღგ-ის და საშემოსავლო გადასახადის ყველა დეკლარაცია. ყოველწლიურად საგადასახადო ორგანოს ადმინისტრაცია აუდიტს უტარებს გადასახადების გადამხდელთა მთლიანი რაოდენობის 10%-ს ან ნაკლებს. კარგად შემუშავებული აუდიტორული გეგმა უნდა უზრუნველყოფდეს შემოსავლების არანაკლებ 90%-ის მობილიზებას და ამასთანავე საკმარისი რაოდენობით შემონმებას, რათა ყველა დონეზე აღმოიფხვრას ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევები.

ასევე არ არის აუცილებელი, არსებული მცირე რესურსი და-
იხარჯოს დაბალი რისკის მქონე გადამხდელების რუტინულ შე-
მონებზე. შესაბამისად, რესურსების ფოკუსირება უნდა მოხ-
დეს მაღალი რისკის მქონე გადამხდელებზე. ასეთი მიზნობრივი
ფოკუსირება უფრო ეფექტურია, ვიდრე არასტრუქტურული მი-
დგომა, იგი ხელს უწყობს შემოსავლიანობის გაზრდას აუდიტის
შედეგად, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს გადასახადების
გადაუხდელობის თავიდან აცილებას, რადგანაც გადამხდელე-
ბი ხდებიან უფრო მეტად ინფორმირებული იმის შესახებ, რომ
საგადასახადო სამართალდარღვევის გამოვლენა უფრო მა-
რტივად მოხდება აუდიტის სტრატეგიის ფარგლებში.

აუდიტორული რისკი შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვყალი-
ბოთ:

1. „სათანადო რწმუნების უზრუნველსაყოფად, აუდიტორ-
მა უნდა მოიპოვოს საკმარისი და შესაფერისი მკტიცებულება,
რათა აუდიტორული რისკი შეამციროს მისაღებ დონემდე, რაც
აუდიტორს საშუალებას მისცემს, გამოიტანოს დასაბუთებული
დასკვნები, რომლებიც საფუძვლად დაედება აუდიტორის მოსა-
ზრებას.“

2. აუდიტორული რისკი -ეს არის რისკი, რომ აუდიტორი გა-
მოხატავს არაადეკვატურ აუდიტორულ მოსაზრებას მაშინ,
როდესაც ფინანსურ ანგარიშგებაში დაშვებულია არსებითი
უზუსტობები. აუდიტორული რისკი არის არსებითი უზუსტო-
ბების რისკების და შეუმჩნეველობის რისკის ფუნქცია.

3. არსებითი უზუსტობების რისკი “ნიშნავს იმის რისკს, რომ
ფინანსურ ანგარიშგებაში აუდიტამდეა დაშვებული არსებითი
უზუსტობები. იგი შედგება ქვემოთ მოცემული ორი კომპონე-
ნტისგან, მკტიცების დონეზე:

- თანდაყოლილი რისკი არის “რომელიმე ანგარიშის ნაშთის
ან რომელიმე კატეგორიის ოპერაციის მიდრეკილება ისეთი
უზუსტობისკენ, რომელიც ცალკე აღებული ან სხვა ანგარიშთა
ნაშთებისა და ოპერაციების უზუსტობებთან ერთად შეიძლება
არსებითი იყოს შესაბამისი შიგა კონტროლის მეთოდების არა-
რსებობის გამო”.

- კონტროლის რისკი "ესაა რისკი, რომ უზუსტობა, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს რომელიმე ანგარიშის ნაშთში ან რომელიმე კატეგორიის ოპერაციაში (რომელიც ცალკე ან სხვა ანგარიშთა ნაშთებისა და ოპერაციების უზუსტობებთან ერთად შეიძლება არსებითი იყოს), ვერ იქნება დროულად აღმოჩენილი ან თავიდან აცილებული ბუღალტრული აღრიცხვისა და შიგა კონტროლის სისტემების მიერ".

4. შეუმჩნეველობის რისკი "იმის რისკია, რომ აუდიტორის მიერ აუდიტორული რისკის მისაღებ დონემდე შესამცირებლად ჩატარებული პროცედურები, ვერ აღმოაჩენს უზუსტობას, რომელიც არსებობს და რომელიც ცალკე აღებული ან სხვა უზუსტობებთან ერთად შესაძლოა არსებითი იყოს."

5. აუდიტორის მიერ განსახორციელებელი კონტროლის რისკების შეფასებები მოქმედებს იმ ძირითადი პროცედურების ფორმაზე, ვადებსა და ფარგლებზე, რომელიც შეუმჩნეველობის რისკისა და, აქედან გამომდინარე, აუდიტორული რისკის შემცირებისთვის არის დადგენილი.

რისკზე ორიენტირებული აუდიტის დროს მნიშვნელოვანია შემომნების დანყებამდე რისკის შერჩევა.

აუდიტის მიზნების გამოვლენა გარკვეული კრიტერიუმების მიხედვით უნდა მოხდეს. მათ შორის მნიშვნელოვანია კომპიუტერიზებული აუდიტორული შერჩევა, პოტენციურად მაღალი რისკის მატარებელი გადასახადის გადამხდელების გამოვლენა და რისკის ქულის მინიჭება სხვადასხვა ფორმულისა და ინფორმაციის საფუძველზე.

შერჩევის მეთოდი არ უნდა ჩაითვალოს მარცხად ცუდი სამიზნეების გამოვლენის შემთხვევაში. შერჩევის მეთოდის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საგადასახადო აუდიტორული პროგრამის სანდოობის გაუმჯობესება, აუდიტორული შერჩევის პროცესიდან აუდიტორისა და პოლიტიკური გავლენის ამოღების გზით. შესაძლებელია ასევე არსებობდეს დასაბუთებული მიზეზები, თუ რატომ შეიძლება, "მაღალი რისკის" გადამხდელის აუდიტორულმა შემომნებამ არ გამოიწვიოს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებების

გამოვლენა. მაგალითად, მაღალი რისკის ქულის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ გადასახადის გადამხდელის ფინანსური კოეფიციენტები მნიშვნელოვნად დაბალია სხვა სხვაგვარი გადამხდელების კოეფიციენტებთან შედარებით, მაგრამ გადასახადის გადამხდელთან უშუალო ურთიერთობის დროს ნათელი ხდება, რომ ეს გამომდინარეობს გადამხდელის შეგნებული ბიზნეს-გადანყვეტილობიდან, გამოეყოს ბაზარს და იმოქმედოს როგორც დიდი მოცულობისა და მოგების დაბალი კოეფიციენტის მქონე ფასდაკლების ოპერატორმა.

ეს დაკვირვება გარკვეულწილად ამარტივებს შერჩევის კრიტერიუმს არსის ილუსტრირების თვალსაზრისით. არსებობს ბევრი სხვა კრიტერიუმი, რომელიც მხედველობაში მიიღება რისკის ქულის განსაზღვრისას. ზოგადი თვალსაზრისი იმაში მდგომარეობს, რომ ქულების მინიჭების სისტემამ უნდა გამოავლინოს ის გადასახადის გადამხდელები, რომელთა საქმიანობა ჩვეულებრივისგან განსხვავებულია. თუ აუდიტორი შეისწავლის შემომნებისათვის შერჩეულ გადასახადის გადამხდელს და დაასკვნის, რომ მისი დეკლარირებული მონაცემები კანონიერია, საგადასახადო ორგანო მაინც მოგებული იქნება იმ მხრივ, რომ იგი თავს დაზღვეულად იგრძნობს გადასახადის გადამხდელის გამო, და შესაძლებლობა მიეცემა, დახვეწოს მომავალი შერჩევის კრიტერიუმი იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისტემა ეფექტურად არჩევდეს გადასახადის გადამხდელებს.

ბამოყენებულ ლიტერატურა:

1. როგავა ზ. გადასახადები, საგადასახადო სისტემა და საგადასახადო სამართალი. - 2002. - 640 გვ.
2. ტერაშვილი ნ. საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკა. - 2006. - 701 გვ.
3. ურდია გ. საგადასახადო აუდიტი. 2012, 337 გვ.;
4. Griffiths, Ph., (2005), Riskbased Auditing, Gower publishing;
5. Spencer, P., (2006), Audit Planning. A Riskbased Approach, Wiley publishing;
6. Spencer, P., (2005), Auditing of risk management process, Wiley publishing;
7. ვებ-გვერდები:
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - <http://mof.ge/>
შემოსავლების სამსახური - <http://rs.ge/>

REFERENCES:

1. Rogava Z. Taxes, tax system and tax law. - 2002. - 640 p. (In Georgian)
2. Terrestashvili N. Tax and Customs Policy. - 2006. - 701 p. (In Georgian)
3. Uredia G. Tax audit. 2012, 337 pp (In Georgian)
4. Griffiths, Ph., (2005), Riskbased Auditing, Gower publishing;
5. Spencer, P., (2006), Audit Planning. A Riskbased Approach, Wiley publishing;
6. Spencer, P., (2005), Auditing of risk management process, Wiley publishing;
7. websites:
Ministry of finance of Georgia - <http://mof.ge/>
Revenue Service - <http://rs.ge/>

GENERAL PRINCIPLES OF RISK-BASED TAX AUDIT

Gavasheli Otar,

Doctoral Student of Georgian Technical University

RESUME

The risk-oriented tax audits are discussed in the article. It is noteworthy that the basic direction of the modern taxation system is not just collection of taxes. It aims to establish an environment where taxpayer's readiness to increase tax obligation is voluntarily. Risk management is an important element for reasonable and effective management and, therefore, for a tax audit program. It is impossible to check and control each taxpayer. Tax authorities do not have sufficient resources to carry out the full inspection of each taxpayer annually or verify all declarations of VAT and income tax. Annually, the administration of the tax authority audits 10% of the total number of taxpayers or less. A well-designed audit plan should provide at least 90% of the revenue mobilization and inspection of sufficient quantities to eliminate all non-compliance liabilities at all levels.

Key words: Tax Audit ; Tax Authority; Risk-based Audit.



ქართული ღვინის ექსპორტი საერთაშორისო ბაზარზე და საქართველოს ღვინის ტურიზმი

ლალი თითილოკაშვილი
თამარი გელაშვილი
თსუ ბაკალავრიატის სტუდენტები

რეზიუმე

სტატია შეეხება საერთაშორისო ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტს. იგი განხილულია დინამიკაში და მაჩვენებლები დახასიათებულია არსებული საგარეო თუ სამინაო ფაქტორებიდან გამომდინარე. საუბარია იმაზე, თუ რა ღონისძიებებს ატარებს საქართველოს მთავრობა ქართული ღვინის პოპულარიზაციისთვის და რა გავლენა აქვს ამ ღონისძიებებს საერთაშორისო ბაზარზე მისი ცნობადობის გაზრდაზე, რომელი ქვეყნებია საქართველოს უმსხველესი პარტნიორები ღვინის ექსპორტში. ღვინის ტურიზმი საქართველოში საკმაოდ მზარდი და პერსპექტიული დარგია აქ არსებული ღვინის სახეობების სიმრავლის, რელიეფის თავისებურებების, კერძებისა და ფოლკლორული მრავალფეროვნების გამო. მსჯელობაა იმ გამონკვევების შესახებ, რომლებიც ამ დარგის წინაშე დგას და დიდ გავლენას ახდენს მის განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: ღვინო, ექსპორტი, ქართული, ბაზარი, ტურიზმი.

ძირითადი ტექსტი

საქართველოს ეკონომიკაში ტურიზმს საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. სერიოზული გამონკვევების, მათ შორის გლობალური ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად, მოთხოვნა საერთაშორისო ტურიზმზე ბოლო წლებში კვლავაც იზრდება-

და. 2017 წელს საქართველოს 7,554,936 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც 1,194,433-ით (18.8%) მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით.

საერთაშორისო ტურიზმის შედეგად მიღებული ექსპორტი 2014 წელს 3.6%-ით გაიზარდა, სექტორის წილი მსოფლიო ექსპორტში 2015 წელს 7%-მდე გაიზარდა. ექსპორტის ჯამურმა ღირებულებამ საერთაშორისო ტურიზმიდან \$1.4 ტრილიონი შეადგინა.

2017 წელს, საქართველოდან, ბოლო თითქმის 30 წლის მანძილზე რეკორდული რაოდენობის ღვინოა ექსპორტირებული, რაც ღვინის ინდუსტრიისა და მეღვინეობა-მევენახეობის დარგის მარეგულირებელი შესაბამისი სამთავრობო სტრუქტურების კოორდინირებული და ეფექტური თანამშრომლობითაა მიღწეული. სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2017 წელს, საქართველოდან მსოფლიოს 53 ქვეყანაში ექსპორტირებულია 76,7 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 54%-ით აღემატება 2016 წლის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 170 მლნ-მდე აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, ზრდამ 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 49% შეადგინა. ექსპორტის მატება აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: ჩინეთი - 43% (7 585 407 ბოთლი), რუსეთი - 76% (47 778 920), უკრაინა - 46% (8 502 554), პოლონეთი - 15% (2 676 440), ლატვია - 20% (1 505 138), ბელარუსი - 56% (1 827 130), აშშ - 56% (457 920) და სხვა. ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი (47 778 920 ბოთლი), უკრაინა (8 502 554), ჩინეთი (7 585 407), ყაზახეთი (3 322 867) და პოლონეთი (2 676 440). 2017 წელს, სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 250-მდე კომპანიამ განახორციელა. მსოფლიოს 23 ქვეყანაში ექსპორტირებულია 288 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის ზრდამ 180% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავლები 846,3 ათას აშშ დოლარს შეადგენს, ზრდამ 2016 წელთან შედარებით 148%-ს მიაღწია. მთლიანობაში - ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ჩამოსასხმელი ბრენდის, ღვინო მასალისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლები 283,8 მლნ აშშ დოლარს

შედგენს - ზრდამ 2016 წელთან შედარებით 46%-სმიალნია. (GEORGIANWINE,2017)

ნლიდან ნლამდე იზრდება სასტუმროებისა და რესტორნების საქონელბრუნვა, რომელიც, ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 2004 წელს 81 მილიონი ლარი იყო, 2011 წელს კი - 574 მილიონი. დარგის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ღვინის ტურიზმი ღვინოების სიმრავლის, რელიეფის თავისებურების, კერძებისა და ფოლკლორული მრავალფეროვნების გამო. საქართველოში მოქმედი ტუროპერატორები დაინტერესებულ ტურისტებს სთავაზობენ ღვინის ტურებს, როგორც ზვრებსა და მარნებში, ასევე კვების ობიექტებში. რაც შეეხება ღვინის ტურებს, ტრადიციული მევენახეობის რეგიონებში ტურისტებს საშუალება ეძლევათ ეწვიონ ღვინის მსხვილსა და მცირე კომპანიებს, გლახურ მეურნეობებს, მარნებს, ვენახებს და მონაწილეობა მიიღონ რთველში, გაეცნონ ფოლკლორსა და ადგილობრივ ტრადიციებს.

ეკოტურიზმის განვითარების ცენტრმა ტურიზმის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით განახორციელა პროექტი „საქართველოს ღვინის გზა“, რომლის ფარგლებში რეკომენდაცია გაენია 50-მდე მარანს, თუმცა მოუწყობელი ინფრასტრუქტურისა და დაბალი ხარისხის სერვისის გამო, მიწოდება ყოველთვის ვერ აუდის მოთხოვნას. ამისდა მიუხედავად, ბოლო წლებთან შედარებით, უნდა ითქვას, რომ ქართული ღვინო წინ მიინევს. იქმნება მცირე თუ დიდი მარნები, ღვინის კომპანიები, რომლებიც, წლებია, აქტიურად მუშაობენ, უფრო ყალიბდებიან და იზრდებიან. ღვინის ტურიზმი მოიცავს ადგილობრივ-ლოკალური კულტურის ცოდნას, ასევე ინფორმაციის გადაცემას. უშუალოდ, ამ დარგის დამკვიდრებულ ტენდენციად ქცევა უამრავ სხვა საკითხებსაც ეხება, თუმცა ეს დარგი არ გულისხმობს მარტო უცხოელების დაინტერესებას, არამედ იგი ქართველების ცნობიერების ამაღლებასა და ღვინის კულტურის უკეთ გაცნობას საჭიროებს. (NETGAZETI, 2018)

2006 წელს ქართულმა ღვინომ გასაღების მთავარი, რუსეთის ბაზარი დაკარგა. ემბარგომდე რუსულ ბაზარზე ექსპორტირე-

ბული ღვინის დაახლოებით, 75% გადიოდა. ბაზრის დაკარგვამ ღვინის ბიზნესი მიიმე მდგომარეობაში ჩააგდო, მაგალითად, თუ 2005 წელს ექსპორტზე 80 მილიონი დოლარის ღირებულების ღვინო გავიდა, 2007 წელს ეს მაჩვენებელი 29 მილიონ დოლარამდე დაეცა. საქართველოს ხელისუფლებამ 2008 წლიდან ქართული ღვინის საერთაშორისო ბაზრებზე ცნობადობის გასაზრდელად, გარკვეული პროექტების განხორციელება დაიწყო, რაც, საბოლოოდ ღვინის ექსპორტის გაზრდაზე იყო ორიენტირებული, რაზეც 3 მილიონ 612 ათასი ლარი გაიღო. (DELIVERING PROGRESS – PMCG, 2014)

2009-2011 წლებში საქართველოდან ექსპორტზე 39.324.8 ათასი ლიტრი ღვინო გავიდა. ამ პერიოდში ქართული ღვინის ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა 127.2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ყველაზე მეტი – 54 მილიონი აშშ დოლარი – უკრაინაზე მოდის. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, ღვინის ექსპორტი 2011 წელს 2010 წელთან შედარებით 38 პროცენტით გაიზარდა და 54 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. 2011 წელს, წინა წელთან შედარებით, 5 მლნ. ლიტრით მეტი ღვინის ექსპორტი განხორციელდა.

2012 წლის პირველ კვარტალში საქართველოდან ექსპორტირებული ღვინის მოცულობამ 3.614.1 ათასი ლიტრი, ხოლო შემოსავალმა 10.3 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ქართული ღვინის ორი ყველაზე მსხვილი – ევროკავშირის და დსთ-ს ბაზარია. ბოლო წლების ახალი ბაზარი, რომელიც ქართულმა ღვინომ აითვისა, ჩინეთია. 2014 წელი განსაკუთრებული მნიშვნელობის იყო ქართული ღვინის ექსპორტის თვალსაზრისით უკანასკნელი 10 წლის მანძილზე. 2013 წელს იუნესკოს მიერ ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ტრადიციული მეთოდისთვის არამატერიალური კულტურული ძეგლის სტატუსის მინიჭებამ, მეორე მხრივ, ქართულ ღვინოზე რუსული ემბარგოს გაუქმებამ 2014 წლის ექსპორტზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია, როგორც რაოდენობრივად, ისე ცნობადობის თვალსაზრისით. ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით, 2014 წელს საქართველოდან ექსპორტირებული ღვინის გაყიდვების შედეგად

მიღებული შემოსავლები, 2013 წლის შემოსავლებთან შედარებით, 30 %-ით გაიზარდა.

გაყიდვების ზრდის ტენდენცია 2013 წლის ზაფხულში, უმთავრესად, განაპირობა ივნისის თვეში რუსეთის ფედერაციის მიერ ქართულ ღვინოზე ემბარგოს გაუქმებამ. აღნიშნული დინამიკა 2013 წლის ნოემბრამდე შენარჩუნდა. 2014 წელს გაყიდვების ყველაზე მზარდი ტენდენცია დაფიქსირდა აპრილიდან ოქტომბრის ჩათვლით. საერთო ჯამში 2014-ში ქართული ღვინის გაყიდვების რაოდენობა საზღვარგარეთ 26%-ით გაიზარდა.

2016 წლის პირველი თვეების მონაცემებით: თებერვლისთვის საერთაშორისო ტურისტთა რაოდენობა 5%-ით გაიზარდა. გრძელვადიან პერსპექტივაში, მოსალოდნელია, რომ სექტორი ზრდას განაგრძობს და 2030-სთვის საერთაშორისო ტურისტთა რიცხვი 1.8 მილიარდს მიაღწევს. (GEOSTAT, 2017)

საექსპორტო ქვეყნებს შორის კვლავ ლიდერ პოზიციას იკავებს რუსეთის ფედერაცია, რომელიც გაყიდვებით მეორე ადგილზე წარმოდგენილ უკრაინას საგრძნობლად უსწრებს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს ბაზარი ადგილობრივი მენარმეების ერთგვარი არჩევანიცაა, რუსეთში ქართული ღვინის მაღალი ცნობადობისა და სხვა დამატებითი ფაქტორების გამო. საექსპორტო ქვეყნების პირველ ათეულში, ტრადიციულად შედის ყოფილი სოციალისტური ბანაკისა (ყაზახეთი, ბელორუსია, ლატვია, ესტონეთი) და აღმოსავლეთ ევროპის (პოლონეთი) ქვეყნები, აგრეთვე, ჩინეთი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი მზარდი ბაზარია, ასევე გერმანია. ბოლო წლებში ექსპორტის შემცირების ტენდენცია გამოვლინდა უკრაინაში სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენების გამო, თუმცა, უკრაინა კვლავ რჩება საქართველოსთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საექსპორტო სახელმწიფოდ. კლების ტენდენციას ავლენს, ასევე, საქართველოსთვის არანაკლებ მნიშვნელოვანი ბაზრები - აშშ, ჰონკონგი და ლიტვა. ქართული ღვინის მზარდ საექსპორტო სახელმწიფოებად კი შეიძლება დავსახოთ ავსტრალია, ჩეხეთი, თურქეთი, თუმცა, ამ ეტაპზე, გაყიდვების რაოდენობრივ სურათს ეს ქვეყნები მნიშვნელოვნად არ ცვლიან.

2017 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოდან მსოფლიოს 45 ქვეყანაში ექსპორტირებულია 52,7 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინო, რაც 63%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ მონაცემებს. საანგარიშო პერიოდში ექსპორტირებულია 116 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, რაც 55%-ით აღემატება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. „მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბრის მონაცემებით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 63%-ით გაიზარდა ღვინის ექსპორტი, 55%-ითაა გაზრდილი ღვინის რეალიზაციით მიღებული შემოსავლებიც, რაც იძლევა პროგნოზის გაკეთების საშუალებას - წლის ბოლოს საქართველოდან ღვინის რეკორდული რაოდენობის ექსპორტი განხორციელდება. ექსპორტის ზრდა აღსანიშნავია აშშ-ს, ევროკავშირის, აზიის და სხვა ბაზრების მიმართულებით, რაც ღვინის ეროვნული სააგენტოსა და მეღვინეობის დარგის შეთანხმებული საქმიანობის შედეგია“, - აცხადებს ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე, გიორგი სამანიშვილი.

ამასთან, მსოფლიოს 22 ქვეყანაში ექსპორტირებულია 11 354 403 ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 89%-ით აღემატება 2016 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 25 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ბრენდი - მატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 84%-ს აღწევს.

ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, ღვინო მასალისა და საბრენდე სპირტის ექსპორტის შედეგად მიღებული შემოსავლები საანგარიშო პერიოდში 194 მლნ აშშ დოლარს შეადგენს - ზრდამ 2016 წლის ამავე პერიოდთან შედარებით 54% შეადგინა. (Democracy & Freedom Watch, 2018)

დასკვნა

საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს შეფასებით, ბოლო დროს საქართველო არა მხოლოდ ღვინის კულტურის, არამედ ღვინის ტურიზმის სექტორის განვითარებითაც დაინტერესდა: 3-4 თვეში რამდენიმე ახალი მარანი გაიხსნა და რეკონსტრუქცია ჩაუტარდა ისტორიულ მარნებს. ღვინის ტურიზმით ინვესტორებიც უფრო ხშირად ინტერესდებიან - ამის

ერთ-ერთი მაგალითია საქართველოსთვის შედარებით ახალი მიდგომა – შატოს კულტურა, რომელიც სულ უფრო პოპულარული ხდება როგორც უცხოელ, ისე ადგილობრივ ტურისტებში. აქ სტუმარს შეუძლია გაჩერდეს, ადგილზე დააგემოვნოს ღვინო, მონანიღეობა მიიღოს რთველში. ეს კარგი სიახლეა ზრდისა და განვითარების პოტენციალის მქონე ტურიზმისთვის. მაგრამ მნიშვნელოვანი გამოწვევები მაინც არსებობს. ეკოტურიზმის განვითარების ცენტრის წარმომადგენლის ზაზა გაგუას თქმით, მნიშვნელოვანი პრობლემაა გიდების დაბალი კვალიფიკაცია: „თვალშისაცემია გიდების განათლებისა და სერტიფიცირების პრობლემა. ყველას შეუძლია იყოს გიდი, არანაირი დამადასტურებელი მონიშვნა მას არ სჭირდება. ზოგი გადამზადებულია, ზოგი - არა. ეს პრობლემა მძაფრად დგას ღვინის ტურიზმში, რომელიც ახლა იკიდებს ფეხს და ცოდნა ამ მიმართულებით არის ძალიან დაბალი. არადა, სხვა გიდებთან შედარებით, ღვინის ტურიზმში მეტი ცოდნაა საჭირო. გიდი კარგად უნდა ფლობდეს სპეციალურ ტერმინოლოგიას.“ ასევე, საჭიროა უსაფრთხო და შეუფერხებელი მგზავრობის ხელშეწყობა, ტურიზმში ტექნოლოგიის როლის გაძლიერება და იმაში დარწმუნება, რომ ტურიზმის განვითარება მდგრადი და დაცული გზით ხდება (EUROPE FOR GEORGIA, 2017).

გამოყენებული ლიტერატურა

REFERENCES:

1. NETGAZETI;Internet, On-line <http://netgazeti.ge/business/36019/> last seen: 15.01.2018
2. Delivering Progress – PMCG; Internet, On-line <http://www.pmcg-i.com/publications/newsletter/item/769-issue-42-external-trade-2014-geo> last seen:15.01.2018
3. Democracy & Freedom Watch; “*Are interruptions in Georgia’s wine export economic warfare?*” ; Internet, On-line; <http://dfwatch>.

net/are-interruptions-in-georgias-wine-export-economic-warfare-59600-27587 ; last seen:15.01.2018

4. Europe For Georgia; Internet, On-line; <http://eugeorgia.info/ka/latestarticle/398/gvinis-eqsporti-evrokavshiris-qveynebshi-gaizarda/> last seen:15.01.2018

5. GEOSTAT; *“External Merchandise Trade in Georgia”*; Internet, On-line; http://geostat.ge/cms/site_images/_files/georgian/bop/FTrade_03_2017_GEO-with%20cover.pdf last seen:15.01.2018

6. Internet, On-line; http://factcheck.ge/article/2016-tslis-7-thvis-monatsemebith-24-mln-bothli-ghvinoa-eqsportireb-uli-rats-42-iani-zrdaa/?am_force_theme_layout=desktop last seen:15.01.2018

7. GEORGIANWINE; Internet, On-line; <http://www.georgianwine.gov.ge/Ge/News/4518> last seen:15.01.2018

8. VINOGE; *“ქართული ღვინის ექსპორტი - სტატისტიკა და ძირითადი ტენდენციები”*; Internet, On-line; <http://vinoge.com/patara-WiqebiT/qarTuli-Rvinis-eqsporti-statistika-da-ZiriTadi-tendenciebi> last seen:15.01.2018

9. GEOSTAT; *“ღვინის ექსპორტი 2011 წელს”*; Internet, On-line; <http://geostat.ge/?action=news&lang=geo&npid=376> last seen:15.01.2018

**GEORGIAN WINE EXPORTS TO THE INTERNATIONAL
MARKET AND WINE TOURISM OF GEORGIA**

Lali Titilokashvili, Tamari Gelashvili

TSU Bachelor 3^d year Students;
Faculty of Social and Political Sciences;

RESUME

Our article is about exporting Georgian wine to the international market. Wine export will be discussed in dynamics and depending on the existing external and domestic factors. We will talk about what measures are being implemented by the Government of Georgia for popularizing Georgian wine and what impact these events have in order to increase its awareness on the international market. We will talk about which countries are Georgia's biggest partners in exporting wine. We will also familiarize you with the modern type of tourism and show its importance to Georgia. Wine tourism is a growing and promising field in Georgia due to the abundance of wine species, peculiarities of relief, food and folklore diversity. Finally, we will talk about the challenges that are facing this field and have a great impact on its development.

Key Words: Wine, Export, Georgian, Market, Tourism.

ისლამური სახელმწიფო: ეკონომიკური ძლიერების განმაპირობებელი ფაქტორები

მარიამ თოფჩიშვილი, ნინო კალაძე
თსუ ბაკალავრიატის სტუდენტები

რეზიუმე

„ერაყისა და ლევანტის ისლამური სახელმწიფო“ (ISIS), რომელიც გაერომ ტერორისტულ ორგანიზაციად აღიარა და ადამიანის უფლებების მასობრივ დარღვევაში დაადანაშაულა, რამდენიმე წელია რაც ძალას იკრებს და მიუხედავად საერთაშორისო საზოგადოების წინააღმდეგობისა კვლავ მოქმედ ტერორისტულ დაჯგუფებად რჩება. ორგანიზაციის რამდენიმე ლიდერის განცხადებით, ისინი ჯიჰადამდე ჯორჯ ბუშის საპრეზიდენტო მმართველობის დროს, 2003 წელს ერაყში განხორციელებულმა ინტერვენციამ მიიყვანა. ამასთან, ისინი აცხადებენ, რომ ტერორისტთა გრძელვადიან მიზანია ლევანტის შეერთება, რომელიც მოიცავს სირიას, ლიბანს, თურქეთს, ისრაელს, პალესტინას, იორდანias და ეგვიპტეს.

ისლამურმა სახელმწიფომ თავისი არსებობის მანძილზე შეძლო ფინანსური და სამხედრო ძლიერების მიღწევა, რაც შემდეგი მიზეზებითაა განპირობებული: ისინი აკონტროლებდნენ ნავთობის საბადოებს აღმოსავლეთ სირიაში, ენეოდნენ არქეოლოგიური არტეფაქტების ქურდობასა და შემდგომში მათ გაყიდვას, მოსულის ინტერვენციის დროს ბანკებიდან და სამხედრო დანესებულებებიდან იტაცებდნენ ფულს, იღებდნენ გამოსასყიდს გატაცებულებისა და ინფორმაციის სანაცვლოდ, იღებდნენ დაფინანსებას სხვადასხვა სახელმწიფოებისგან (კატარი, საუდის არაბეთი); ამ ყოველივემ ტერორისტული ორგანიზაციის ეკონომიკური გაძლიერება განაპირობა.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე საკვლევი კითხვა შემდეგნაირად ფორმირდება: რამ განაპირობა ISIS-ის ეკონომიკური გაძლიერება?

საინტერესოა ის ფაქტიც რომ, ერაყის ომის დროს, ადამი-

ანთა უმრავლესობა ისლამური სახელმწიფოს მემბოხეთა ჯგუფს შეურთდა, რათა ებრძოლა დასავლური ძალების წინააღმდეგ, ამასთან, როგორც აშშ-ს თავდაცვის მდივანმა ეშტონ კარტერმა განაცხადა ისლამური სახელმწიფო არის სოციალური მედიით მოქმედი ტერორისტული ჯგუფი, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის სწრაფად გავრცელებას და ეხმარება ISIS-ს წვერთა რეკრუტირების პროცესში.

ასევე, ისლამური სახელმწიფო მიმზიდველია სხვადასხვა ქვეყნისათვის, ვინაიდან მის ქმედებებს იყენებენ საკუთარი ეროვნული ინტერესების მიღწევის პროცესში.

ნაშრომი ძირითადად ეყრდნობა მეორეულ და მესამეულ წყაროებს, სხვადასხვა უცხოურ სტატიას, კვლევას და გავლენიან საინფორმაციო გამოცემებს, რაც მეტ სანდოობას შესძენს ნაშრომს. საინტერესოა კვლევის გაგრძელება ამ მხრივ, ვინაიდან ისლამური სახელმწიფო კვლავ რჩება ერთ-ერთ ყველაზე საშიშ და გავლენიან ტერორისტულ დაჯგუფებად.

საკვანძო სიტყვები: ისლამური სახელმწიფო, ეკონომიკური ძლიერება, არტეფაქტებით ვაჭრობა, ადამიანებით ვაჭრობა, ტერორიზმი, მოსულის ოპერაცია.

ძირითადი ტექსტი

მსოფლიო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ახალ ფაზაში გადავიდა მას შემდეგ, რაც საერთაშორისო ასპარეზზე გამოჩნდა ახალი ძალა მსოფლიო ტერორიზმის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ტერორისტული ორგანიზაცია „ერაყისა და სირიის ისლამური სახელმწიფო“ (ISIS). აბრევიატურა ISIS ინგლისურია და აღნიშნავს „ერაყისა და აღ-შამის/“დიდი სირიის“ ისლამურ სახელმწიფოს“. „შამ“-ი ისტორიულად ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ტერიტორიებს მოიცავდა, რომელსაც ევროპაში „ლევანტის“ სახელით იცნობენ (ამიტომაც იმავე „სახელწიფოს“ ხანდახან ISIL-ს უწოდებენ). სწორედ ლევანტის შეერთება, წარმოადგენს ორგანიზაციის გრძელვადიან მიზანს. ლევანტის ტერიტორია კი შემდეგ სახელმწიფოებს მო-

იცავს: ეგვიპტე, სირია, ისრაელი, ლიბანი, პალესტინა, იორდანია და თურქეთი.

შექმნის წინაპირობა: ორგანიზაციის რამდენიმე ლიდერის განცხადებით, ისინი ჯიჰადამდე ჯორჯ ბუშის საპრეზიდენტო მმართველობის დროს, 2003 წელს, ერაყში განხორციელებულმა ინტერვენციამ მიიყვანა. საქმე იმაში მდგომარეობს, რომ 2003 წელს ერაყში დასავლეთის კოალიციის შეჭრას და სადამ ჰუსეინის დიქტატორული რეჟიმის დამხობას შედეგად ქაოსი მოჰყვა. 2003 წლამდე მმართველი პარტიის „ბაას“-ის აქტივისტებმა მარგინალიზაცია განიცადეს, რამაც საბოლოო ჯამში სუნიტური ელიტის შიიტური ელიტით ჩანაცვლება გამოიწვია. ამასთან ერაყის მოსახლეობის უმეტესობა შიიტია, რომლებიც სადამ ჰუსეინის მმართველობის დროს დისკრიმინაციას განიცდიდნენ. რეგიონის დესტაბილიზაციის შემდეგ კი შიიტებმა დაიწყეს სუნიტების ჩაგვრა. სუნიტების მდგომარეობის ასეთმა უეცარმა ცვლილებამ დ ყოველგვარ საქმიანობისგან მათმა ჩამოშორებამ ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა რადიკალური იდეების აღზევებას.

ამგვარი რადიკალური იდეების რეალობაში განხორციელების პროცესს სათავეში ჩაუდგა “იორდანელი აბუბ მუსად აზ-ზარკავი, რომელიც 2002 წლიდან ორგანიზაცია “ერთღმეთიანობა და ჯიჰადი“-ს ხელმძღვანელი იყო.” (BBC News.2015.) ერაყის ომის დაწყებიდან ერთი წლის შემდეგ მან ნდობა გამოუცხადა ოსამა ბინ-ლადენს და ჩამოაყალიბა “ალ-ქაიდა ერაყში” დაჯგუფება, რომელიც ერთ-ერთ მთავარ ძალად იქცა ომის დროს საერთაშორისო კოალიციასთან საბრძოლველად. ზარკავის სიკვდილის შემდეგ, 2006 წელს, 11 რადიკალი დაჯგუფებისაგან შეიქმნა მისი შვილობილი ორგანიზაცია “ერაყის ისლამური სახელმწიფო”. თუმცა მან წარმატება ვერ მოიპოვა, რადგან ამერიკელმა მეზობლებმა ის ძალიან შეავიწროვეს, 2010 წელს კი მას სათავეში აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი ჩაუდგა და დაიწყო ბრძოლა მისი გაძლიერებისათვის. 2011 წელს დაიწყო პოპულარული ამბოხება ბაშარ ალ-ასადის წინააღმდეგ და ვინაიდან სირიაში მმართველი ელიტა ალავიტები, ანუ შიიტების ერთ-ერთი სექტა

იყო, ისლამურმა სახელმწიფომ ასადის წინააღმდეგ ომში მონაწილეობის მიღება გადაწყვიტა. მოგვიანებით ბალდადმა ტერორისტულ ჯგუფს სახელი შეუცვალა და ისლამური სახელმწიფო ერაყი და სირია დაარქვა, რაც ხაზს უსვამდა ამ ჯგუფის დიდ ამბიციებს.

უკვე 2013 წელს ორგანიზაციამ რამდენიმე მასშტაბური ტერორისტული თავდასხმა მოაწყო ერაყში. “2014 წლის აგვისტოში კი, მას შემდეგ რაც ISIS -მ დომინოს პრინციპით აიღო მოსული და სხვა ქალაქები, ისლამური სახელმწიფოს მეთაურმა აბუ ბაქრ ალ-ბალდადმა თავი ხალიფად გამოაცხადა და ყველა მუსლიმის მორჩილება მოითხოვა.” (BBC News.2015.)

ისლამური სახელმწიფოს მიზანი: ისლამური სახელმწიფოს ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ერაყის მთავრობის დამხობა და ხალიფატის შექმნა. „მე-8 საუკუნის ბალდადის სახალიფოს რემინისცენციაა სწორედ, ის შავი სამოსი და შავი დროშა რომელსაც ჯიჰადისტები ატარებენ, ვინაიდან სახალიფოს დროშა შავი ფერისა იყო.“ (BBC News.2015.) ხოლო რაც შეეხება მათ მთავარ, გრძელვადიან მიზანს, ეს ლევანტის შეერთებაა, რომელიც მოიცავს ეგვიპტეს, სირიას, ისრაელს, ლიბანს, პალესტინას, იორდანias და თურქეთს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „მუსულმანებისათვის ე.წ. არმაგედონის ადგილად, სირიის ქალაქი დაბიკი მიიჩნევა, რომელიც თურქეთის საზღვრიდან 10 კილომეტრითაა დაშორებული. ისლამური სახელმწიფოს მიზნების თანახმად სწორედ აქ უნდა გაიმართოს ლევანტის შექმნისათვის წარმოებული უკანასკნელი ბრძოლა.“ (Wedeman 2017.)

გარდა ამისა ისლამური სახელმწიფოს, ისევე როგორც ყველა სხვა ტერორისტული ორგანიზაციის ზოგადი მიზანი ისლამის-ერთადერთი ჭეშმარიტი რელიგიის საყოველთაოდ გავრცელებაა, ამ ყოველივეს გამოხატულებაა თეთრი წარწერა ISIS-ის დროშაზე: “არ არს ღმერთი გარდა ალაჰისა”. (BBC News.2015.)

ისლამური სახელმწიფოს ძლიერების განმაპირობებელი ეკონომიკური ფაქტორები:

ვინაიდან ყველაზე დიდი ტრანსფორმაცია ისლამურმა სახე-

ლმნიფომ 2014 წელს განიცადა და სწორედ ამ პერიოდიდან იქცა საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელოვან აქტორად, მისი გაძლიერებაც აღნიშნულ პერიოდს უნდა დაფუკავშიროთ. აქ კი უპირველესად აღსანიშნავია სირიის კრიზისი. „ისლამური სახელმწიფო“ სირიაში ებრძვის პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადს, რომელიც თავის გარემოცვასთან ერთად ალავიტების რელიგიულ სექტას ეკუთვნის (ალავიტებს შიიტებად მიიჩნევენ, თუმცა ეს სადავო საკითხია). სირიაში არსებულმა ქაოსმა ხელი შეუწყო იმას, რომ ტერორისტების მფლობელობაში გადასულიყო საკმაოდ დიდი მოცულობის ტერიტორიები, მათ შორის ნავთობით მდიდარი ადგილები. იქიდან გამომდინარე, რომ ტერორისტებს სირიის ჩრდილოეთ ნაწილები ეკავათ, ადვილად ხდებოდა ნავთობის გადატანა თურქეთში, “სადაც ისინი ნავთობს საერთაშორისო ბაზარზე არსებულ ფასთან შედარებით ძალიან იაფად დაახლოებით 25-60 დოლარად ყიდდნენ, მაშინ როდესაც ერთი ბარელი “შავი ოქროს” საბაზრო ფასი 100 დოლარზე მეტი იყო. 2014 წლისთვის, მაგალითად, ნავთობიდან ორგანიზაციის დღიური შემოსავალი დაახლოებით 3 მილიონ დოლარს შეადგენდა.” (Lock,2014)

ამავე პერიოდს დაემთხვა ისლამური სახელმწიფოს მოსულში შეჭრა. მოსული ბაღდადიდან 400 კილომეტრში მდებარე ქალაქია ერაყში. ისლამური სახელმწიფო მოსულში 2014 წლის 6 ივნისს შეიჭრა და რამდენიმე საათში დაიკავა ქალაქი. „მოსულში ISIS-მ გაძარცვა ცენტრალური ბანკი და სხვა ლოკალური პატარა ბანკები, სადაც რამდენიმე ასეული მილიონი დოლარი ინახებოდა.“ (Shabi.2015). მოსულსა და ერაყში ტერორისტებმა ასევე გაძარცვეს ადგილობრივი მუზეუმები და გაიტაცეს არქეოლოგიური არტეფაქტები, რომელთა გაყიდვითაც ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი მიიღო. „სწორედ მოსულის ოპერაციისას აშშ-ს სამხედროების მიერ დაკავებულ, ისლამური სახელმწიფოს წევრს აღმოაჩნდა ელექტორული მეხსიერების ბარათი, საიდანაც გაირკვა, რომ ორგანიზაციის ბიუჯეტი 2 მილიარდ დოლარს შეადგენდა.“ (Shabi.2015)

ISIS-ის ეკონომიკური გძლიერების კიდევ ერთ ხელშემწყობ

ფაქტორს ტრეფიკინგი წარმოადგენს. ისინი ყიდვიან ადამიანებს, ძირითადად ბავშვებსა და ქალებს. ამასთან ხშირია გატაცებისა და გამოსასყიდის მოთხოვნის ფაქტები.

მებრძოლთა რაოდენობა: 2015 წლის თებერვალში ამერიკული დაზვერვის შეფმა ჯეიმს კლეპპერმა განაცხადა, რომ ISIS-ისთვის დაახლოებით 20-დან 32 ათას მებრძოლამდე იბრძვის სირიასა და ერაყში. თუმცა მან ისიც აღნიშნა, რომ რიგები მნიშვნელოვნად შემცირდა საერთაშორისო კოალიციის მიერ განხორციელებული ავიაიერიშების შემდეგ. ამერიკული მხარის მტკიცებით, 2014 წლიდან შეტევებს 10 000-მდე მებრძოლი ემსხვერპლა. დანაკარგის კომპენსირებისთვის ISIS-მა საკუთარი რიგების შევსება ძალის გამოყენებით დაიწყო.

აქვე უნდა აღინიშნოს იდეოლოგიური გავლენაც, ერაყის ომის დროს, ადამიანთა უმრავლესობა ისლამური სახელმწიფოს მემბოხეთა ჯგუფს შეუერთდა, რათა ებრძოლა დასავლური ძალების წინააღმდეგ, ამასთან, როგორც აშშ-ს თავდაცვის მდივანმა ეშტონ კარტერმა განაცხადა ისლამური სახელმწიფო არის სოციალური მედიით მოქმედი ტერორისტული ჯგუფი, რაც ხელს უწყობს ინფორმაციის სწრაფად გავრცელებას და ემბარება ISIS-ს წევრთა რეკრუტირების პროცესში.

დასკვნა

ისლამურმა სახელმწიფომ ძლიერების მოპოვება რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორის გამო შეძლო. იგი აკონტროლებს ნავთობის საბადოებს, მის სახელთანაა დაკავშრებული არქეოლოგიური არტეფაქტების მოპარვა და შემდგომში მათ გაყიდვა, მოსულში შეჭრის შედეგად მათ ბანკებიდან და სამხედრო დანესებულებებიდან მიიტაცეს ფული, იღებენ გამოსასყიდს გატაცებებისა და ინფორმაციის სანაცვლოდ, დაფინანსებას სხვადასხვა სახელმწიფოებისგან (კატარი, საუდის არაბეთი); ამასთან ისლამური სახელმწიფო ფლობს მნიშვნელოვან ადამიანურ და სამხედრო რესურსს და ძლიერ იდეოლოგიურ პროპაგანდას ეწევა წევრთა რეკრუტირებისთვის.

დასკვნის სახით უნდა ვახსენოთ ისიც, რომ ტერორიზმის სა-

კითხში ექსპერტების თანახმად ისლამური სახელმწიფო 2017 წელს უნდა განადგურებულიყო, თუმცა ეს ასე არ მოხდა. მართალია მუდმივმა თავდასხმებმა დაასუსტა დაჯგუფება, თუმცა ის კვლავ არსებობს და ამის ნთელი დასტურია 28 ნოემბერს ეგვიპტეში მეჩეთზე თავდასხმა.

გამოყენებული ლიტერატურა/ REFERENCES:

1. Wedeman Ben.2017. On the frontline of ISIS' last stand in Iraq. CNN News. <http://edition.cnn.com/2017/05/14/middleeast/mosul-final-phase/index.html>
2. Bronstein Scott and Griffin Drew.2014. Self-funded and deep-rooted: How ISIS makes its millions. CNN News. <http://edition.cnn.com/2014/0/06/world/meast/isis-funding/>
3. Shabi Rachel.2015. Looted in Syria – and sold in London: the British antiques shops dealing in artifacts smuggled by Isis. The guardian news. <https://www.theguardian.com/world/2015/jul/03/antiquities-looted-by-isis-end-up-in-london-shops>
4. Lock Helen.2014. How Isis became the wealthiest terror group in history. Independent news.<http://www.independent.co.uk/news/world/middle-east/how-isis-became-the-wealthiest-terror-group-in-history-9732750.html>
5. Shaw Jessica Marmor.2015 The countries where ISIS finds support, in two charts. Marketer watch. <http://www.marketwatch.com/story/the-countries-where-isis-finds-support-in-two-charts-2015-11-18>
- 6.BBC News.2015. What is Islamic state. <http://www.bbc.com/news/world-middle-east-29052144>
7. Nytimes. 2014. „Enforcer at Treasury Is First Line of Attack AgainstISIS“.. https://www.nytimes.com/2014/10/22/business/international/enforcer-at-treasury-is-first-line-of-attack-against-isis.html?_r=1
8. Jstore. 2016. ISIS, Heritage, and the Spectacles of Destruction in the Global Media <https://www.jstor.org/tc/accept?origin=/stable/pdf/10.5615/neareastarch.78.3.0170.pdf>.

THE ISLAMIC STATE OF IRAQ AND THE LEVANT: FACTORS PROVIDING ECONOMIC STRENGTH

Mariam Topchishvili, Nino Kaladze

TSU Bachelor Students

RESUME

The Islamic state of Iraq and the Levant which was recognized by the UN as a terrorist organization and accused for the massive violation of human rights has been getting stronger and stronger for the last few years. Despite the international society's active resistance ISIS still remains the active terrorist organization. According to several leaders of the organization, their decision to join Jihad was caused by intervention in Iraq in 2003 during the presidency of George W. Bush. In addition they claim that the long-term goal of the Islamic State is to create Levant, which is the name of eastern coast of the Mediterranean sea and includes Syria, Lebanon, Turkey, Israel, Palestine, Jordan and Egypt.

The Islamic State during its existence managed to reach Financial and Military strength. The organization has secured huge cash flows from oil fields in eastern Syria, has been stealing and selling archaeological antiquities and artifacts, has been capturing money from the banks and military supplies during Mosul intervention, has been getting ransom money for kidnapped foreigners and information, has been getting money from several countries (Qatar, Saudi Arabia); All the facts above have caused economic strength of ISIS.

Based on the above the research question is formulated as follows: which factors have caused economic strength of the ISIS?

It is also notable that the most of the people joined ISIS during the Iraq war to fight against western forces. Also, as the US Secretary of defense Ashton Carter said the Islamic State is a social-media-fuelled terrorism group and this fact helps them to spread information and recruit members easily. What is more, Islamic state is attractive for several countries because the terrorist group's actions help them to achieve their national interests.

Key words: terrorism, ISIS, economic strength, artifacts trading, Mosul intervention.

სამეცნიერო სტატიის წარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის **ახალ** შედეგებს ეკონომიკის შემდეგ თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:

ეკონომიკური რეფორმა; ეკონომიკური თეორიის თანამედროვე პრობლემები; ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია; საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ფინანსები, ბანკები, ბირჟები; რეგიონული ეკონომიკა; დარგობრივი ეკონომიკა; ბიზნესის, მარკეტინგის, მენეჯმენტის აქტუალური საკითხები; მსოფლიო ეკონომიკა; რეცენზიები ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებზე.

მიღებულ სტატიებს იხილავს რედკოლეგია და დადებითი რეცენზიის შემთხვევაში აქვეყნებს, ასევე განათავსებს ინტერნეტში – ელექტრონულ ჟურნალში.

სტატიები მიიღება ქართულ, რუსულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ და ესპანურ ენებზე, ქვეყნდება ორიგინალის ენაზე.

სტატიის გაფორმების წესი

სტატიის მინიმალური მოცულობა 5 გვერდი A4 ფორმატის;

რეზიუმე ქართულ, რუსულ და/ან **ინგლისურ** (აუცილებლად) ენებზე (100-250 სიტყვა);

საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;

სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. ხარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე, ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;

სტატიის **შესავალი**, **ძირითადი ტექსტი** და **დასკვნითი** ნაწილი;

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;

ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი Acadnuxx; ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman; შრიფტის ზომა 12, ინტერვალი 1,5, ყველა კიდიდან დაშორება იყოს 2 სმ.

ჟურნალი“ეკონომიკა“ გამოდის 1918 წლიდან.

გამოცემა გამოდიოდა შემდეგი სახელწოდებებით:
საქართველოს ეკონომისტი (1918 N1- N6),
ეკონომისტი (1925-1926),
საქართველოს ეკონომისტი (1926-1931),
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა (1931-1941),
საქართველოს ეკონომისტი (1958-1967),
საქართველოს სახალხო მეურნეობა (1967 N4 დან-1973),
ეკონომისტი (1974-1990),
ეკონომიკა (1991 წლიდან -).

სხვა სათაურით

საქართველოს ეკონომისტი.
საქართველოს სოციალისტური მეურნეობა.
საქართველოს სახალხო მეურნეობა.
ეკონომისტი.
ეკონომიკა.
Экономист Грузии.

ISSN: 0206-2828.

განახლებული ISSN 2587-4713

UDC: 338(922)(05)



შპს ჟურნალი „ეკონომიკა“
მისამართი: თბილისი – 0171, მ. კოსტავას ქ. 63.
ტელ: 599 56-90-78.
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

ООО журнал «ЭКОНОМИКА»
Адрес Тбилиси - 0171, ул. М. Костава 63
Тел. 599 56-90-78
economics.bpengi.com
E-mail: economica_2008@yahoo.com
E-mail: economica_1918@yahoo.com

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნესტექნოლოგიების, საინჟინრო ეკონომიკის,
მედიატექნოლოგიებისა და
სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტები.
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გადაეცა ასაწყობად 10.12.2017 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 25.12.2017 წ.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბანი 7,75.